ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

იფ,ფკბ-რდბჰფ

$ 2 % st,thdfkb7 @)!@ 129 (5719) afcb5 #) stshb



$ სტ,ტჰდქბლფყ

ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+

ჯო ჰორზი „მტაცებელთა ჟამი“

ჯონ დიქსონ კარი

• „იმპერატორის საბურნუთე“

• „სიკვდილი არარსებულ ოთახში“



წიგნი და გაზეთი ერთად 2,5 ლარი

# მალე გაიგებთ ობამა-სააკაშვილის შეხვედრის გაუხმაურებელ დეტალებს!



გვ.5

ვინ აწვდის ალასანიას პარტიას ინფორმაციებს ვაშინგტონიდან

## ფიქრია ჩიხრაძე: „ივანიშვილი პოლიტიკურ ლიდერად ჯერ ვერ ჩამოყალიბდა“





გვ.4

„სააკაშვილს პუტინად ლოგიკა აქცევს“



გვ.3

## ტელეკომპანია „იმედი“ სკანდალში გაეხვია

ვის უნდა აუნაზღაუროს მან ზარალი?

27 იანვრიდან!

ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+

„ისტორია და ამოუცნობი სამყარო“

მე-2 ტომი

100 გამოჩენილი მხედართმთავარი

წიგნი და გაზეთი ერთად 10 ლარი



## ამირან შალიკაშვილი: „წმინდა გიორგის განსახიერება ძალიან გამიჭირდა“

გვ.9



## როგორ გაბერეს გადასახადი და გაუბერეს თბილისის წყალში

გვ.3

„არა უსამართლო წყლის გადასახადს!“

გვ.4



## კობა დავითაშვილს სიყალბის გავრცელებაში ადანაშაულებენ

ISSN 1987-9385

## კვირის ქრონიკა











გვ.2

# ბათუმში მეჩეთი არ უნდა აშენდეს

ოშკისა და იშხანის რესტავრაციის სანაცვლოდ, ბათუმში აზიზეის მეჩეთის ხელმეორედ აშენებისა და ახალციხეში, რაბათის უბანში, ახმედიეს მეჩეთის აღდგენის გადაწყვეტილება საქართველოსა და თურქეთის კულტურის მინისტრებმა გასულ კვირას ანკარაში შეხვედრის დროს მიიღეს.

ამ თემაზე კი საუბარი გასულ წელს დაიწყო. და როგორც უკვე აღვნიშნეთ, საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია.

გასულ კვირას მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, საქართველოს კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ „ინტერპრესნიუსთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ ქართული მონასტრების რესტავრაციის სანაცვლოდ, თურქული მხარე აჭარაში, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამოყოფილ ნებისმიერ ადგილზე „აზიზიეს მეჩეთის" მშენებლობას ითხოვს, რომელსაც თავადვე დააფინანსებს და „ახმედიეს მეჩეთის" რესტავრაციაში ჩართვის სურვილს გამოთქვამს:




აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თურქულ მედიაში ამასთან დაკავშირებით განმარტებები არ გაკეთებულა. მედიასაშუალებები მხოლოდ ფაქტის დაფიქსირებით შემოიფარგლნენ.

აზიზიეს მეჩეთი ბათუმში 1869 წელს ოსმალეთის 32-ე სულთნის აბდულ აზიზიეს სახელზე ტრაპიზონის ფაშამ ემინ მუჰლის ფაშამ ააგო. მეჩეთი ახლანდელი თეატრის უკანა ნაწილის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობდა და საბჭოთა პერიოდში ჯერ ხანძარმა იმსხვერპლა, შემდეგ კი დაანგრიეს.

მურმან დუმბაძის განცხადებით, ბათუმში ამ მეჩეთის აშენება კარგს არაფერს მოიტანს.

— აზიზიეს მეჩეთი ბათუმში არ უნდა აშენდეს. მისი აშენება ქართველი და თურქი ხალხის მეგობრობას ხელს არ შეუწყობს. ეს არის თავსმოხვეული შეთანხმება, — განაცხადა მურმან დუმბაძემ.

მურმან დუმბაძე საქართველოსა და თურქეთის კულტურის მინისტრების შეთანხმებას — „ტაძრის აღდგენა მეჩეთის აშენების სანაცვლოდ"— უაზროს უწოდებს და საქართველოს პრეზიდენტისა და თურქეთის პრემიერ-მინისტრის სახელზე გაკეთებულ მიმართვასთან დაკავშირებითაც საუბრობს.

ცნობისათვის, მეჩეთის მშენებლობის შეთანხმების გადახედვის მოთხოვნაზე ხელმოწერას და ორივე ქვეყნის მეთაურისთვის გაგზავნას, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია გეგმავს.

შორენა მარსაგიშვილი

# აპირებს თუ არა სააკაშვილი გაპრემიერებას?



30 იანვარს საქართველოს პრეზიდენტი თავის ამერიკელ კოლეგა ბარაკ ობამას შეხვდა. ამ შეხვედრას მთელი საქართველო სულგანაბული ელოდა. ამერიკაში ასეთი გულისფანცქალი არ ყოფილა. სავარაუდოდ, იქაურებმა ვერც გაიგეს, ჩვენმა მაღალმა მათი პრეზიდენტი რომ დააფასა.

მართალია ამ დღეების განმავლობაში ამ შეხვედრის დეტალებზე ბევრი ითქვა, მაგრამ ბოლომდე არაა გარკვეული კონკრეტულად რა უთხრა ობამამ ჩვენებურს. ობამას სიტყვები ყველამ თავისებურად გაიგო.

ახლა ერთი ამბავია ატეხილი, წავა თუ არა სააკაშვილი ხელისუფლებიდან. ერთნი ამბობენ, რომ წავა, მეორენი საპირისპიროს ამტკიცებენ. ვილაცეები ამბობენ, რომ ვაშინგტონში მან გაპრემიერებაზე ნაზართვა აილო, თავად სააკაშვილმა თქვა, მე არ გავპუტინდებიო, მაგრამ ამერიკული პრესა ცოტა სხვანაირად ამტკიცებს.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა ვიქტორია ნულანდმა ვაშინგტონში გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე უპასუხა ერთ-ერთი ჟურნალისტის კითხვას, რომელიც 2013 წლიდან საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შესაძლო გაპრემიერებას ეხებოდა.

ჟურნალისტის თქმით, საქართველოში რამდენიმე თვის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ სააკაშვილი ხელისუფლებაში დარჩენას 2013 წლის შემდეგ პრემიერის რანგში აპირებს. კორესპონდენტს აინტერესებდა, განიხილეს თუ არა საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრისას ეს საკითხი თეთრ სახლში ან სახელმწიფო დეპარტამენტში და რას ფიქრობს ვაშინგტონი ზემოხსენებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

— ნება მომეცით, შეგახსენოთ ის განცხადებები, რომელიც პრეზიდენტმა ობამამ ორშაბათს პრეზიდენტ სააკაშვილთან ოვალური კაბინეტში შეხვედრისას გააკეთა. მან ნათელი გახადა ჩვენი ძლიერი მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ. ჩვენი სურვილია, რომ ერთად გავაგრძელოთ მუშაობა ეკონომიკური განვითარების კუთხითაც და ასე შემდეგ. გარდა ამისა, ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს მათ უწყვეტ პოლიტიკურ განვითარებას, მათ შორის მაშინ, როცა ქვეყანა საარჩევნო სეზონში შედის შემდეგ ან ამ წელს, — განაცხადა ნულანდმა.

ამის შემდეგ ჟურნალისტმა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელს კითხვა, რომელიც საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ სააკაშვილის გაპრემიერების შესაძლებლობას ეხებოდა, კიდევ ერთხელ გაუმეორა: „მოხდა თუ არა ამ სპეციფიკურ საკითხზე სააკაშვილთან დისკუსია?"

— მე ვფიქრობ, თეთრმა სახლმა ნათელი გახადა, რომ ჩვენ ეს გავაკეთეთ. დიახ, — უპასუხა ნულანდმა.

მისივე თქმით, თეთრ სახლში გამართულ შეხვედრაზე საუბარი დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცესების მნიშვნელობაზეც იყო ფოკუსირებული.

2 თებერვალს გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივანმა ვიქტორია ნულანდმა განმარტა, თუ რა ნიშნავს საქართველოსა და აშშ-ს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა.

შესაბამისი კითხვა მას ჟურნალისტებმა დაუსვეს.

მედიის წარმომადგენელს აინტერესებდა: ნიშნავდა თუ არა ეს თანამშრომლობა, რომ აშშ-ს საქართველოსათვის მძიმე შეიარაღება უნდა მიეყიდა.

— ეს თანამშრომლობა ეფუძნება წარმატებულ პროგრამებს, რომლებიც უკვე შევიმუშავეთ, რათა დავეხმაროთ საქართველოს მისი არმიის რეფორმირებაში. მსგავს პროგრამებს ჩვენ ვახორციელებთ მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის, საქართველოს მეზობელი სახელმწიფოს სამხედრო სტრუქტურებისთვის, მათი თავდაცვის მოდერნიზებისაკენ მიმართულ ძალისხმევაში, რათა დავეხმაროთ მათ საკუთარი თავის დაცვაში. ასე რომ, ჩვენ თავდაცვაზე ვლაპარაკობთ, — განაცხადა ნულანდმა.

# საქართველოს 157 სკოლაში უამინდობის გამო სასწავლო პროცესი შეჩერდა

უამინდობისა და ელექტროენერგიის უქონლობის გამო, საქართველოს რეგიონების 157 სკოლაში სასწავლო პროცესი შეჩერებულია.

განათლების მინისტრის მოადგილის კოკა სეფერთელაძის განცხადებით, სკოლაში სწავლის პროცესის შეჩერება მხოლოდ და მხოლოდ უხვი ნალექის გამოა გამოწვეული და არც ერთ სკოლაში ინფრასტრუქტურული პრობლემები არაა.

— ჩვენ გვაქვს ძალიან მჭიდრო ურთიერთობა როგორც ენერგეტიკის, ასევე ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან და ამ თანამშრომლობის შედეგად ჩვენ ვფიქრობთ, რომ ორშაბათს ყველა სკოლაში სასწავლო პროცესი აღდგება, — აღნიშნა სეფერთელაძემ.

მისი თქმით, ყველაზე რთული მდგომარეობა კახეთში, სამეგრელოსა და მცხეთა-მთიანეთშია.

# ვის მიყავს პარადი" ქართულ ოცნებაში

ბიძინა ივანიშვილის გარშემო აურზაური არ ცხრება. ოპოზიციის ნაწილი მას ლამის მტრად მოეკიდა. ამაში მთავარ დამნაშავედ კი რესპუბლიკელებს თვლიან. ისინი, როგორც ამბობენ, ივანიშვილზე დიდი გავლენით სარგებლობენ და პარადიც მიჰყავთ.

ამ ინფორმაციას თავად რესპუბლიკელები უარყოფენ. რესპუბლიკური პარტიის ლიდერის დავით უსუფაშვილის განცხადებით, პოლიტიკური პარტიის ფორმირების მხრივ ბიძინა ივანიშვილი მუშაობას განაგრძობს და მისი გეგმები არ შეცვლილა.

როგორც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურმა პარტნიორმა და კოალიციის წარმომადგენელმა საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა, როდესაც საუბარია კოალიციაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ მასში შემავალი სუბიექტების პრიორიტეტები და გადაწყვეტილებები უნდა იყოს შეთანხმებული, პარტიასთან დაკავშირებულ საკადრო საკითხებს კი ბიძინა ივანიშვილი ერთპიროვნულად წყვეტს.



მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილის პარტიის პრეზენტაციის ზუსტი თარიღი პირადად ივანიშვილისაგან მას არ სმენია, თუმცა ამასთან დაკავშირებით საზოგადოებისთვის განცხადებას თავად ივანიშვილი გააკეთებს.

— მოვლენების საქმის კურსში ვარ და ვიცი, რომ ივანიშვილი ამ საკითხზე აქტიურად მუშაობს. მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხი ჯერ კიდევ გადასაწყვეტია, პოლიტიკური პარტიის ფორმირების თვალსაზრისით მისი გეგმები არ შეცვლილა, — განაცხადა უსუფაშვილმა.

ჟურნალისტების მიერ დასმულ შეკითხვაზე — შეძლებს თუ არა კოალიციაში გაერთიანებას ,,თავისუფალი საქართველოს" ლიდერი კახა კუკავა, უსუფაშვილმა განაცხადა, რომ კუკავას ამის სურვილი არ გამოუთქვამს და, შესაბამისად, მისი დაბლოკვაც არასწორი ინფორმაციაა.

— კოალიციის გაფართოებასთან დაკავშირებით კონსულტაციები ყოველთვის იმართება, თუმცა მთავარი განმსაზღვრელი კრიტერიუმი, ვინ უნდა იყოს ან არა კოალიციაში, ერთია — ძლიერდება თუ სუსტდება ამით ბლოკი. ყველა ოპოზიციური ძალის გაერთიანება რომ შედეგს არ იძლევა, ამის მაგალითები ახლო წარსულში მრავლად გვაქვს, განსხვავებული ხედვების და სტრატეგიის ადამიანები ერთმანეთს საბოლოოდ ასუსტებენ, — განაცხადა უსუფაშვილმა და წარსულის მაგალითად ეროვნული საბჭო მოიყვანა.



# ანქვაბი ახალ პორტს აშენებს

ჩვენი პრეზიდენტის გატაცება ალმშენებლობით, როგორც ჩანს, აფხაზებსაც გადაედოთ. ექსპერტ კლუბის ცნობით, აფხაზური ხელმძღვანელობა განიხილავს ოკუპირებული რეგიონის საზღვაო პორტების განვითარების საკითხს, რომლის აკვატორიაც საქართველოს მთავრობის მიერ ცურვისათვის დახურულია. პორტების საკითხი აფხაზმა „პრეზიდენტმა" ალექსანდრე ანქვაბმა 1 თებერვალს განიხილა „აფხაზეთის საზღვაო სანაოსნოს" უფროსთან ზაურ არძინბასთან ერთად.

აფხაზური და რუსული მედიის ცნობით, განიხილებოდა რუსეთის პორტებთან საბორნო გადაზიდვების განხორციელების შესაძლებლობები, რაც გაამარტივებდა ტვირთების ბრუნვას და მდ. ფსოუს სახმელეთო — სასაზღვრო გადასასვლელზე დიდტონაჟიანი ავტომანქანების გადაადგილებას შეამცირებდა.

ამასთან ერთად, ანქვაბმა საკუთარი შეხედულებების ფართო სპექტრისა და ფანტაზიის გაქანების დემონსტრირებით, ასევე მოსკოვისათვის ფედერალური ბიუჯეტის „ასათვისებლად" ახალ — ახალი პროექტების შეთავაზების მზადყოფნით, განაცხადა, რომ „სოხუმისა და ოჩამჩირის პორტების შეზღუდული შესაძლებლობების გამო უნდა დაიგეგმოს უფრო მსხვილი პორტის მშენებლობა".

# ზურაბ ჟვანიას დაღუპვიდან 7 წელი გავიდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას დაღუპვიდან 7 წელი შესრულდა. იგი 2005 წლის 3 თებერვალს თბილისში, საბურთალოზე, კონსპირაციულ ბინაში გარდაცვლილი იპოვეს. მასთან ერთად ბინაში გარდაცვლილი იპოვეს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდა წარმომადგენელი რაულ უსუპოვი. ოფიციალური ინფორმაციით, ზურაბ ჟვანია გასათბობი მოწყობილობიდან გაჟონილი მომწამვლელი ნახშირჟანგის აირით გაიგუდა. იგივე გახდა უსუპოვის დაღუპვის მიზეზიც.



საქართველოს მთავრობის თხოვნით, ბინაში, სადაც ყოფილი პრემიერ-მინისტრი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში იმყოფებოდა, ჰაერის ხარისხის შესამოწმებლად ექსპერიმენტი აშშ-ის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ჩაატარა. როგორც ბიურომ მუშაობის დასრულებისას აღნიშნა, „არ ყოფილა აღმოჩენილი ისეთი გარემოება, რაც საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებულ დასკვნას ეწინააღმდეგება". თუმცა, ზურაბ ჟვანიას ახლობლები, მეგობრები და საზოგადოების გარკვეული ნაწილი ამ ვერსიას არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი მოკლეს.

ზურაბ ჟვანია 1993 წელს აირჩიეს მოქალაქეთა კავშირის გენერალურ მდივნად, 1995-2001 წლებში იყო პარლამენტის თავმჯდომარე. აღმასრულებელ ხელისუფლებაში გამეფებული კორუფციისა და სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ ხელისუფლების თავდასხმების გამო მან 2001 წლის შემოდგომაზე პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა დატოვა. 2002 წლის ივლისში თანამოაზრეებთან ერთად პარტია „გაერთიანებული დემოკრატები" ჩამოაყალიბა. 2003 წლის „ვარდების რევოლუციის" შემდეგ იგი პარლამენტმა სახელმწიფო მინისტრად, 2004 წლის 17 თებერვლას კი პრემიერ-მინისტრად დაამტკიცა.

ზურაბ ჟვანია თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში არის დაკრძალული.

მისი გარდაცვალების ბურუსით მოცული ისტორია დღემდე ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ეს კითხვის ნიშნები კიდევ დიდი ხნის განმავლობაში იარსებებს.

დიდი ხმაურის მიუხედავად, ნაციონალებმა უარი თქვეს საპარლამენტო კომისიის შექმნაზე, რომელსაც ეს საქმე უნდა შეესწავლა და ამით დამატებით კითხვის ნიშნები გაჩნდა.

ახალი თაობა
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ტელეკომპანია „იმედი“ სკანდალში გაეხვია

## ვის უნდა აუნაზღაუროს მან ზარალი?



შალვა ჯოხაძე

ხელისუფლების წამოწყების წყალობით, საპარლამენტო ქალაქად ქცეულ ქუთაისში მალე ე.წ. ნაციონალური ტელეარხებიც გადაბარგდებიან. ეს იმით გამოიხატება, რომ ქუთაისში მათი ერთგვარი ფილიალები, სპეციალური სტუდიები ამუშავდება. როგორც ირკვევა, საკუთარი სტუდიები იქ „რუსთავი 2“-ს, „იმედსა“ და საზოგადოებრივ მაუწყებელს ექნებათ. გამოდის, რომ დეპუტატებთან და პარლამენტის აპარატის თანამშრომლებთან ერთად, ამ ქალაქს ჟურნალისტებიც შეესევიან. აბა, საპარლამენტო სიახლეებს გაშუქება ხომ უნდა! ისე, ლოგიკურია – ძალიან ბევრი რესპონდენტი, ანუ დეპუტატი ქუთაისში უნდა გადავიდეს და მათთან ადგილზევე ინტერვიუების ჩაწერის აუცილებლობა იარსებებს.

არ არის გამორიცხული, „კურიერი“, „ქრონიკა“ თუ „მოამბე“ პირდაპირ ქუთაისის სტუდიიდან გავიდეს ეთერში. ამის პრაქტიკა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა უკვე დაამკვიდრა, როდესაც „კურიერის“ სტუდია ბათუმის „შერატონში“ მოაწყო და ზაფხულის სეზონზე ახალ ამბებს სწორედ ამ ზღვისპირა ქალაქიდან გვიყვებოდა.

ქუთაისის ხელმძღვანელობა უკვე თავს იწონებს იმით, რომ მათთან ტელეკომპანია „იმედისა“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის სტუდიები იხსნება. ქუთაისის მერ გია თევდორაძის განცხადებით, ტელეკომპანია „იმედის“ ოფისი ერთ-ერთი მაღალსართულიანი შენობის ბოლო სართულზე განთავსდება, ხოლო მეორე არხის სტუდია – კონტროლის პალატის შენობის ერთ ფლიგელში.

თევდორაძის ცნობით, „იმედის“ სტუდიის მოწყობა დაახლოებით 2 თვეში დასრულდება, ხოლო საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის სტუდიის დასრულების ვადებზე მერი ჯერ ვერ საუბრობს. ასევე, არ ხმაურდება „რუსთავი 2“-ის სტუდიის მშენებლობის მიმდინარეობისა თუ მისი

### სად განთავსდება ქუთაისში „რუსთავი 2“-ის, „იმედისა“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის სტუდიები

დასრულების თარიღი. თუმცა, სტუდია რომ ნამდვილად შენდება, ამაზე ქუთაისში ბევრს საუბრობენ. ამ თემას ადგილობრივი პრესაც გამოეხმაურა. მაგალითად, „ახალი გაზეთის“ ცნობით, „რუსთავი 2“-ის სტუდია ქუთაისში უახლოეს მომავალში გაიხსნება. ისევე, როგორც „იმედის“ სტუდია, „რუსთავი 2“-ის ქუთაისის ბიუროც ახალი პარლამენტის შენობის მიმდებარედ არსებულ კორპუსებში განთავსდება. ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო სამსახურის პროდიუსერმა ირმა ლორიამ აღნიშნა, რომ სტუდია მათი რეგიონული გადამღები ჯგუფისთვის იმუშავებს.

– საჭიროების შემთხვევაში, მათ დაეხმარება თბილისიდან ჩამოსული ერთი გადამღები ჯგუფი, – განუცხადა ლორიამ ჟურნალისტებს.

„კურიერის“ პროდიუსერი გიორგი ლაფერაშვილი კი ამბობს, რომ რეგიონებში სტუდიების მოწყობის გამოცდილება აქვთ და მათ ეს არც ქუთაისში გაუჭირდებათ.

– ქუთაისის სტუდიაში შეიძლება მოვიწვიოთ სტუმრები პარლამენტიდან, ვგეგმავთ საპარლამენტო კორესპონდენტების მივლინებასაც, – აღნიშნა ლაფერაშვილმა.

თუკი „რუსთავი 2“-ის სტუდიის მშენებლობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაციაც კი არ ვრცელდება, სამაგიეროდ, „იმედის“ მიერ წამოწყებული მშენებლობა სკანდალის ფონზე მიმდინარეობს. ქუთაისში ამის შესახებაც ძალიან ბევრს საუბრობენ. საქმე ისაა, რომ ტელეკომპანიამ მომავალ მეზობლებს სერიოზული პრობლემები შეუქმნა. უკვე აღვნიშნეთ, რომ ქუთაისის მერის თქმით, „იმედის“ სტუდია ერთ-ერთი მაღალსართულიანი სახლის ბოლო სართულზე მოთავსდება. თუმცა, ის კი არ აღგვინიშნავს, რომ რეალურად, ამ „ბოლო“ სართულს უკვე არსებულ ბოლო სართულზე ზემოდან აშენებენ. ჩვენი ქუთაისელი კოლეგების, გაზეთ „პოსტსკრიპტუმის“ (პ.ს.-ს) წარმომადგენლების ცნობით, „იმედმა“ საცხოვრებელი კორპუსის მერვე სართულის თავზე, მის სახურავზე დაიწყო სტუდიის მშენებლობა.

„პოსტსკრიპტუმი“ წერს, რომ, რამდენიმე კვირის წინ ირაკლი აბაშიძის ქუჩის №17-ში მდებარე რვასართულიანი სახლის მცხოვრებნი გვარიანად შეაშფოთა მათ სახურავზე გამართულმა ხმაურმა, ე.წ. დრელის გამუდმებულმა გუგუნმა. როდესაც იკითხეს, რა ხდებოდა, პასუხი ვერ მიიღეს. ადგილობრივებმა, მხოლოდ მოგვიანებით, არაოფიციალურად გაარკვიეს, რომ მათი კორპუსის თავზე „ტელეიმედის“ სტუდია, ფილიალი შენდებოდა, თუმცა, ამ მშენებლობის შესახებ მოსახლეობისათვის არანაირი დოკუმენტი არ წარუდგენიათ. კორპუსის მცხოვრებთა თქმით, არც ხელშეკრულება არსებობს.

აი, რა უამბო „პოსტსკრიპტუმს“ კორპუსის მცხოვრებმა ფარნაოზ სინატაშვილმა:

– ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, ერთ-ერთი ადგილობრივი კომპანია, შპს „184“ შემოიჭრა, რომელმაც სადარბაზოს ჭერზე, ტელეკომპანია „იმედის“ სტუდიის ფილიალის განთავსების მიზნით, ნგრევა დაიწყო. პირველ შეხვედრაზე მერია და მუნიციპალიტეტი არ იყვნენ საქმის კურსში. მეორე შეხვედრა მერიის წარმომადგენლების, ბინის ამხანაგობის თავმჯდომარისა და რამდენიმე მეზობლის მონაწილეობით გაიმართა. ცუდია, რომ რამდენიმე მეზობელი მაშინვე დაეთანხმა მშენებლობის პროცესს. ამხანაგობის თავმჯდომარემ, ამ მშენებლობის სანაცვლოდ, ხეების ტოტების მოჭრა მოითხოვა, ზოგიერთმა მეზობელმა – ლიფტის გამართული მუშაობა და სადარბაზოს შეღებვა, ხოლო ზოგიერთი მცხოვრები მშენებლობაზე დასაქმდა. ბინა არის პრივატიზებული. მერვე სართულზე სამი ოჯახი ვცხოვრობთ. აღნიშნული სამუშაოები დღესაც მიმდინარეობს. არის აუტანელი ხმაური. დასკდა ჭერი, იყრება ბათქაში, ჩამოდის წყალი. საცხოვრებელი ფართი პრივატიზებული გვაქვს და არ გვინდა, ჩვენი სართულის ზემოთ რაიმე ობიექტი დააშენონ. ხდება საკუთრების ხელყოფა. მათ უნდათ, მერვე სართულის ჭერი იატაკად გამოიყენონ. უნდა აიღონ „სინკარები“ და დადონ 25-ტონიანი კონსტრუქცია. ყოველივე ამის გამო, ჩვენს სართულზე საყრდენი კედლები უნდა დაიბურღოს. არ გვინახავს ექსპერტიზის დასკვნა. არ ვიცით, იქნება თუ არა გამოსხივება. საერთოდ, რამდენად მიზანშეწონილია მსგავსი სამსახურის განთავსება საცხოვრებელი ბინის სახურავზე? არ გვაქვს უსაფრთხოების გარანტია, არ არის გაფორმებული ხელშეკრულება მერვე სართულის მცხოვრებლებთან, არ არის გამოყოფილი კომპენსაცია. ტელეკომპანია „იმედის“ მენეჯერს ქუთაისში ჩამოსვლა არც უკადრებია, მხოლოდ თბილისიდან იძლევა ბრძანებებს.

„პოსტსკრიპტუმის“ ინფორმაციით, კორპუსი 43 წლის წინაა აშენებული, საკმაოდ მოძველებულია. გაზეთის ჟურნალისტები ადგილზეც იყვნენ მისულნი.

– როდესაც მშენებლობის სანახავად მივედით, ასეთი სურათი დაგვხვდა: მერვე სართულის ე.წ. ჩერდაკებზე რამდენიმე მუშა მუშაობდა, რკინის რამდენიმე კონსტრუქცია იყო დამონტაჟებული. მუშებთან საუბრისას გაირკვა, რომ აღნიშნული პროექტი დაფინანსებულია და შეკვეთილია თბილისიდან, ხოლო ქუთაისში სამუშაოებს კურირებს შპს „184“. როდესაც ერთ-ერთ მუშას, თამაზს, ვკითხეთ, თავად რამდენად უსაფრთხოდ თვლიდა ამ მშენებლობას, გვიპასუხა, აქ უსაფრთხოებაზე არ არის ლაპარაკი. პროექტი დადებულია, შეკვეთა აღებული გვაქვს და უნდა დასრულდეს გარკვეულ ვადაში – დაახლოებით, პარლამენტის დასრულების დროისთვისო.

მუშებისაგან ისიც გავიგეთ, რომ ბინის თავზე არსებული ჭერის აღებასა და მერვე სართულის ჭერის იატაკად გამოყენებას აპირებენ. შენობა შეიცავს შუშის კონსტრუქციას. რამდენად ხარისხიანად და უსაფრთხოდ შესრულდება ეს ყოველივე, გაურკვეველია. პასუხისმგებლობას, ჯერჯერობით, არავინ იღებს.

აღნიშნული ბინის მერვე სართულზე ცხოვრობს სამი ოჯახი. ერთ-ერთ ოჯახში არის ავადმყოფი ქალბატონი, რომელიც მწოლიარეა და, მისი ოჯახის წევრთა თქმით, უბედურების შემთხვევაში გაქცევასაც ვერ მოახერხებს. ეს ოჯახები მუდმივ შიშსა და განცდაში იმყოფებიან.

როგორც ამ სამ ოჯახთან საუბრისას გამოირკვა, კორპუსის სხვა მეზობლები არ იზიარებენ მათ პრობლემას, რადგან ზოგიერთი დასაქმდა (დღეში 20 ლარად), ზოგიერთმა კიდევ სხვადასხვა საკითხის მოგვარება მოითხოვა.

ისიც გვიამბეს, რომ, როდესაც მერვე სართულის მობინადრეებმა პროექტის არქიტექტორთან შეხვედრა მოინდომეს, ადგილზე მოვიდა წარმომადგენელი და მათ განუცხადა, შეგიკეთებთ იმას, რასაც დაგიზიანებთო, თუმცა, ამის შესახებ, მათი თქმით, არც ხელშეკრულება გაფორმებულა და არც დოკუმენტი. შესაძლოა, ეს უბრალო სიტყვად დარჩეს, – წერს „პოსტსკრიპტუმის“ ჟურნალისტი.

„პოსტსკრიპტუმის“ ბოლო ინფორმაციით, რამდენიმე ხნის წინ კორპუსის მცხოვრებნი ქუთაისის მერ გიორგი თევდორაძეს შეხვდნენ და ამ შეხვედრით უკმაყოფილონი დარჩნენ.

– კაბინეტში შესვლისთანავე მერმა გვირჩია, ემოციები მოგვეთოკა და თემაზე გადავიდა: ეს არის პრიორიტეტი ქვეყნისთვის და განსაკუთრებით – ქალაქისთვის, თუ ხელს შეგვიშლით, არსებობენ ორგანოები, რომლებიც ამ ხელისშეშლას მოაგვარებენო. ასევე დასძინა, რომ თუკი სურვილი გვექნებოდა, ბინას გვიქირავებდა და გადაგვიხდიდა 500 ლარს ქირისა და კომუნალური ხარჯებისთვის, – უთხრა ნინო ჯინჭარაძემ ჟურნალისტებს.

ჯინჭარაძემ ისიც აღნიშნა, რომ რამდენიმე დღის წინ ტელეკომპანია „იმედიდან“ მათ წერილი მიიღეს, რომელშიც ეწერა, რომ ბოდიშს უხდიდნენ მცხოვრებლებს და დაზიანების შემთხვევაში ზარალს აანაზღაურებდნენ. თუმცა, ქუთაისის ხელმძღვანელობა თუ არხის წარმომადგენლები რამდენად დააკმაყოფილებენ დაზარალებული მოსახლეობის სამართლიან მოთხოვნებს, ეს ჯერ კიდევ გაურკვეველია.

სხვათა შორის, ქუთაისის საკრებულოს წევრმა, „ახალი მემარჯვენეების“ ქუთაისის ოფისის ხელმძღვანელმა მამუკა მღვდელაძემ „იმედის“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე გაიტანა, თუმცა, ქუთაისის მერ გიორგი თევდორაძის შეფასებით, ქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ასეთი სოლიდური მედიასაშუალება ქუთაისში თავისი სტუდიის მოწყობას აპირებს. ამიტომ მერმა მემარჯვენეს ურჩია, პოლიტიკური ქულების დაწერისათვის თავი დაენებებინა. მღვდელაძემ მოგვიანებით აღნიშნა, რომ ქუთაისის განვითარება არ სწყინს, მაგრამ ამ ყველაფრით ადამიანების უფლებები არ უნდა დაირღვეს.

თუმცა, ადამიანების უფლებებს ვინ დაეძებს, როცა პრეზიდენტს ბრძანება აქვს გაცემული, რომ პარლამენტის პირველი სხდომა ახალ შენობაში უკვე წელს, 26 მაისს ჩატარდეს.

– ჩემი დაპირებაა, რომ ქუთაისი გახდეს არა მხოლოდ საპარლამენტო დედაქალაქი, არამედ მეორე დედაქალაქი. ეს ნიშნავს იმას, რომ აქ ბევრი ფუნქცია გადმოვიდეს. ჩვენი ამოცანაა, როცა პარლამენტი გადმოვა, კონტროლის პალატა მთელი შემადგენლობით გადმოვიდეს ქუთაისში. ახლა ნაწილობრივ არის გადმოსული. ბევრი სხვა რაღაცაც კეთდება ქუთაისში, – განაცხადა სააკაშვილმა.

სააკაშვილმა ამ „სხვა რაღაცაში“, ალბათ, ქუთაისში ტელევიზიების სტუდიების გახსნა იგულისხმა. აი, მეორე არხის შემთხვევაში კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელი ტელევიზია ქუთაისში გადადის. რადგანაც სააკაშვილი ახალ პარლამენტში პირველი სხდომის გამართვას 26 მაისს გეგმავს, მეორე არხის პირველი ტრანსლაციაც ქუთაისიდან ამ დღეს გაიმართება. საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაციით, არხი სრული დატვირთვით ოქტომბერში დაიწყებს მუშაობას. სხვათა შორის, მეორე არხის საეთერო სტუდიები პარლამენტის შენობაშიც განთავსდება. რაც შეეხება მის ოფისს ქუთაისში, მეორე არხის სტუდიაში პირველი არხის წარმომადგენლობაც განთავსდება, საიდანაც „მოამბის“ პირდაპირ ეთერში გაშვებაც იქნება შესაძლებელი.

# როგორ გაბერეს გადასახადი და გაუბერეს თბილისის წყალში

## „არა უსამართლო წყლის გადასახადს!“

შალვა ჯოხაძე

დედაქალაქის წყალმომარაგებაში არსებულ პრობლემებს ისიც დაემატა, რომ თბილისის ძალიან ბევრ მცხოვრებს საოცრად გაბერილი წყლის ქვითარი მიუვიდა. არა, ამას უკვე გაბერვა აღარ ჰქვია! ჩვენ ვნახეთ ქვითარი, რომელშიც ერთ ჩვეულებრივ ოჯახს 21 ზედმეტი სული მიაწერეს. ქვითრებში წლების წინ გარდაცვლილი მრავალი მოქალაქეც გააცოცხლეს. მოკლედ, ასე გაუბერეს წყლის კომპანიაში. სწორედ ამიტომ ინტერნეტში უკვე გამოჩნდა პეტიცია, რომელსაც ინტერნეტმომხმარებლები საკუთარი ხელმოწერით უერთდებიან. „არა უსამართლო წყლის გადასახადს!“ – ასეთია პეტიციის მოთხოვნა.

– ჩვენ, თბილისში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები, დასუფთავების გადასახადის ელექტროენერგიის ხარჯვასთან მიბმის შემდეგ, კიდევ ერთხელ აღგვაშფოთა უსამართლო საგადასახადო პოლიტიკამ.

ახლახან, სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ მოქალაქეთა სარეგისტრაციო მონაცემები გადასცა შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს. რეესტრმა და წყლის კომპანიამ ნაცვლად იმისა, რომ სამოქალაქო რეესტრის ბაზაზე დაყრდნობით, გადაემოწმებინათ საცხოვრებელ სახლებში რეალურად მცხოვრები აბონენტების რაოდენობა და ჩაესწორებინათ არსებული ცდომილებები, ჩვენ, უბრალო მოქალაქეებს, დაგვაკისრეს ეს ტვირთი. უფრო მეტიც, იძულებული ვართ, ელექტროენერგიის მოწოდების შეწყვეტის შიშით, გადავიხადოთ წყლის გადასახადი ჩვენს სახლებში რეგისტრირებული არარსებული ადამიანების ნაცვლად.

ჩვენ კანონმორჩილი მოქალაქეები ვართ და, რასაკვირველია, მზად ვართ, წყლის გადასახადი გადავიხადოთ, ოღონდ იმის საფასური, რასაც ჩვენ თვითონ დავხარჯავთ, – საუბარია პეტიციაში.

პეტიციაში ასევე მოტანილია მაგალითი: ქალბატონი ელენე კვარაცხელია უმუშევარია და მარტო ცხოვრობს სახლში, თუმცა, 24 იანვარს მისულ ქვითარზე ამოიკითხა, რომ მის სახლში რეგისტრირებული ყოფილა კიდევ 8 ადამიანი. ამათგან ერთი სახლის ყოფილი მესაკუთრეა, დანარჩენები კი მისთვის სრულიად უცნობი პირები არიან.

ქალბატონმა ელენემ 2,40 ლარის ნაცვლად (რასაც აქამდე იხდიდა) გადაიხადა 21,60 ლარი. მან სამოქალაქო რეესტრის სამსახურს სასწრაფოდ მოახსნევინა რეგისტრაციიდან ის 8 ადამიანი, მაგრამ, იძულებული იყო, გადაეხადა წყლის გადასახადი 21,60 ლარის სახით, რადგან ელექტროენერგია გაეთიშებოდა 3 თებერვალს.

ქალბატონ ელენეს წარმოდგენა არა აქვს, ეს თანხა უკან როგორ დაიბრუნოს. მისთვის სამართლებრივი მომსახურება ძვირი და უპერსპექტივოა. იმავე მდგომარეობაშია ასეულობით ათასი ჩვენი თანამოქალაქე.

პეტიციაში აღნიშნულია:

– ჩვენ ვაპროტესტებთ იმას, რომ იძულებული ვართ, გადავიხადოთ წყლის გადასახადი არარსებული ადამიანების ნაცვლად, მხოლოდ იმიტომ, რომ სამოქალაქო რეესტრმა და შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა მონაცემების გადამოწმებას გადასახადის დაკისრება ამჯობინეს.

ჩვენ არ შევეგუებით იმას, რომ შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი არც წყლის ხარისხზე, არც მრიცხველების დამონტაჟებასა და ირონიაა, მაგრამ არც წყლის მუდმივ მოწოდებაზე გრძნობს პასუხისმგებლობას. თუმცა, ამ სარეგისტრაციო აურზაურის შედეგად ჩვენ მიერ გადახდილი უსამართლო გადასახადის ხარჯზე მილიონობით ლარს მიითვისებს.

# ფიქრია ჩიხრაძე: ივანიშვილი პოლიტიკურ ლიდერად ჯერ ვერ ჩამოყალიბდა“

## „სააკაშვილს პუტინად ლოგიკა აქცევს“

თამარ ნინიძე

**'ახალი მემარჯვენეების' ერთ-ერთი ლიდერი, ფიქრია ჩიხრაძე, იმედოვნებს, რომ საქართველოში ოდესმე დადგება პერიოდი, როცა მმართველი პარტია კი არ გაქრება პოლიტიკური სივრციდან, არამედ წავა ოპოზიციაში და გამარჯვებულს დაუთმობს ხელისუფლებას. ის ასევე ფიქრობს, რომ სააკაშვილი აცნობიერებს იმ საფრთხესა და ნეგატიურ ვითარებას, რომელიც შეიძლება მოჰყვეს მის დარჩენას ნებისმიერი სახით ხელისუფლებაში. 'ახალი თაობა' ფიქრია ჩიხრაძეს ესაუბრა.**

***— რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ამერიკაში სააკაშვილის ვიზიტისგან? რას ნიშნავდა ობამას ნათქვამი ხელისუფლების ფორმალურ გადაბარებაზე და იმაზე, რომ ამერიკა ელის საქართველოში დემოკრატიულ არჩევნებს?***

— ამერიკაში პრეზიდენტის დაბარების ნაცვლად და მისთვის თითის დასაქნევად სხვა მექანიზმი არსებობს, ხელისუფლებისადმი კრიტიკის გადასაცემად სხვა მეთოდი არსებობს. ჩვენ ვთვლით, რომ ეს იყო ორი ქვეყნის ურთიერთობაში საკმაოდ მნიშვნელოვანი მომენტი. ამას არ განვიხილავთ კონკრეტულად სააკაშვილის კონტექსტში. ამერიკა-საქართველოს ურთიერთობაში სტრატეგიული ხაზის კიდევ ერთხელ დადასტურება და გაგრძელება გახლდათ. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ერთი მომენტი — საქართველო იმ შემთხვევაში აღმოჩნდება სრულფასოვანი პარტნიორი დემოკრატიული ქვეყნებისა და დემოკრატიული სამყაროს ნაწილი, თუკი აქ შეუქცევადი დემოკრატიული პროცესი ჩამოყალიბდება. ამის ყველაზე დიდი დადასტურება, ჩვენი შეფასებით, მიჯნაც კი იქნება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები. ამაზე იყო ღია საუბარი გახსნილი ტექსტით და ის მოლოდინი, რომელიც ამერიკის პრეზიდენტისგან ითქვა, ნამდვილად აქვთ შეერთებულ შტატებს საქართველოში. ეს არის ქართველებისთვის შანსი, რომ ის თითოეული ჩვენგანის საკეთილდღეოდ გამოვიყენოთ. მეორე მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც ჩვენთვის ხაზგასასმელია, იყო ის, რომ პირველად ამ სტრატეგიული ურთიერთობის ფორმატში გაჩნდა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ პროცესის დაწყების შესაძლებლობა. ეს საქართველოსთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანი შანსია. მოგეხსენებათ, საქართველოში გარკვეული ინვესტიცია შემოდის, მაგრამ ამასთან დაკავშირებით ყოველთვის არის კითხვის ნიშნები. ძირითადად ვხედავთ აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოსულ ინვესტიციებს. მინდა, უფრო ცხადი გავხადო, რა მნიშვნელობა აქვს ამერიკულ ინვესტიციას საქართველოში. ეკონომიკური რეგრესი დიდწილად უკავშირდება მონოპოლიებს. მობილური კომუნიკაციის სფეროში რეალურად არსებობს კონკურენცია და ამით არის განპირობებული შედარებით დაბალი ფასები. ერთ-ერთი კომპანია ამერიკული ინვესტიციით არის შექმნილი და, შესაბამისად, ხელისუფლებამ ვერ მოახვია თავზე თავისი მონოპოლიური მისწრაფებები. მაგთი მაქვს მხედველობაში. რაც უფრო მეტი ასეთი ინვესტიცია განხორციელდება საქართველოში, მით უფრო მეტი თავისუფლება იქნება ბიზნესში, ეს კი ნიშნავს ცხოვრების გაიაფებას.

სიტყვა ფორმალურმა გადაცემამ უსაფუძვლო აჟიოტაჟი გამოიწვია, ფორმალური არ ნიშნავს იმ გაგებას, რა მნიშვნელობითაც ჩვენ ვიყენებთ ამ სიტყვას. ეს ნიშნავს ოფიციალური დადგენილი წესით გადა-



ცემას. ეს იმ კონტექსტში იყო ნათქვამი, სადაც ითქვა დემოკრატიული არჩევნების მოლოდინზეც.

***— სააკაშვილი 44 წლის არის და ამ ასაკში იწყებენ პოლიტიკურ კარიერას, სააკაშვილმა კი უნდა დაასრულოს ეს კარიერა. თქვენი აზრით, დათმობს სააკაშვილი ძალაუფლებას საკუთარი ნებით?***

— ვისურვებდი, იმ ასაკში არ დაეწყო პოლიტიკური კარიერა, რა ასაკშიც დაიწყო და რევოლუციური განვითარებისთვის არ დაედო სათავე. რადგან ეს მოხდა, პროცესს უკან ვეღარ დავაბრუნებთ. ის ახალგაზრდაა და ზედმეტად ენერგიული საიმისოდ, რომ პოლიტიკურ პენსიაზე ფიქრობდეს. მას, ალბათ, თავის წარმოდგენაში არ ჩამოუწერია იდეა, რალაცა ფორმით დარჩეს მაღალ თანამდებობაზე და საკონსტიტუციო ცვლილებები განხორციელდა დიდწილად იმისათვის, რომ მას გარკვეული შანსი ჰქონდეს საამისოდ, მაგრამ, არა მგონია, სააკაშვილი იყოს ის პოლიტიკოსი, რომელიც ვერ აცნობიერებს, რამდენად ნეგატიური შეიძლება აღმოჩნდეს კონკრეტულად მისი პოლიტიკური მომავლისთვის, ქვეყნის მომავალს რომ დავანებოთ თავი, პრეზიდენტობიდან პრემიერ-მინისტრის სავარძელში გადანაცვლება. დღევანდელი კონსტიტუცია მას ამის შესაძლებლობას აძლევს, პუტინსაც აძლევს რუსეთის კონსტიტუცია ამის შესაძლებლობას. მაგრამ არსებობს პოლიტიკური ლოგიკა, პოლიტიკური პროცესის განვითარების სიჯანსაღე, რაც გამორიცხავს ამგვარ პროცესებს. თუ გვინდა, რომ ქვეყანაში ჯანსაღი პოლიტიკური პროცესი წარიმართოს, ერთი ადამიანი წამყვან თანამდებობაზე არ უნდა რჩებოდეს. როტაციული პრინციპი გვაქვს ელჩების შემთხვევაში, რათა ერთი ადამიანი არ შეეჩვიოს ერთ ადგილზე დიდხანს ყოფნას. პოლიტიკაც დემოკრატიულ ქვეყნებში ასეა აგებული, რომ დღეს თუ ადამიანი ხელისუფლებაშია, ხვალ ის მიდის ოპოზიციაში. ვისურვებდი, რომ საქართველოში ოდესმე დადგეს ისეთი პერიოდი, როცა ხელისუფლებაში მყოფი ძალა კი არ დაიმსხვრევა, გაქრება პოლიტიკური სივრციდან, არამედ წავა ოპოზიციაში და გამარჯვებულს დაუთმობს ხელისუფლებას ან იქნება კოალიციური პრინციპით ხელისუფლების დაკომპლექტება. ეს იქნებოდა ყველაზე კარგი გამოსავალი საქართველოს რეალობისთვის.



***— სააკაშვილი ქვეყნის შიგნითაც და ქვეყნის გარეთაც ადამიანებს უამრავი შეკითხვის საშუალებას აძლევს თავისი მომავალი კარიერის შესახებ. ამერიკულ პრესაში ხმაურია მისი მოსალოდნელი გაპრემიერების ან სპიკერად მოსვლის თაობაზე. როგორ ფიქრობთ, ეს ადამიანი რაღაც ფუნქციით უნდა დარჩეს ხელისუფლებაში?***

— მისი ხელისუფლებაში ყოფნის ვადა 2013 წელს იწურება, როგორც ორგზის პრეზიდენტისა. ეს, ალბათ, გაცნობიერებული აქვს, სურვილი კი შესაძლებელია აქვს, რომ გაიგრძელოს წამყვან პოლიტიკურ თანამდებობაზე ყოფნა, მაგრამ, არა მგონია, გაცნობიერებული არ ჰქონდეს, რამდენად დიდ საფრთხეს შეიცავს კონკრეტულად მისთვის. მისი განცხადებები ორმაგი გაგების შესაძლებლობას ტოვებს. იყო პერიოდი, რომ ის ამაზე საერთოდ არ საუბრობდა. სანაცვლოდ, მისი თანაგუნდელები საუბრობდნენ თამამად, რომ მას არაფერი უშლის ხელს, დაიკავოს მაღალი თანამდებობა. ეს იმ პერიოდში ითქმებოდა, როცა საკონსტიტუციო ცვლილებები ხორციელდებოდა. დღეს მათი ტონალობა შეცვლილია და, ვფიქრობ, ეს ძალიან კარგია. ის, რომ ბოლომდე უარი მას შინაგანად ნათქვამი არა აქვს, იგრძნობა მის გამონათქვამებში. დანარჩენი ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ ჩატარდება 2012 წლის არჩევნები, რომ ისეთი სურათი შეიქმნას, რათა გულში ჩარჩენილი სურვილის არანაირი რეალიზების შანსი არ დარჩეს. შეიძლება არ იყოს საკანონმდებლო უზურპაცია, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით უზურპაცია მაინც იქნება. რაც უნდა იმეოროს, რომ ის პუტინი ვერ გახდება, ლოგიკა გახდის მას პუტინად და მე არ ვისურვებდი, რომ საქართველოში რუსეთის გზით განვითარდეს მოვლენები.

***— მოგეხსენებათ გიორგი თარგამაძეც იყო ვაშინგტონში და შეხვედრები ჰქონდა უმაღლეს დონზე. პრესაში გაჩნდა ვარაუდი, ხომ არ ეძებს ამერიკა სააკაშვილის შემცვლელს. რა დატვირთვა აქვს თარგამაძის ან, გნებავთ, ალასანიას ვიზიტს შტატებში?***

— ძალიან კარგია, როცა ქართული ოპოზიციის ლიდერები საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობენ, მაგრამ, არა მგონია, რომ ამას გადაჭარბებული შეფასება უნდა მივცეთ. უყვარართ კუდების გამობმა, აი, ვიღაც სადღაც რადგან გამოჩნდა, რაღაც ხდება კულუარებში. ეს ურთიერთობები საინტერესოა, იმიტომ რომ მათ აქვთ განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა. მართალია, დიპლომატების მეშვეობით კარგად იციან ყველაფერი, რაც ხდება ქვეყანაში. ისინი აკვირდებიან პოლიტიკურ სპექტრს, მაგრამ სხვადასხვა დროს სხვადასხვა პოლიტიკოსს ხვდებოდნენ. დავით გამყრელიძეც არაერთხელ იყო პრივატულ შეხვედრებზე ჯორჯ ბუშთან. დღეს გიორგი თარგამაძეა, მანამდე ალასანია იყო. შემცვლელს რაც შეეხება, ამას მხოლოდ ქართველი ხალხი წყვეტს. ამერიკისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, დემოკრატიული გზით მოხდეს ხელისუფლების შეცვლა.

***— კუკავას განცხადებით, რესპუბლიკელებმა ქართველ ხალხს ივანიშვილი, როგორც ლიდერი, წაართვეს. ეთანხმებით ამ აზრს? რატომ დაიწყო დაპირისპირება ივანიშვილის კოალიციის სუბიექტებსა და დანარჩენ ოპოზიციურ სპექტრს შორის?***

— მე ვერ ვიტყვი ჩვენსა და მათ დაპირისპირებაზე. ჩვენ არ გვქონია მცდელობა, ამ კოალიციაში აღმოვჩენილიყავით. იყვნენ ის ძალები, რომლებსაც ამის სურვილი ჰქონდათ და ამაზე ღიად აცხადებდნენ. თვითონ ივანიშვილს თავი არ წარმოუჩენია, როგორც პოლიტიკოსს. ჩვენ არ ვიცით, ის რამდენად არის მომავლის პოლიტიკური ლიდერი. ჯერჯერობით ვიცით მხოლოდ მისი საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ. დღესაც მხოლოდ ფინანსების გამცემ ივანიშვილს ვხედავთ და მისი მყარად ჩამოყალიბებული პოლიტიკური მოსაზრებები არ გვინახავს.

***— „ქართული პარტია“, „ქართული ოცნება“... ახლა გამოჩნდა ინფორმაცია „ქართული ძალის“ შექმნის შესახებ. სავარაუდოდ, ამ პარტიის უკან ებრალიძე დგას. რა იფარება ამ სიტყვის „ქართული“ გაგების უკან?***

— ჩემი დამოკიდებულება სიტყვა „ქართულისადმი“ არასოდეს შეიცვლება, არ დაიტვირთება უარყოფითი კონტექსტით. პოლიტიკურად ამას მომხმარებლური სურნელი დაჰკრავს. პროქართული ორიენტაციის ვართო, ამბობენ ამ პარტიების წევრები. ესეც გაუგებრად მიმაჩნია. მე ეროვნული მოძრაობიდან მივედი პოლიტიკაში. ჩვენი იდეალები ქართული იყო და პროდასავლური კურსის მხარდამჭერები ვიყავით. დასავლურობა არ ნიშნავს იმას, რომ შენს ღირებულებებზე ამბობ უარს. ეს ნიშნავს პოლიტიკური სისტემის შემოღებას, პოლიტიკური ღირებულებების დამკვიდრებას ქვეყანაში. მან უნდა შეუქმნას შენს ქვეყანას სწორი სახელმწიფოებრივი საფუძველი. ამ სიტყვის „ქართული“ პოლიტიკური კონტექსტით დატვირთვა მთლად სწორად არ ხდება ხოლმე. მე არა მგონია, რუსეთზე ორიენტირებული ადამიანები უფრო პროქართველები იყვნენ, ვიდრე დასავლეთზე ორიენტირებულები.

# კობა დავითაშვილს სიყალბის გავრცელებაში ადანაშაულებენ



ნინო ბურჯანაძის პარტია „დემოკრატიული მოძრაობა“ კობა დავითაშვილის განცხადებას ეხმაურება და მას „თავის მოწონების მცდელობას“ უწოდებს. „დემოკრატიული მოძრაობის“ განცხადებას „მედიანიუსს“ „მედიანიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

„დემოკრატიული მოძრაობის“ პრესსამსახური ეხმიანება „ხალხის პარტიის“ ლიდერის კობა დავითაშვილის ბოლოდროინდელ განცხადებებს იმასთან დაკავშირებით, რომ ინიციატივა, რომლის თანახმადაც, ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში ყველა იმ სახელმწიფო მოხელეს, რომელსაც სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენია არც სამსახურის დაკარგვა ემუქრება და არც პოლიტიკური ზეწოლა — თითქოსდა ოპოზიციის მხრიდან საზოგადოებისთვის შეთავაზებული სიახლე იყოს.

გვინდა ბატონ კობას შევახსენოთ, რომ „დემოკრატიული მოძრაობისა“ და „სახალხო კრების“ ლიდერები ყოველთვის უსვამდნენ ხაზს და აცხადებდნენ, რომ იმ სახელმწიფო მოხელეებს, რომლებიც თავიანთ საქმეს კეთილსინდისიერად ასრულებენ, მათ შორის ძალოვანი უწყებების თანამშრომლებსაც და არ ჩაუდენიათ სისხლის სამართლის დანაშაული, მათ სამსახურის დაკარგვის საფრთხე არათუ არ დაემუქრებათ, არამედ მიეცემათ თავიანთი პროფესიული ზრდის მეტი შესაძლებლობა, რის საშუალებასაც დღევანდელი სისტემიდან გამომდინარე მოკლებულნი არიან. კიდევ ერთხელ ვუსვავთ ხაზს, რომ ამ ინიციატივას „დემოკრატიული მოძრაობა“ და „სახალხო კრება“ მუდმივად ახმოვანებდა,ხოლო ბატონი დავითაშვილის მცდელობა, რომ ეს საზოგადოებას სიახლედ წარმოუდგინოს, როგორც ჩანს იმის მცდელობაა, რომ ბატონი კობა ცდილობს თავის მოწონებას. გასაგებია, რომ მას აქვს გარკვეული ვალდებულებები მასზე დახარჯული ძალიხმევის სანაცვლოდ, თუმცა მიგვაჩნია, რომ პოლიტიკოსისგან ხალხისათვის შეგნებული სიყალბის მიწოდების მცდელობა რბილად რომ ვთქვათ არაეთიკურია, მითუმეტეს რომ საზოგადოებას ძალიან კარგად ახსოვს ის გზავნილები, რომელსაც ისინი „დემოკრატიული მოძრაობისა“ და „სახალხო კრების“ ლიდერებისგან იღებდნენ.

საზოგადოებას ისიც გვინა შევახსენოთ, რომ საქართველოში ერთადერთი უწყება, სადაც 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საკადრო წმენდა პოლიტიკური, მონური მორჩილების ან ასაკობრივი ნიშნით არ განხორციელებულა, ეს საქართველოს პარლამენტი იყო, რომელსაც მაშინ ჩვენი პარტიის ლიდერი, ქალბატონი ნინო ბურჯანაძე ხელმძღვანელობდა“.

მედიანიუსი

# ლეიბორისტები თურქეთის ხელისუფლებას პროტესტს უცხადებენ



ლეიბორისტული პარტია თურქეთის ხელისუფლებას პროტესტს უცხადებს და საქართველოში თურქეთის ელჩის ლევენთ მურათ ბურჰანისგან აღნიშნული პროტესტის თურქეთის ხელისუფლებისათვის გადაცემას ითხოვს.

როგორც 3 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის გენერალურმა მდივანმა იოსებ შატბერაშვილმა განაცხადა, თურქეთის სახელმწიფო, სააკაშვილის მოღალატეობრივი ხელშეწყობით, აჭარის კულტურულ, ეკონომიკურ და რელიგიურ მცოცავ ექსპანსიას აწარმოებს.

,,ამის დადასტურებაა მიწების, ქონების, ბიზნესის მასობრივი შესყიდვა, თურქულ ენოვანი სასწავლებლების მიზანმიმართული გახსნა და რაც მთავარია, ბათუმში თურქეთის სულთნის აბდულ აზიზიეს სახელობის გრანდიოზული მეჩეთის მშენებლობა“-აღნიშნა შატბერაშვილმა.

მისი თქმით, ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როდესაც თურქეთის ტერიტორიაზე ქართული კულტურის ძეგლები თურქების მიერ გამოცხადებულია ბიზანტიურად და დანგრევის პირას შეგნებულადაა მიყვანილი.

,,ეს არის არაკეთილმეზობლური დამოკიდებულება, უპატივცემულობა ქართული სახელმწიფოებრიობის, მისი კულტურული მემკვიდრეობისა და რაც მთავარია, უხეში მცდელობა ჩვენი ტერიტორიების ეკონომიკურ-რელიგიური ექსპანსიისა“-აღნიშნა შატბერაშვილმა და დასძინა, რომ მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლება თურქეთის ხელისუფლებასთან ყოველთვის დათმობაზე მიდის.

შატბერაშვილის განცხადებით, თურქეთის მოქალაქეებს საქართველოს ტერიტორიაზე უპრობლემოდ, ვიზების გარეშე შეუძლიათ გადმოსვლა, თურქეთი კი ქართველებს სავიზო შეზღუდვებს უწესებს, რაც დისკრიმინაციაა.

,,აღნიშნულის გამო მტკიცე პროტესტს ვუცხადებთ თურქეთის ხელისუფლებას და ვითხოვთ თურქეთის ელჩმა ლევენთ მურათ ბურჰანმა ეს პროტესტი საკუთარ ხელისუფლებას აცნობოს“-აღნიშნა შატბერაშვილმა.

მედიანიუსი

# მალე გაიგებთ ობამა-სააკაშვილის შეხვედრის გაუხმაურებელ დეტალებს!

## ვინ აწვდის ალასანიას პარტიას ინფორმაციებს ვაშინგტონიდან

ნათია ხურცილავა

**2012 წლის საპარლამენტო არჩევნები, ჩვენი ქვეყნის მომავალი ორიენტირისთვის ძალიან მნიშვნელოვანი რომ არის, ეს კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა ამერიკის პრეზიდენტმა. ამერიკის შეერთებული შტატებისთვის საქართველო ისევ სასურველ პარტნიორად რჩება, მაგრამ საპარლამენტო არჩევნები იქნება ის ინდიკატორი, რომელიც ამ სტატუსს ან შეგვინარჩუნებს, ან – არა.**

წინასაარჩევნო კამპანია უკვე დაწყებული აქვს ხელისუფლებას და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა არ დათმოს. სწორედ პარლამენტში მოსული უმრავლესობა აირჩევს ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, რომელიც კორექტირებული კონსტიტუციით სწორედ პირველი პირი ხდება.

ვინ იქნება ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიის პირველი ნომერი, ეს საკითხი ჯერ გაურკვეველია. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ის წარადგინოს ნაციონალურმა მოძრაობამ გამარჯვების შემთხვევაში პრემიერობის კანდიდატად. სავარაუდოდ, ამ საიდუმლოს დიდხანს შეინახავს მმართველი გუნდი, რადგან ივანიშვილის კოალიციას სწორედ ამ ფიგურის გათვალისწინებით მოუწევს თავისი კონტრპიარის აგება.

უნდა ითქვას, რომ ხელისუფლებას ერთი კოზირი აქვს, მან იცის, ვის უნდა დაუპირისპირდეს. ივანიშვილის კოალიციამ კი – არა.

იქნება თუ არა ოპოზიციის წინასაარჩევნო პიარი აგებული ამ საკითხზე, ამ ინფორმაციას არ ფლობს „თავისუფალი დემოკრატების" წარმომადგენელი ვიქტორ დოლიძე.

**ინტერვიუ ვიქტორ დოლიძესთან:**

***– ბატონო ვიქტორ, ამერიკისა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრას სხვადასხვაგვარი შეფასებები მოჰყვა ხელისუფლებისა და ოპოზიციის მხრიდან. რას იტყვით იმ გზავნილებზე, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას მხრიდან გაკეთდა?***

– პრეზიდენტ ბუშისა და პრეზიდენტ სააკაშვილის შეხვედრას არანაირი ზედმეტი ინტერპრეტაციები არ სჭირდება. ორივე მხარემ, როგორც პრეზიდენტმა ობამამ, ასევე ვფიქრობ, სააკაშვილმაც საკმაოდ მკაფიოდ გამოხატეს თავიანთი სათქმელი. ჩვენი ქვეყნის მომავალი დემოკრატიული განვითარებისთვის, ვფიქრობ, საკმაოდ მკაფიოდ ითქვა, თუ რა ნაბიჯებია გადასადგმელი და რა არის საჭირო. ისევე, როგორც ამერიკა-საქართველოს შორის თანამშრომლობის სტრატეგიულ მხარეებზე, თავდაცვა-უსაფრთხოებიდან დაწყებული და ნატოში ჩვენი ასპირანტობიდან დამთავრებული, ეკონომიკურ-პოლიტიკურ-სავაჭრო და სხვა ურთიერთობებზე. პრეზიდენტმა ობამამ მკაფიოდ განაცხადა, რომ საქართველო კვლავ რჩება ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ პარტნიორად. ის მადლიერია ქვეყანაში გატარებული რეფორმების, პროგრესის, რომელიც აქამდე განხორციელდა, მაგრამ ამ ყველაფრის სრულყოფისთვის აუცილებელია 2012 წელს ქვეყანაში ჩატარდეს ღია და სამართლიანი, თავისუფალი არჩევნები, რომლის შემდეგ ხელისუფლების გადაცემა მოხდება, რაც სრულყოფს საბოლოოდ ქვეყანაში დემოკრატიული განვითარების რეალურ პრესპექტივებს. ასეთია რეალობა, რაც არ უნდა ისაუბროს გოკა გაბაშვილმა, აკაკი მინაშვილმა ან ნებისმიერი ოპოზიციური ძალის წარმომადგენელმა, რეალობა ერთია. ამერიკის შეერთებულ შტატებში სააკაშვილის ვიზიტს წინ უძღოდა ბერნსის ვიზიტი საქართველოში, ასევე ჰილარი კლინტონის, ნიკოლა სარკოზის განცხადება, რომლებიც სწორედ ხელისუფლების გადაცემას ეხებოდა.

***– ხელისუფლების ფორმალური გადაცემა – ასეთი ფრაზა თქვა პრეზიდენტმა ობამამ. ამ ფრაზის სხვადასხვაგვარი ახსნა ხდება, თქვენ როგორ გაიგეთ?***

– „ფორმალური" ინგლისური ტრანსკრიფციით ამ შემთხვევაში ნიშნავს „ოფიციალურს". ასეთია ინგლისური ენის სპეციალისტების განმარტება. თავადაც ასე აღვიქვი. თუმცა, ოფიციალურს დავარქმევთ, ფორმალურს თუ სრულყოფილ გადაცემას ხელისუფლების ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია ამ ქვეყანაში ბოლო 20 წლის განმავლობაში, დამოუკიდებლობის მიღებიდანვე, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა ხელისუფლების გადაბარება, შეცვლა არჩევნების გზით, რომელიც დემოკრატიული ქვეყნის უმთავრესი ნიშანწყალია. დემოკრატიის პირველი ნიშანი სწორედ თავისუფალი და სამართლიანი, ღია არჩევნებია. საქართველოში ეს ტრადიცია ვერა და ვერ დამკვიდრდა. ჯერ იყო კონდახების რევოლუცია, სამოქალაქო დაპირისპირება, შემდეგ „ვარდების რევოლუცია". ეს ყველაფერი ჩვენი ქვეყნისთვის საზიანოა, ძალიან ცუდია. თუ ჩვენ, ჩვენი საზოგადოების მხარდაჭერით, ერთხელ და სამუდამოდ დავამკვიდრებთ ხელისუფლების შეცვლას არჩევნების გზით, ეს იქნება წინგადადგმული ნაბიჯი როგორც ქვეყნის პროგრესის, ასევე დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით. ეს იდო ამ გზავნილში, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. ჩემთვის, აბსოლუტურად უმნიშვნელოა ამ შემთხვევაში პერსონა და პერსონალიები. ბუნებრივია, მე პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი ვარ და ჩვენი ძალა ხელისუფლებაში მოსვლას ცდილობს და, შესაბამისად, ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ძალისთვის. იცით რომ, პოლიტიკური კოალიცია ყალიბდება ბიძინა ივანიშვილთან და დავით უსუფაშვილთან ერთად, ძალიან სერიოზული გეგმე-



ბი გვაქვს, მაგრამ ჩვენი უმთავრესი მიზანი არის სწორედ სისტემური ცვლილება ამ ქვეყანაში. ნებისმიერი პოლიტიკური ძალა, რომელიც ხელისუფლებაში მოვა და მოახერხებს, რომ არსებული სისტემა შეცვალოს და ჩამოაყალიბოს სისტემა, რომელიც არც ერთ ხელისუფლებას არ მისცემს ხელისუფლების უზურპაციის საშუალებას, თავის თავზე მორგების შესაძლებლობას, რასაც სააკაშვილმა კარგად აულო ალღო და ამით დააზიანა ჩვენი ქვეყნის იმიჯი, ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ამას მოახერხებს, მართლაც იამაყებს და ბედნიერი იქნება. ეს არის ჩვენი ძირითადი მიზანი და არა ის, რომ დოგმად გვექცეს ხელისუფლებაში მოსვლა. ჩვენ ვიყავით ხელისუფლებაში და საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილებზეც ვმუშაობდით, მაგრამ ნაციონალური მოძრაობის კონიუნქტურის ქვეშ მუშაობა შეუძლებელი იყო და ამიტომაც წამოვედით.

***– თუმცა, მაშინ გარკვეული მიზეზიც დასახელდა...***

– მიზეზი იყო პირველ რიგში 7 ნოემბერი, მაგრამ მაშინ ვერ დავტოვე, რადგან ეუთოში ვიყავი წარმომადგენელი. კონფლიქტის შემდეგ ეუთოში ჩემს ყოფნას აზრი არ ჰქონდა. ისევ არჩევნების საკითხს რომ დავუბრუნდეთ, რა თქმა უნდა, არჩევნებში ვინ გაიმარჯვებს, ეს ქართველი ხალხის გადასაწყვეტია. საქართველოს მოქალაქეებმა უნდა გამოხატონ თავიანთი ნება. ღმერთმა დაგვიფაროს, ვინმემ მიგვითითოს ვინ ავირჩიოთ, მაგრამ ისეთმა სტრატეგიულმა პარტნიორმა, როგორიც არის ამერიკის შეერთებული შტატები და მისი უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელსაც პრეზიდენტი ობამა წარმოადგენს, მისგან ეს გზავნილი ძალიან ყურადსაღებია. ამ მხრივ ამ ვიზიტს ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. მეორე მხრივ, როდესაც სააკაშვილზე ვსაუბრობთ, მან აღიარა, რომ ის არ იქნება პრეზიდენტი.

***– პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ ის არ იქნება პრეზიდენტი. ეს გასაგებია, რადგან მესამე ვადით კენჭს ვერ იყრის. საინტერესოა რას აპირებს შემდეგ, პრემიერ-მინისტრი იქნება, პარლამენტის თავმჯდომარე თუ პოლიტიკურ კარიერას დაასრულებს? თქვენ როგორ წაიკითხეთ პრეზიდენტის ეს განცხადება?***

– რასაკვირველია, არ მეგულება გამოცდილი დიპლომატი, რომელსაც უმუშავია ორმხრივ, გნებავთ მარავალმხრივ ურთიერთობებზე (ამის ბედნიერება მქონდა ბრიუსელშიცა და ვენაშიც) და პრეზიდენტის ეს განცხადება ვერ წაიკითხოს. დარწმუნებული ვარ, კულისებს მიღმა საკმაოდ სერიოზული საუბარი ჰქონდათ მათ. ვერ ვიტყვი კონკრეტულ დეტალებს, რადგან საუბრის ჩანაწერი ჯერ არ არის, მაგრამ გავიგებთ, რაზე იყო საუბარი. ჩვენ ჩვენი კომუნიკაცია გვაქვს ვაშინგტონში და თბილისშიც ამერიკის საელჩოში. სააკაშვილი პრემიერად, პარლამენტის თავმჯდომარედ დარჩება თუ სხვა ნებისმიერ რანგში, ამას მნიშვნელობა არ აქვს თუ ის შეეცდება ძალაუფლების უზურპირებას, კონსტიტუციის თავის თავზე მორგებას. სააკაშვილი ხელისუფლებიდან უნდა წავიდეს. შეიძლება დარჩეს პოლიტიკაში რაღაც პოზიციაზე, შეიძლება არასამთავრობო ორგანიზაციაში გააგრძელოს მუშაობა და ამ მხრივ წარმოადგინოს თავისი ნააზრევი ქვეყნის მომავალ განვითარებაზე, საგარეო პოლიტიკის ვექტორებთან დაკავშირებით, მაგრამ სხვა ტრიბუნიდან, სხვა ადგილიდან. ხელისუფლებაში დარჩენის არც მორალური და არც პოლიტიკური უფლება მას არ გააჩნია.

***– რადგან თუ პრეზიდენტი სააკაშვილი შეეცდება ძალაუფლების შენარჩუნებას, ეს არ იქნება დემოკრატიის გზა, ვაშინგტონის გზა, არამედ ეს იქნება პუტინის გზა?***

– მეტიც, ვაშინგტონში ჩვენმა ამერიკელმა კოლეგებმა გვითხრეს, სააკაშვილს რეალურად ორი გზა აქვს: ერთი, პუტინის გზა და მეორე, არის ჯორჯ ვაშინგტონის გზა. სააკაშვილს ჯორჯ ვაშინგტონს ნამდვილად ვერ შევადარებ, რომელსაც ამერიკელი ხალხი ეხვეწებოდა მესამე ვადითაც ეყარა კენჭი, მაგრამ მან თავის პრინციპებს, დემოკრატიის პრინციპებს ვერ უღალატა. ვაშინგტონმა ამერიკელებს უთხრა: მე რომ დავრჩე პრეზიდენტად, ეს იქნება იმ ღირებულებების ღალატი, რომლითაც მე მოვედი და როგორიც წარმომიდგენია ამერიკის შეერთებული შტატები. რომც სთხოვდეს ქართველი ხალხი, მას არ უნდა ჰქონდეს ამის სურვილი. მით უმეტეს, სააკაშვილმა თავისი პრეზიდენტობის განმავლობაში ძალიან დიდი ზიანი მიაყენა როგორც ქვეყნის იმიჯს, ასევე ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას. ქვეყნის ეკონომიკურ, სავაჭრო მდგომარეობას. რაზე ვისაუბრო, როდესაც რვაწლის შემდეგაც მილიონ 800 ათასი ადამიანი სიღარიბის ზღვარს მიღმაა. როგორ სოციალურ პოლიტიკას ტოვებს სააკაშვილი, ამაზე აღარ ვსაუბრობ, რადგან ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. არც იმ საშინაო თუ საგარეო ვალებზე ვსაუბრობ, რომელსაც გვიტოვებს.

***– თუმცა, მორიგი ტრანში მივიღეთ...***

– დიახ, მაგრამ ძალიან დიდი ვალი დაგვიგროვდა როგორც საშინაო, ისე საგარეო. ეს ვალი კიდევ უფრო მეტია, ვიდრე შევარდნაძის პრეზიდენტობის შემდეგ იყო. ვიმეორებ, ამდენად მას არც მოარალური, არც პოლიტიკური უფლება არა აქვს ხელისუფლებაში დარჩენის.

***– საპარლამენტო არჩევნების წინ ოპოზიციას თავისი პრემიერობის გამოკვეთილი კანდიდატი ეყოლება. შესაძლებელია ხელისუფლებამ თავისი კანდიდატი არ დაასახელოს. ოპოზიცია თავის წინასაარჩევნო კამპანიას ააგებს მოთხოვნაზე, რომ იცოდეს ვინ იქნება ხელისუფლების კანდიდატი?***

– როგორც წესი, ასე არ დგას საკითხი და არც ამ კონკრეტულ შემთხვევაში. ბუნებრივია, ნაციონალურ მოძრაობას ვერავინ ვერ აუკრძალავს ვერც საპარლამენტო და ვერც საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. სააკაშვილი რომ არ უნდა დარჩეს ხელისუფლებაში, ამაზე ვრცლად ვისაუბრე, მაგრამ ვის წამოწევს ხელისუფლება, ეს მეორე საკითხია.

***– ვინ შეიძლება იყოს მათი კანდიდატი?***

– ვერ გეტყვით, ეს მათ უნდა ჰკითხოთ. სამწუხაროდ, საკადრო პრობლემები ნაციონალურ მოძრაობას აქვს.

***– შეიძლება ოპოზიცია ფაქტის წინაშე დადგეს, რომ სააკაშვილი პრემიერობას აპირებს...***

– სააკაშვილი თუ გადაწყვეტს, ყველაფრის მიუხედავად, საერთაშორისო საზოგადოების რჩევისა, შეშფოთებისა, რომ ისევ იყოს, ეს ძალიან ცუდი იქნება. ძალიან დამაზიანებელი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის, რომ ის პუტინიზაციის გზას ადგას, ამ შემთხვევაში სხვა რა გზა დარჩენია ოპოზიციას, თუ არა ბრძოლა ბოლომდე. ჩვენ ყველა ვარიანტში ვაპირებთ ბრძოლას, სააკაშვილი იქნება თუ ნებისმიერი სხვა. ფარ-ხმლის დაყრას არ ვაპირებთ. იმედი მინდა ვიქონიო, რომ სააკაშვილმა ეს ყველაფერი ადეკვატურად აღიქვა. ბოლოს და ბოლოს, მას უნდა, რომ მისმა საპრეზიდენტო ვადამ მაქსიმალურად წარმატებულად ჩაიაროს.

***– და დათმოს კარიერა?***

– არ მაქვს ილუზია, რომ ასე ადვილად წავა და დათმობს, მაგრამ იმედი მინდა ვიქონიო, რომ ადეკვატური იქნება. ეს ქვეყანასაც წაადგება, იქნებ ამაზე იფიქროს და თავის თავზეც. ამ შემთხვევაში მას უნდა აწყობდეს სწორი ნაბიჯით წასვლა.

***– გარემოცვა?***

– ეს ერთად უნდა გადაწყვიტონ. მათ ადეკვატური გადაწყვეტილება უნდა მიიღონ როგორც ქვეყნის, ისე თავიანთ მომავალთან დაკავშირებითაც. მათ უნდა იცოდნენ, რომ რევანშიზმით ჩვენ არ მოვდივართ. თუმცა, დანაშაულისთვის თავისუფალი სასამართლოს წინაშე ყველა აგებს პასუხს.

***– ისევ შეხვედრას რომ დავუბრუნდეთ, პრეზიდენტმა ობამამ ჩვენი ხელისუფლებისთვის მოულოდნელად თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების დადება შემოგვთავაზა. რა მნიშვნელობას ანიჭებთ ამ ხელშეკრულებას?***

– ხელისუფლების წარმომადგენლები ამ შეხვედრას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ბუნებრივია, ჩვენც ვანიჭებთ, სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და მასთან ურთიერთობა თავისუფალი ვაჭრობის დონეზე, აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება ძალიან მნიშვნელოვანია. ამერიკის შეერთებულ შტატებს დღეს აქვს როგორც ამერიკის, ასევე სხვა კონტინენტის ქვეყნებთან, სულ 17 ქვეყანასთან ანალოგიური შეთანხმება, მაგრამ უსაზღვროდ დიდი მოლოდინები არ უნდა გვქონდეს. გამომდინარე იქიდან, რომ პრეზიდენტმა ობამამ გვითხრა, პერსპექტივაში დიალოგის დაწყებაზე უნდა ვიფიქროთ. ეს იმას ნიშნავს, რომ დიალოგი ჯერ არ დაწყებულა, უნდა დაიწყოს, რაც საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. თუმცა, პრეზიდენტ ობამას შემოთავაზება ამ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით, ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაზრდაზე საუბარი. ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების დღიდან ამ საკითხში გვერდით გვიდგას.

***– თუმცა, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ამერიკამ თავდაცვითი იარაღის შეძენა შეგვიჩერა.***

– არამხოლოდ ამერიკამ.

***– დღეს რა კონტექსტშია ამ საკითხზე საუბარი?***

– ორი კონტექსტი იყო: პირველი, აისაფის ოპერაციაში მონაწილეობა. ჩვენი კონტრიბუცია საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ კოალიციაში მონაწილეობს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მეორე, საგანმანათლებლო, ე.წ. ტრენინგების კუთხით, რომელიც ამერიკის მიერ ტარდება. თავდაცვისუნარიანობის ამაღლება მხოლოდ იარაღის მოცემა არ არის. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ამ საკითხს როგორც ევროპელები, ასევე ამერიკელები დელიკატურად ეპყრობიან, მაგრამ ჩვენ სამხედროებს რომ ექნებათ საშუალება, ამერიკის სამხედრო სასწავლებლებში მეტი განათლება მიიღონ, ასევე ევროპულში, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, ეს შესაძლებლობა ოქრუაშვილის მინისტრობის დროიდან იქნა ხელიდან გაშვებული. სამწუხაროდ, არა მომზადებას, არამედ სამხედრო რიტორიკას ვუჭერდით მხარს. ახლა თუ მასშტაბურ სახეს მიიღებს სამხედროების მომზადება და განათლება, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება სამხედრო აღმშენებლობის თვალსაზრისით. საერთო ჯამში, ეს ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

***– ქვეყნისთვის თუ პრეზიდენტ სააკაშვილისთვის?***

– ბუნებრივია, ქვეყნისთვის. სააკაშვილმა რამდენიც არ უნდა ისპეკულიროს, რომ მას უჭერენ მხარს, უნდა აღვნიშნო, ვინც არ უნდა იყოს ხელისუფლებაში, ამერიკის შეერთებული შტატები პირველ რიგში მხარს უჭერს ქვეყანას, როგორც საქართველოს და ეხმარება საქართველოს. თუ სწორი ნაბიჯები იქნება ხელისუფლების მხრიდან გადადგმული, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ბევრად უფრო მომხიბლავი იქნება მასთან ურთიერთობა, მაგრამ სააკაშვილისა და ამ ხელისუფლების მიმართ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის სანდოობა განსაკუთრებით 2008 წლის ომის შემდეგ დაბალია, რაც სამწუხაროა. იმედი მაქვს, რომ მომავალი ხელისუფლება თუ საშინაო დავალებას ზედმიწევნით შეასრულებს, ეს ურთიერთობები და ნდობის ხარისხი ისევ მაღალ დონეზე ავიდეს.

# რატომ ჩაიხუტა ბიძინა ივანიშვილმა მამუკა არეშიძე და გიორგი ვოლსკი?

## „რუსეთი საფრთხობელა კი არა, ნამდვილად საფრთხეა“

თამარ ნინიძე

**ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარე თამარ ჩხეიძე ივანიშვილისგან ითხოვს ახსნას, რატომ მიიწვია სათანამშრომლოდ მან მამუკა არეშიძე და გიორგი ვოლსკი, მაშინ როცა, ეს ადამიანები, მისი აზრით, აცხადებენ, რომ საქართველომ მტერს უნდა გადასცეს თავისი ტერიტორიები. ივანიშვილმა უნდა ახსნას, მხარს უჭერს თუ არა მამუკა არეშიძისეულ გეგმას აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით. 'ახალი თაობა~ თამარ ჩხეიძეს ესაუბრა.**

***— თქვენ როგორ შეაფასებთ ამერიკაში მიხეილ სააკაშვილის ვიზიტს და ობამას სიტყვებს, ველით დემოკრატიულ არჩევნებს საქართველოშიო?***

— გარდა იმისა, რომ ამერიკის ადმინისტრაციამ კვლავ დააფიქსირა თავისი ინტერესი საქართველოსადმი, სხვა განსაკუთრებული არაფერი ჩანს. ვისურვებდი, რომ მის გამოსვლაში ყოფილიყო დადასტურებული ტერიტორიული მთლიანობისა და ოკუპაციის შესახებ პოზიცია. ის ამ თემას არ შეხებია. როცა მან ახსენა ხელისუფლების ფორმალური გადაცემა, ამაში თავისთავად დადებითი ტენდენციაა. არ არის სავალდებულო ისე გაგება, რომ მას მოსთხოვეს ძალაუფლების დატოვება, მაგრამ სიტყვებში, რომ მოხდება ხელისუფლების ცვლა მშვიდობიანი გზით, გარკვეული მოლოდინი იგულისხმება. თუმცა, ეს დემოკრატიული არჩევნების რაიმე გარანტიას არ იძლევა.

***— შეიქმნა მეორე პოლიტიკური ცენტრი. როგორია თქვენი აზრი ივანიშვილსა და მის კოალიციაში შესულ სუბიექტებზე? როგორ ფიქრობთ, აქვთ გამარჯვების შანსი?***

— სამწუხაროდ, საქართველოში ყველაფერი კვლავ გარედან წყდება. მე ვფიქრობ, დალაგებული სიტუაცია გარედანაც არ არის. როგორ გადაწყდება საქართველოში ძალთა განლაგება, საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. ამ ცენტრის შესახებ, ჩემი აზრით, ახალ მოვლენასთან არა გვაქვს საქმე, უფრო, ვფიქრობ, გარედან სიტუაციის მართვაა. ივანიშვილს რაც შეეხება, მის მიერ ისეთი ადამიანების მიყვანა, როგორიც არის არეშიძე, ვოლსკი, ნანუაშვილი და სხვები — ეს ადამიანები აცხადებენ, რომ საქართველომ მტერს უნდა გადასცეს თავისი ტერიტორიის ნაწილი. მათი თანამშრომლებად მიყვანა ძალიან დიდ შეშფოთებას იწვევს, ბადებს კითხვას, რაზეც მან პასუხი უნდა გასცეს, მაგალითად, როგორია მისი პოზიცია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მიმართ, მისაღებია თუ არა მისთვის ის განცხადება, რომელიც არეშიძემ გაახმოვანა რამდენიმე თვის წინ.

***— რა აზრის ხართ კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებით, კონკრეტულად ხელისუფლების პოზიციაზე?***

— ხელისუფლების პოზიციას მე არასოდეს ვეთანხმები, სიტყვიერად ხელისუფლების პოზიცია სჯობს ზოგიერთი ოპოზიციონერის პოზიციას. რეალურად ხელისუფლების პოლიტიკა, დაწყებული წინა ხელისუფლებიდან, გაგრძელებული ახლა სააკაშვილის მიერ, არის მიზეზი იმისა, რამაც დღემდე მიგვიყვანა.

***— კუკავას სურს მესამე პოლიტიკური ცენტრის შექმნა, სავარაუდოდ, ამბობენ, რომ მას ებრალიძე დააფინანსებს. შესაძლოა, ამ გაერთიანებაში ლევან გაჩეჩილაძე და ნინო ბურჯანაძეც შევიდნენ. სახელიც ცნობილია — „ქართული ძალა“. თქვენი აზრით, რა სახის გაერთიანებასთან გვაქვს საქმე?***

— სამწუხაროდ, დაწყებული სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობიდან, მერე კი გაგრძელებული „ქართული ოცნებით“, „ქართული პარტიით“, სიტყვა „ქართულს“ წინ სწევენ, მაგრამ შინაარსობრივად, ვეჭვობ, რომელიმე მათგანი ქართულ ინტერესებს ემსახურებოდეს. ჩემთვის ასევე არასაიმედოა კუკავას მიერ წამოყენებული გაერთიანების იდეა. ჩემთვის ცნობილია მისი და ბურჯანაძის განცხადებები რუსეთთან მიმართებით. ჩემთვის საიმედო არც ხელისუფლებაა და არც დღეს არსებული ოპოზიცია. ერთი მხარე მაინც რომ იყოს საიმედო, მაშინ ბევრად უკეთესად იქნებოდა ჩვენი საქმე.

***— რომელი პარტიაა თქვენთვის იდეურად მეტ-ნაკლებად ახლოს ამ პოლიტიკურ სპექტრში?***

— იმ პარტიებს შორის, რომლებიც მოიაზრებიან ოპოზიციად, რომელთათვისაც მისაწვდომია ტელევიზია და არჩევნებში მონაწილეობა, არც ერთი საიმედო არ არის. ჩემთვის საიმედოა ნოდარ ნათაძე და კიდევ რამდენიმე ადამიანი, მაგრამ სხვა პარტიებზე ამას ვერ ვიტყვი მათივე განცხადებებისა და პოზიციების გამო, თორემ პიროვნული პრობლემა არც ერთთან არა მაქვს.

***— ტრადიციული ელექტორატი ჰყავთ ე.წ. ზვიადისტებს. მათ ხმებზე ნადირობა დაიწყება არჩევნების წინ. სულ ახლახან ცნობილი გახდა, რომ სანდრო ბრეგაძე „კავკასიის ჰელსინკის ჯგუფს“ ქმნის. რა აზრის ხართ ამაზე?***

— ყურმოკვრით ვიცი და ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს ამაზე. ზოგადად მე ზვიადიზმის მომხრე არა ვარ. როგორც მოვლენა, ჩემთვის ზვიადიზმი არ არის მისაღები.

***— სააკაშვილი 44 წლის არის. ამ ასაკში ბევრი პოლიტიკურ კარიერას იწყებს. მოუწოდებენ, რომ მან დათმოს ძალაუფლება. როგორ ფიქრობთ, თავისი ნებით დატოვებს ის ხელისუფლებას?***

— არა მგონია. თუ პრეზიდენტის სახით ვერ შეძლო, რაღაც ფორმით სხვა პოსტზე შეეცდება დარჩენას. თუ დაინახა, რომ არჩევანი არა აქვს, მხოლოდ იმ შემთხვევაში დათმობს. მიშა ყოველნაირად შეეცდება, შეინარჩუნოს ძალაუფლება. ნაცმოძრაობის გარკვეულ ნაწილსა და ივანიშვილის ძალას შორის, ალბათ, მიდის გადანაწილებაზე საუბარი, თუმცა, მათ შორის კონკურენციასა და ბრძოლას არ გამოვრიცხავ.

***— სააკაშვილმა რუსეთი დამოკლეს მახვილივით აქცია საქართველოს თავზე. მუდმივი დაძაბულობა და მოლოდინია თავდასხმისა. შევარდნაძემ იგორ გიორგაძისგან შექმნა საფრთხობელა. დღეს სააკაშვილი ქმნის პუტინისგან ასეთ საფრთხობელას. რატომ მიმართავენ ქვეყნის პრეზიდენტები ასეთ ხერხებს ძალაუფლების შესანარჩუნებლად?***



— მე შევასწორებდი: შევარდნაძის დროს თითქოს მის გამო გვებრძოდა რუსეთი, ახლა კი სააკაშვილის ფიგურისთვის ზედმეტი მნიშვნელობის მინიჭებაც არ არის სწორი, იმიტომ რომ სააკაშვილმა გაამასხარავა და არადამაჯერებელი გახადა რუსეთი, როგორც საფრთხობელა. არადა, რუსეთი საფრთხობელა კი არ არის, არამედ მართლაც საფრთხეა და პუტინიც რეალური საფრთხეა. ასე რომ, ეს სააკაშვილის მიერ შექმნილი საფრთხობელა ნამდვილად არ არის. სააკაშვილმა ხელი შეუწყო რუსეთს თავისი მიზნების განხორციელებაში, ისევე, როგორც თავის დროზე ეს გააკეთა შევარდნაძემ. საქართველოს ხელისუფლებაში არასოდეს მოსულა ისეთი ძალა, რომელიც ხელს კი არ შეუწყობდა რუსეთს თავისი აგრესიის განხორციელებაში, არამედ გაატარებდა საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს და ხელს შეუშლიდა რუსეთს აგრესიის განხორციელებაში. ამათი ანტირუსული განცხადებები სიმულაციაა. რეალურად მათ მიერ გატარებული პოლიტიკა ხელს უწყობს რუსეთის აგრესიას საქართველოს მიმართ, თანაც ხალხში იქმნება ისეთი განცდა, რომ რუსული საფრთხე მოგონილია. ეს ასე არ არის, უბრალოდ, ხელისუფლებაში მყოფი ძალები გარეგნულად აცხადებენ, რომ არიან პროდასავლურები, მაგრამ ძირითადად აკეთებენ რუსეთის საქმეს. სააკაშვილის განცხადებები ანტირუსულია. სააკაშვილის გამო კი არ გვებრძვის რუსეთი, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი ტერიტორიების მითვისება უნდა.

***— ივანიშვილმა გამორიცხა ქუჩის პოლიტიკა და აქციები. თუ ივანიშვილმა ვერ მოახერხა უმრავლესობით მოსვლა, თქვენი აზრით, რა მოხდება ამ შემთხვევაში?***

— ის სახე, რომელიც ქუჩის აქციებს ჰქონდა საქართველოში, მაისის აქციები, 2009 წლის აქციები, ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო. გარკვეულწილად, მივესალმებოდი მის განაცხადს, რომ ზოგადად არ არის სწორი, ხელისუფლება ქუჩის აქციებითა და გადატრიალებით შეიცვალოს, მაგრამ ასევე მიუღებელია აქციების სრულიად გამორიცხვა. აქციები გეგმაზომიერად უნდა იქნეს გამოყენებული სხვადასხვა საკითხის დასაყენებლად. არჩევნების გზა და ქუჩის აქციები — აუცილებელია, ერთიც და მეორეც ერთდროულად იქნეს გამოყენებული დემოკრატიული არჩევნების დასაცავად. სამწუხაროდ, საქართველოში არ არის ის პოლიტიკური სპექტრი, რომელიც გონივრულად გამოიყენებდა ამ ორივე გზას. რა მოხდება არჩევნების შემდეგ, ამის წინასწარმეტყველება არ შემიძლია. ჯერ დალაგებული ვითარება იმათთვისაც არ არის, ვინც ჩვენს პოლიტიკურ პროცესებს განაგებს.

# ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისიამ საქმიანობა შეაჯამა



ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის სახელმწიფო კომისიამ პარასკევს განვლილი პერიოდის საქმიანობა შეაჯამა და სათავო ოფისის პრეზენტაცია გამართა.

კომისის ოფისი ცესკო-ს მედიაცენტრის ყოფილ შენობაში განთავსდა. სათავო ოფისის გარდა კომისიის კიდევ ათი ოფისი რეგიონებში გაიხსნება.

როგორც ჟურნალისტებს კომისიის თავმჯდომარემ, მამუკა კაციტაძემ პრესკონფერენციაზე განუცხადა, კომისიამ პირველი მოსამზადებელი ეტაპი დაასრულა, რომელიც 15 ნოემბრიდან იანვრის ჩათვლით პერიოდს მოიცავს და მუშაობის მეორე ეტაპზე გადადის.

მისი თქმით, განვლილი პერიოდის განმავლობაში კომისიამ მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებები, კერძოდ, მოხდა სამართლებრივი ბაზის სრულყოფა, განხორციელდა ფინანსური დამოუკიდებლობა და დადგინდა ერთიანი ბიუჯეტი, შემუშავდა სიმბოლიკა, შეიქმნა ატრიბუტიკა და ვებ-გვერდი, დასრულდა ოფისების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა და ადამიანური რესურსით დაკომპლექტება, რისთვისაც დღემდე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 300 ათასი ლარი გამოიყო.

„ამასთან, 1-ელი თებერვლიდან კომისია გახდა სახელმწიფო უწყებებიდან მიწოდებული შუალედური ინფორმაციის ადრესატი და გაიზარდა ინტერესი საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან“, — აღნიშნა მან.

რაც შეეხება მეორე ეტაპს, კაციტაძის განცხადებით, თებერვალი-მარტი დაეთმობა მობილური ჯგუფების დაკომპლექტებას, „კარდაკარის მეთოდოლოგიის“ დაზუსტებას, ტრენინგების სახელმძღვანელოს შემუშავებას, ტრენერების მომზადებას, მობილური ჯგუფების ტრენინგს და საზოგადოების ინფორმირებას.

კომისიის თავმჯდომარის ცნობით, უშუალოდ კარდაკარი, მთელი საქართველოს მასშტაბით, აპრილი-მაისში ჩატარდება, ეს იქნება კომისიის მუშაობის მესამე ეტაპი, ხოლო მეოთხე ეტაპი ანუ მთელი ივნისის თვე ჩატარებული კარდაკარის მონიტორინგს და კონტროლს დაეთმობა.

კომისიას ასევე დაგეგმილია აქვს საქმიანობის მეხუთე და მეექვსე ეტაპები, რომელიც ივლისის თვეში სიების საბოლოო დადგენასა და დაზუსტებული სიების წარდგენას, ხოლო არჩევნებამდე 14 დღით ადრე სიების მიმდინარე კორექტირებათა მონიტორინგს მოიცავს.

კაციტაძის ინფორმაციით, კომისიის მთლიანი ბიუჯეტი 5 მილიონი ლარით განისაზღვრა. ამ თანხიდან, დაახლოებით, 3 მილიონი ლარი კარდაკარის პროგრამაში ჩართული 11 ათასი ადამიანისა და ოფისებში დასაქმებული თანამშრომლების ანაზღაურებას მოხმარდება.

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიამ 15 ნოემბერს, პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა. კომისია 21 წევრი ჰყავს.

**ინტერპრესნიუსი**

# სასამართლომ ჟურნალისტ სოფიო ნიკოლაშვილს პატიმრობა შეუფარდა

გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ ჟურნალისტ სოფიო ნიკოლაშვილს აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა.

„კახეთის საინფორმაციო ცენტრის“ ინფორმაციით, სასამართლოს თავმჯდომარე დავით ნარიმანიშვილმა პროკურატურის შუამდგომლობა ნიკოლაშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ 3 თებერვალს დააკმაყოფილა.

სასამართლო პროცესზე კომენტარი თავად ბრალდებულმაც გააკეთა. სოფიო ნიკოლაშვილის განცხადებით, თავს დამნაშავედ არ სცნობს.

სასამართლოზე განსასჯელის ადვოკატებმა აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობის ნაცვლად, 10 000 ლარის გირაოს შეფარდება მოითხოვეს, თუმცა მათი შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. მოსამართლის განმარტებით, ნიკოლაშვილს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში ედება ბრალი და მისთვის პატიმრობაზე უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში შესაძლოა, გამოძიებას ხელი შეეშალოს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა სოფიო ნიკოლაშვილი 1-ელ თებერვალს დააკავეს. ოფიციალური ინფორმაციით, ის საქართველოს სსკ-ის 19, 108 და 236 მუხლებითაა ბრალდებული, რაც მკვლელობის მცდელობასა და იარაღის უკანონო ტარებას ითვალისწინებს.

სამართალდამცავების ცნობით, სოფო ნიკოლაშვილმა მამამისის კუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღიდან კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომელ გიორგი სიბაშვილისთვის სროლა სცადა, თუმცა სიბაშვილმა მას იარაღი წაართვა, რის შემდეგაც სოფო ნიკოლაშვილი პოლიციაში მიიყვანა და სამართალდამცავებს გადასცა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, დაზარალებულად ცნობილი გიორგი სიბაშვილი კომენტარს არ აკეთებს, თუმცა მან გამომძიებელს ჩვენება მისცა, სადაც აღნიშნავს, რომ სოფიო ნიკოლაშვილი გასული წლის გაზაფხულზე გაიცნო და არავითარი კონფლიქტი არ ჰქონიათ; სოფო ნიკოლაშვილი მას 31 იანვარს დაუკავშირდა და შეხვედრა სთხოვა, შეხვედრის დროს კი მისი მოკვლა სცადა.

ნიკოლაშვილის მამა კი, სიბაშვილს შვილისთვის შეურაცხყოფის მიყენებაში ადანაშაულებს და შვილის დაკავებას საკუთარ პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებს.

როგორც დავით ნიკოლაშვილი კახეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში აცხადებს, მას და მის გარემოცვას მას შემდეგ დაუწყეს დევნა, რაც ბიძინა ივანიშვილისა და ეკატერინა ხვედელიძისთვის მოქალაქეობის აღდგენასთან დაკავშირებით ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს.

„მან ჩემს შვილს შეურაცხყოფა მიაყენა. მიუხედავად ამისა, სოფოს მისი მოკვლა არ უნდოდა, კიდევ რომ ცდილობდა შეურაცხყოფის მიყენებას, გაისროლა“, — აღნიშნა დავით ნიკოლაშვილმა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, გიორგი სიბაშვილი შს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომელია. მამამისი გოჩა სიბაშვილი გურჯაანის პოლიციის უფროსის მოადგილეა, ბიძა გიორგი სიბაშვილი კი — კახეთის ვიცე გუბერნატორი.

დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, 20 წლის სოფო ნიკოლაშვილს 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

**ინტერპრესნიუსი**

# ვალერი გელბახიანის ხელშეუხებლობას ითხოვენ



„დემოკრატიული მოძრაობა“ უერთდება საზოგადოების ნაწილის თხოვნას, რომ ვალერი გელბახიანს მიეცეს შესაძლებლობა, მძიმედ ავადმოყოფი დედა მოინახულოს.

— ვალერი გელბახიანი გახლავთ სააკაშვილის რეჟიმის პოლიტიკური დევნილი, ის არ წარმოადგენს საშიშროებას საზოგადოებისათვის და უნდა მიეცეს საქართველოში დაბრუნების საშუალება მის ოჯახში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო. ვფიქრობთ, რომ არავის აქვს უფლება ხელი შეუშალოს შვილს, მძიმედ ავადმყოფი დედის მონახულებასა და დახმარებაში, — ნათქვამია პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

გასულ კვირას, საქართველოდან გაქცეულმა ვალერი გელბახიანმა ქართულ პრესაში განაცხადა, რომ ავადმყოფი დედის მოსანახულებლად საქართველოში დაბრუნებას სურს.

**ინტერპრესნიუსი**

# ქართული კანონმდებლობა კრიტიკას ვერ უძლებს

გულიკო ბალაძე

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზებით სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის პრობლემებზე მრგვალი მაგიდა გაიმართა, სადაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების პრეზენტაცია მოხდა.

პრეზენტაციაზე სამართლის ექსპერტმა მინდია უგრეხელიძემ ზოგადად მიმოიხილა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან დაკავშირებული პრობლემები, ხოლო თეა წულუკიანმა ისაუბრა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალსა და მისი იქ მუშაობის პერიოდში საქართველოდან შესულ ზოგიერთ საქმეში არსებულ ხარვეზებზე.

პროექტი მომზადდა საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტის ძალისხმევით.

პროექტის ავტორები არიან ნინო გვენეტაძე და ალექსანდრე ბარამიძე.

პროექტის ავტორების აზრით, მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არასრულყოფილად არის დარეგულირებული შეჯიბრობითობის პრინციპი, ადვოკატის უფლებები, ირიბი ჩვენების პრობლემა, სასამართლო სხდომის ოქმი და სხვა საკითხები. ამიტომ ამ თვალსაზრისით სასამართლო პრაქტიკა არასწორად ვითარდება.

წარმოდგენილ პროექტში შეტანილი ცვლილებები დაზარალებულის, საპროცესო შეთანხმებისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტებს შეეხება. საერთო აღიარებით, სამივე ინსტიტუტში ბევრი რამ არის შესაცვლელი.

***— საქართველოს დღეს მოქმედი კანონმდებლობა არათანაზომიერად მკაცრ წესებს ითვალისწინებს საქმის განხილვის საქვეყნოობის პრინციპის შეზღუდვის მხრივ. ამგვარი შეზღუდვა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლს.***

აგრეთვე ცვლილებების პროექტი ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მე-6 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-10 მუხლით უზრუნველყოფილ უფლებებს.

სსს კოდექსის პროექტი ნინო გვენეტაძემ და ალექსანდრე ბარამიძემ შექმნეს.

პროექტში ნათქვამია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენციის მე-6 მუხლი ადგენს პრევენციას, რომ ნებისმიერი საქმე განიხილებოდეს საზოგადოების, მათ შორის, მედიის თანდასწრებით. საზოგადოების, მათ შორის, მედიის დასწრება პროცესზე იმისთვისაა საჭირო, რომ მართლმსაჯულება განხორციელდეს არა საიდუმლოდ, არამედ საქვეყნოდ და საზოგადოებამ შეძლოს ქმედითი კონტროლის განხორციელება როგორც მართლმსაჯულების განხორციელების პროცესზე, ისე მთლიანად სასამართლო სისტემაზე.



მართლმსაჯულების გამჭვირვალობა ხელს უწყობს საქმის სამართლიანად განხილვას.

საქმე ისაა, რომ დღეს არსებული კანონმდებლობით სასამართლო პროცესებზე მედია ძალიან შეზღუდულია. მას არა აქვს ვიდეო-აუდიო ჩანაწერების გაკეთების, ტრანსლირებისა და პროცესების სრულფასოვანი გაშუქების საშუალება.

ამ შეზღუდვებით, ფაქტობრივად, ხელისუფლება თავს იცავს. მას არ სურს, საქვეყნოდ გამომზეურდეს ის ვითარება, რაც რეალურად არის დღეს სააკაშვილის ე.წ. რეფორმირებულ სასამართლოებში.

პროექტის ავტორები აღნიშნავენ, რომ საქმის განხილვის საქვეყნო ხასიათი მედიას აძლევს შესაძლებლობას, განახორციელოს „საზოგადოებრივი ნაგაზის“ ფუნქცია, რაც კონვენციის მე-10 მუხლით არის უზრუნველყოფილი.

ასევე ყურადღებამისაქცევია შეჯიბრობითობის პრინციპის განხორციელების შესაძლებლობა. სამართლის პროფესორი ნინო გვენეტაძე აღნიშნავს, რომ აღნიშნული პრინციპი, მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად, ბრალდების მხარის პარალელურად, დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებების მოპოვებასაც გულისხმობს.

დღეს ითვლება, რომ მოქმედი სსს კოდექსის მიღებით კანონმდებელმა საქართველოში შეჯიბრობითობის პრინციპის დანერგვა განიზრახა, თუმცა, კოდექსის ამოქმედების შემდეგ გამართული სასამართლო პროცესები და, საერთოდ, სასამართლო პრაქტიკა საწინააღმდეგოს აჩვენებს.

ცვლილებები ასევე ეხება ადვოკატის სამართლებრივი მდგომარეობის მარეგულირებელ ნორმებს.

ცალკე განხილვის საგანი იყო აგრეთვე ირიბი ჩვენების პრობლემა და ხიფათი, რომელიც ასეთ ჩვენებას ახლავს.

ნინო გვენეტაძე აღნიშნავს, რომ შეიძლება სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი (სხვა მტკიცებულებებთან ერთად ან მტკიცებულებათა ერთობლიობაში) დააფუძნოს ისეთი პირის განცხადებაზე, რომელიც სასამართლოში თავად არ გამოცხადდეს და არ იქნეს დაკითხული მოწმის სახით. ეს იმას ნიშნავს, რომ ბრალდებულს არ ექნება შესაძლებლობა, ჯვარედინი დაკითხვის წესით შეამოწმოს მისი გულწრფელობა. ამიტომ ირიბი მტკიცებულების დასაშვებობასთან დაკავშირებით უნდა არსებობდეს ძალიან მყარი საპროცესო გარანტიები.

აღნიშნული პროექტის მიხედვით მნიშვნელოვანი ცვლილებები უნდა შევიდეს სასამართლო სხდომის ოქმის შესახებ დებულებაშიც.

ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა, რომელიც მრგვალი მაგიდის მოდერატორი გახლდათ, განაცხადა, რომ ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტი ერთი წელია მუშაობს აღნიშნული ცვლილებების პროექტის შემუშავებაზე. მოწვეული ექსპერტები არიან ნინო გვენეტაძე, ალექსანდრე ბარამიძე და ოთარ გამყრელიძე. ისინი ერთობლივად აკვირდებოდნენ პრაქტიკას, რაც ხდება ჩვენს სასამართლოებში და ამუშავებდნენ, თუ რამდენად შეესაბამება საქართველოს სასამართლოებში არსებული მდგომარეობა საერთაშორისო სტანდარტებს

— გამოირკვა, რომ საკმაოდ ბევრი საკითხია, რომლებიც მოითხოვს შესწორებას, ცვლილებას, რომ დაცული იყოს მხარეთა თანასწორობა, რაც ძალიან ხშირად ირღვევა, — განაცხადა სოსო ბარათაშვილმა.

***— იმედი გაქვთ, რომ პარლამენტი მიიღებს ცვლილებას?***

— ამას კომპლექსური მუშაობა სჭირდება. საერთაშორისო ორგანიზაციები ჩავრთეთ. ჩვენი აზრი უნდა გავაგებინოთ საზოგადოებას და საკანონმდებლო ინიციატივის სახე უნდა მივცეთ. ეს არის ბრძოლის ეტაპი. ჩვენ ვამწიფებთ საზოგადოებრივ აზრს. ასევე მზად ვართ სახელისუფლებო ორგანოებთან (იუსტიციის სამინისტროსა და პარლამენტის წარმომადგენლებთან) თანამშრომლობისთვის. თუმცა, სამწუხაროდ, არც ერთი მათგანი არ მოვიდა.

ადვოკატმა ეკა ბესელიამ განაცხადა, რომ დღევანდელი კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, ისეთი განაჩენებია დამდგარი, რომ მათი 99%, თუ 100% არა, ვერ გაუძლებენ ევროსასამართლოებში მიღებულ სტანდარტებს. ყველა განაჩენი, რომლებიც ე.წ. რეფორმირებული სასამართლოების პირობებში დადგა, უსამართლო და უკანონოა.

პრეზენტაციაზე საქართველოს განვითარების კვლევით ინსტიტუტს წარმოადგენდა ვახტანგ ხმალაძე, რომელმაც პროექტის ავტორებს ურჩია, ის საკანონმდებლო ორგანოში წინადადების სახით წარადგინონ. თუმცა, შეიძლება, საკანონმდებლო წინადადების განხილვაზე კომიტეტის დონეზე უარი განაცხადონ, მაგრამ მისი წარდგენა აუცილებელია.

ვახტანგ ხმალაძის თქმით, წინადადების დაფიქსირების შემდეგ, უნდა მიმართონ, რომელიმე დეპუტატს, რომელიც პრეზენტაციაზე წარმოდგენილ პროექტს (რომელიც შეეხება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებსა და დამატებებს) საკანონმდებლო ინიციატივის სახეს მისცემს.

ასევე ამ პროექტს თან დაერთვება უცხოელი ექსპერტების დასკვნები, ხოლო საზოგადოებრივ მაუწყებელს მოსთხოვენ აღნიშნული პროექტის განხილვას გარკვეულ გადაცემებში და საზოგადოების ინფორმირებას.

პროექტის ავტორები ფიქრობენ, რომ შესაძლოა ხელისუფლებამ აღნიშნული პროექტის განხილვაზე უარი განაცხადოს, მაგრამ მაინც უნდა სცადონ.

ფაქტია, რომ ე.წ. ვარდების ხელისუფლების შემდეგ საპროცესო კოდექსი და საერთოდ კანონმდებლობა კი არ გაუმჯობესდა, არამედ გაუარესდა. ამიტომ მასში ცვლილებების განხორციელება გაუმჯობესების კუთხით აუცილებელია.

# პუტინი: აშშ-ს პრო“ რუსეთის წინააღმდეგაა მიმართული

რუსეთის პრემიერ მინისტრი ვლადიმერ პუტინი დოკუმენტურ ფილმში „ხოლოდნაია პოლიტიკა“ აცხადებს, რომ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემა („პრო“) რომელსაც აშშ და ნატო ევროპაში ანთავსებენ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგაა მიმართული.

ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

— რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა რა თქმა უნდა მიმართული იქითკენ, რომ რუსეთის ფედერაციის სარაკეტო-ბირთვული პოტენციალის ნეიტრალიზება მოხდეს. იმიტომ, რომ რადარები და რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები რომლებსაც ჩვენი საზღვრების ახლოს ათავსებენ , გადაფარავენ ჩვენს ტერიტორიას ურალამდე და ასევე გადაფარავენ ჩვენი სახმელეთო ბირთვული ძალების ბაზირებას, — აცხადებს ვლადიმერ პუტინი.



მისვე თქმით, დღეისათვის რუსეთის მიმართ საფრთხე ირანისა და ჩრდილოეთი კორეის მხრიდან არ არსებობს.

ამასთან ერთად ვლადიმერ პუტინი ასევე აცხადებს, რომ ნატო წერილობით გარანტიებს იმისა, რომ პრო რუსეთის წინააღმდეგ მიმართული არ არის არ იძლევა.

ვლადიმერ პუტინი ასევე აღნიშმნავს, რომ რუსეთის არის ერთადერთი ქვეყანა, გარდა აშშ-სა რომელსაც „ბირთვული ტრიადა“ — სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო აქვს.

მისივე მონაცემებით, რუსეთის ფედერაციის ხელთ არსებული ბირთვული რაკეტების რაოდენობა, მათი სიმძლავრე და მისაწვდომობა აშშ-სას უტოლდება.

ამასთან, რუსული მხარის მტკიცებით, ვაშინგტონი არ ტოვებს იმედს იმისა, რომ რუსეთთან შეთანხმება ევროპაში „პრო“-ს განთავსების საკითხში მიღწეული იქნება. ცოტა ხნის წინ, რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ხისტი განცხადება გააკეთა და განაცხადა, რომ „თუ აშშ არ გადახედავს თავის პოზიციას და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გაჩნდება, მოსკოვი დაუყოვნებლივ შეიყვანს საბრძოლო რიგებში რადიოლოკაციურ სადგურს, რომელიც სარაკეტო თავდასხმის შესახებ გაფრთხილებას იძლევა. სადგური ქალაქ კალინინგრადში იმყოფება“.

მედვედევი ასევე დაემუქრა აშშ-ს ბალისტიკური რაკეტებით. ამის შესახებ ინფორმაციაც „ბი-ბი-სიმ“ გაავრცელა.

ამავდროულად, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრემდივანმა მარკ ტონერმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ამერიკული „პრო“-ს სისტემა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული არ იქნება.

— ევროპაში „პრო“-ს განთავსების საკითხში ჩვენ რუსეთთან გულწრფელნი და ღია ვიყავით. ჩვენი განზრახვა — ეს ჩვენი ევროპელი მოკავშირეების დაცვაა ირანის მხრიდან მომდინარე საფრთხისგან. რუსეთს არ აქვს იოტისოდენა მიზეზიც კი სამხედრო ხასიათის ზომები მიიღოს, იმიტომ, რომ „პრო“-ს სისტემა რუსეთსა და აშშ-ს შორის არსებულ სტრატეგიულ ბალანსზე გავლენას არ მოახდენს, — განაცხადა ტონერმა.

ამას გარდა, სახელმწიფო დეპარტამენტის პრემდივანმა ასევე სინანულით აღნიშნა, რომ ვაშინგტონის მცდელობების მიუხედავად ჩართოს მოსკოვი დიალოგში კრემლის რიტორიკა არ იცვლება.

— არ მიმაჩნია, რომ კვლავაც და კვლავაც საჭირო იყოს იმის გამეორება, რომ „პრო“-ს სისტემა, რომელზეც ჩვენ ვმუშაობთ რუსეთის წინააღმდეგ მიმართული არ არის, — განაცხადა პენტაგონის წარმომადგენელმა ჯონ კირბიმ.

თეთრი სახლის წარმომადგენელი ტომმი ვაიტორმა კი განაცხადა, რომ აშშ ვერ ხედავს ვერავითარ მიზეზს თავის განზრახვაზე აიღოს ხელი.

თავის მხრივ, ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი მიიჩნევს, რომ მოსკოვის რიტორიკა — ეს უკან, ცივი ომის დროში დაბრუნებისკენ გადადგმული ნაბიჯია. მისივე თქმით, იგი იმედგაცრუებულია მოსკოვის მუქარებით.

რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი აცხადებს, რომ რუსეთი ვერ ენდობა დასავლეთის ზეპირ დაპირებებს, რომ ეს სისტემა მის წინააღმდეგ მიმართული არ არის.

მედევდევი ასევე აცხადებს, რომ რამდენჯერაც მან სთხოვა დასავლეთს თავისი დაპირება წერილობით დაეფიქსირებინა, დასავლელი პარტნიორებისგან კატეგორიული უარი მიიღო.

ნატოში რუსეთის ექსწარმომადგენლის დიმიტრი როგოზინის განცხადებით კი, კრემლი გორბაჩოვის მსგავსად ვერ მოიქცევა და დაასვლეთის ზეპირ დაპირებებს ვერ ენდობა.

# მიმზიდველ ღირსშესანიშნაობებს შორის თავისუფლების ქანდაკება ლიდერობს

თავისუფლების ქანდაკება, სანფრანცისკოს ხიდი „ოქროს კარიბჭე“, საფრანგეთის ეიფელის კოშკი და ლონდონის ბიგ ბენი ლიდერობენ იმ ღირსშესანიშნაობათა სიაში, რომლებითაც ტურისტები ყველაზე მეტად ინტერესდებიან. ონლაინგამოკითხვა ჟურნალმა „თრეველ+ლესურმა“ ჩაატარა და გამოავლინა ის ადგილები, რომლებიც მსოფლიოს მასშტაბით ტურისტებს იზიდავენ. რეიტინგის ათეულში მოხვდა ასევე რომის კოლიზეუმი, ჩიკაგოს მილენიუმის პარკი, წმინდა პეტრეს ტაძარი რომში, შენობა სვის რი ლონდონში და ხაი-ლაინ პარკი ნიუ-იორკში.

თავის მზრივ, გზამკვლევმა „ლონელი პლანეტმა“ ცოტა ხნის წინ ტურისტებისა და მოგზაურობის მოყვარულთა ქალაქების ათეული გამოაქვეყნა. ამ სიაში პირველი ადგილი ინგლისის დედაქალაქმა დაიკავა. აქედანაც ჩანს, რომ ბიგ ბენი, მსოფლიოს სხვა ღირსშესანიშნაობებს შორის, ერთ-ერთი ლიდერის პოზიციას ისევ ინარჩუნებს. თურმე, ლონდონი ის ქალაქია, სადაც თქვენ არასოდეს დარჩებით მარტო — წერენ გამოცემის ავტორები.

ტურისტებისთვის მიმზიდველი ქალაქების სიაში მოხვდა ომანის დედაქალაქი მასკატი, ინდური ბანგალორი, ესპანური კადისი და შვედური სტოკჰოლმი.

როგორც გზამკვლევშია აღნიშნული, „სტოკჰოლმი ძალიან მყუდრო ქალაქია, ამასთან, მრავალნაციონალური, აქ მრავალ გასართობს წააწყდებით, რითაც თვალის გახარებას შეძლებთ.“

ათეულში ასევე მოხვდნენ: პორტუგალიური გიმარაეში, ჩილეს დედაქალაქი სანტიაგო, ჩინური ჰონგკონგი, ამერიკული ორლანდო და ავსტრალიური დარვინი.

აქვე გთავაზობთ, მსოფლიოს 12 ღირსშესანიშნაობას, რომლებიც განადგურების პირასა არიან.

ძეგლთა დაცვის მსოფლიო ფონდმა განადგურების პირას მყოფ ძეგლთა სია გამოაქვეყნა. ორ წელიწადში ერთხელ ადგენენ კულტურული მემკვიდრეობის სიას და შეჰყავთ ისეთი ძეგლები, რომლებიც დაზიანებულია და რისკის ქვეშ დგას. 2012 წელს გამოქვეყნებული სია ასე გამოიყურება:

1.ჰელონგ ბაი — ვიეტნამი.

ეს არის მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ყურე. იგი უნიკალური ადგილია თევზჭერისათვის. თუმცა აქ კლიმატი შეიცვალა, რამაც ცუდი გავლენა იქონია ბუნებაზე და აქ ტურიზმის განვითარება რისკის ქვეშ დგას.

2. მოჩვენებათა სახლი — ჰაიტი.

ასეთ სახლებს მე-19 საუკუნეში აგებდნენ. ისინი იმ უმცირეს ნაგებობებს მიეკუთვნებიან, რომლებიც ჰაიტიში მომხდარ დამანგრეველ მიწისძვრას გადაურჩნენ, თუმცა მნიშვნელოვანი დაზიანებები მიიღეს.

მთავრობა ძალისხმევას არ იშურებს მათ გადასარჩენად. ამ ტიპის სახლები ნაზავია ევროპული სტილის და ჰაიტის ტრადიციებისა. ესენი არიან სახლები, რომლებმაც წინააღმდეგობა გაუწიეს ბუნებრივ კატასტროფას

3.სამეფო სასამართლო — ბურკინა ფასო.

ეს არის ოფიციალური რეზიდენცია კასენას ხალხის მთავრებისა. აქ შენარჩუნებულია ძველებური ფრესკები, რომლებიც რესტავრაციას საჭიროებენ.

4.ბეთ ჰეის სასაფლაო ირლანდიაში.

5.ობოლთა თავშესაფარი — თურქეთი.

ეს არის მთლიანად ხისგან აგებული შენობა. თავიდან იგი სასტუმროდ იყო, მოგვიანებით აქ ბავშვთა თავშესაფარი გახსნეს, რომელმაც ფუნქციონირება 1964 წელს შეწყვიტა. ნაგებობა მეოცე საუკუნის დასაწყისში ააგეს. ახლა ის დანგრევის პირასაა და რესტავრაციას საჭიროებს.

6.ნასკას ხაზები — პერუ.

პერუს სამხრეთით მდებარე ნასკას ფერდობზე შემორჩენილია უძველეს დროში შექმნილი უზარმაზარი გეომეტრიული ფიგურები. სავარაუდოდ აქ ოლიმპიური თამაშების მსგავსი შეჯიბრებები იმართებოდა.

ამ გეომეტრიულ ფიგურებს არაერთი მეცნიერი იკვლევდა. ერთ-ერთი მკვლევარის, მარია რაიხის, თქმით ეს უდიდესი კულტურული მემკვიდრეობა საფრთხის ქვეშაა, მასზე ცუდად მოქმედებს დამთვარიელებელთა ნაკვალევი და შესაძლოა ამან ფიგურათა წაშლა გამოიწვიოს

7. ავენიუ — ნიუ-იორკი.

აქ მდებარეობს მე-20 საუკუნის შუა წლებში აგებული მინის შენობა,

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# ალექსანდრე ამისულაშვილი: რუსეთში ხუთი წელიწადია ვთამაშობ და ხელი არავისთვის შემიშლია“

საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველისა და „კრასნოდარის“ კაპიტან ალექსანდრე ამისულაშვილის ინტერვიუ გაზეთ „სპორტ-ექსპრესში“ გამოქვეყნდა.

***— ბოლოს როდის დაგისვეს კითხვა — „ანჟიდან“ არ დაურეკავთ?***

— თქვენ პირველი ხართ. „ანჟიდან“ არასდროს დაურეკავთ.

***— თქვენი ყოფილი მწვრთნელისთვის, იური კრასნოჟანისთვის არ დაგირეკავთ?***

— მისთვის ახალი წლის მილოცვა მინდოდა, მაგრამ როგორც ჩანს, ტელეფონის ნომერი შეიცვალა. იური ანატოლიევიჩმა ჩემთვის ბევრი რამ გააკეთა და ეს ყოველთვის მემახსოვრება.



***— ნალჩიკის „სპარტაკში“ თამაშის პერიოდში კრასნოჟანისთვის ყველაზე დიდი ვარსკვლავები თქვენ, სირაძე, ჯუდოვიჩი და კონცედალოვი იყავით. ახლა მას გუნდში ეტოო, რობერტო კარლოსი და ბუსუფა ჰყავს. თქვენი აზრით, შეძლებს კრასნოჟანი გაუმკლავდეს დაკისრებულ მოვალეობას?***

— კრასნოჟანმა იცის, თუ როგორ უნდა განაწყოს მის მიმართ ფეხბურთელები და ისინი მოკავშირეები გახადოს. რა თქმა უნდა, „ანჟი“ სხვა დონეა, მაგრამ ამ მწვრთნელს მუშაობა შეუძლია და უყვარს კიდეც. მოთამაშეები ამას აფასებენ.

***— „კრასნოდარის“ მფლობელ სერგეი გალიცკის თუკი სურვილი ექნება, შეუძლია თავისი კლუბი მეორე „ანჟიდ“ აქციოს.***

— ჩვენს პრეზიდენტს ეს სიტყვები არასოდეს უთხრათ. მას სურვილი აქვს, ერთადერთი „კრასნოდარი“ შექმნას და არავის კოპირებას აპირებს. კლუბი განვითარდება, მაგრამ არავინ გადადგამს მკვეთრ ნაბიჯებს, რათა რუსული ფეხბურთის ლიდერებს ტიტულებისთვის უკვე ხვალვე გაეჯიბროს. გარდა ამისა, ახლა ჩვენ სატურნირო ცხრილში „ანჟის“ მეზობლად ვართ და განვითარების დონით მისგან ნამდვილად არ განვსხვავდებით.

***— „ანჟი“ პირველ რვა გუნდს შორისაა, ხოლო „კრასნოდარი“ — მეორეში. განსხვავება ეს არის.***

— დღესდღეობით ასეა, მაგრამ ხვალ სხვაგვარად იქნება. ჩემპიონატის ფორმულას ვგულისხმობ.

***— „კრასნოდარის“ ყველა მოთამაშე იტყვის, რომ მე-9 ადგილი თქვენთვის ღირსეულია?***

— ეს სიმართლეა. ჩვენ სეზონის პირველ თამაშზე ისე გავდიოდით, რომ ყველა პარტნიორის სახელიც კი არ ვიცოდით. ეს გუნდი კი არა, მოთამაშეთა კრებული იყო. გუნდად ახლა ვყალიბდებით.

***— კაპიტანი კი თქვენ ხართ — ეს უჩვეულოა?***

— არა, ეს როლი ჩემთვის ნაცნობია. ნალჩიკში კრასნოჟანს მოთამაშეთა საბჭო ჰქონდა და ის ჩვენს აზრს ისმენდა.

***— ვინ იყო ეს ხალხი?***

— ჯუდოვიჩი, მაშუკოვი და მე.

***— „კრასნოდარში“ ბევრი ლეგიონერია. ისინი ერთ კოლექტივში როგორ უნდა გააერთიანო?***

— ხშირი ურთიერთობებია საჭირო.

***— რა ენაზე საუბრობთ გუნდში, სადაც ბრაზილიელები, სერბები, ქართველები, რუსები და სომხები თამაშობენ?***

— რა თქმა უნდა, რუსულად. მთავარი მწვრთნელი რუსულად საუბრობს და ყველა სერბი ამ ენას მეტ-ნაკლებად ფლობს. ორივე ბრაზილიელი რუსეთში ჩამოსვლამდე ბულგარეთში თამაშობდა და არც მათთან არის ენის პრობლემა. ჩვენი ამერიკელი სომეხი იურა მოვსისიანი კრასნოდარში ჩამოსვლამდე რუსულად საერთოდ ვერ ლაპარაკობდა, ხოლო ახლა ყველაფერი ესმის და ურთიერთობა შეუძლია.

***— მწვადის შეწვა დაახლოებას ხელს უწყობს?***

— მწვადიც შეიძლება, მაგრამ ჩვენთან ამ ღონისძიებებზე პასუხისმგებელი გუნდის უფროსია. ამ მხრივ მისი კონკურენტი არ ვარ. თუ მწვრთნელების და კლუბის ხელმძღვანელობის გარეშე საუბარი გვინდა, რესტორანში ვიკრიბებით ხოლმე.

***— კრასნოდარული დერბი დასაჯდომად და სასაუბროდ ალბათ კარგი მიზეზია.***

— ჯერჯერობით, ჩვენი და „ყუბანის“ მატჩები ნამდვილ დერბიმდე ვერ ქაჩავს.

***— რატომ?***

— უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მდიდარი ისტორია არ აქვს. მეორე — ორივე გუნდი ერთ სტადიონზე ვთამაშობთ. მესამე — ეს დაპირისპირება არც მოთამაშეებისთვის და არც ხელმძღვანელობისთვის პრინციპულად არ ითვლება. თუმცა, ეჭვი არ მეპარება, რომ დროთა განმავლობაში არსებული სიტუაცია შეიცვლება. ჯერჯერობით, „ყუბანის“ ან „კრასნოდარის“ მოთამაშეს ერთი კლუბიდან მეორეში გადასვლა შეუძლია და არ ეშინია, რომ მას ფანები ვერ გაუგებენ.

***— ისე ჩანს, რომ ფანები მხოლოდ „ყუბანს“ ჰყავს.***

— ასე ტყუილად ფიქრობთ, რადგან ტრიბუნებზე ჩვენი გუნდის ერთგული ხალხიც ზის. თუმცა, დღესდღეობით, ამ მხრივ „ყუბანთან“ მეტოქეობა არ ღირს. უმჯობესია, დერბიზე საუბარს მაშინ დავუბრუნდეთ, როდესაც საკუთარი სტადიონი გვექნება. ვფიქრობ, ჩვენი კლუბი თანდათან თავის ტრადიციებს შეიძენს და ბუნებრივია, გმირებიც გამოჩნდებიან. ჯერჯერობით, „ყუბანთან“ მხოლოდ მეორე წელიწადია, ვმეტოქეობთ, ხოლო უმაღლეს დონეზე დაპირისპირება საერთოდ პირველად გვიწევს.

***— პირველი წელიწადი არაა, რაც რუსეთის ლიგაში გამოდიხართ და რუსეთის მოქალაქეობაც მიიღეთ. ახლა კი, უნდათ, რომ ლეგიონერად გაქციონ.***

— ერთი არ ვარ ასეთი, 50 ადამიანი მაინც ვიქნებით. ვფიქრობ, ვიბრძოლებთ, რათა რუსეთში მუშაობის უფლება, როგორც რუსეთის მოქალაქეებმა, შევინარჩუნოთ. ჩემთვის ერთი რამ არის გაუგებარი — რუსეთში ხუთი წელიწადია ვთამაშობ და ხელი არავისთვის შემიშლია, რომ ნაკრების დონისთვის მიეღწია და ახლა ყველაფერი ასე სწრაფად შეიცვალა?!

# როჯერ ფედერერი: რაფას ჩემთან თამაში უკეთესად გამოსდის, ვიდრე სხვა ჩოგბურთელებთან“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

***— ნახევარფინალში საოცრად ითამაშეთ, თუმცა მაინც დამარცხდით. როგორ ფიქრობთ, მატჩის ბედი რამდენიმე გათამაშებამ გადაწყვიტა თუ ტურნირის დასასრულს დაღლილობამ იჩინა თავი?***

— ვფიქრობ, რომ რაფა ძალიან თავდაჯერებული იყო, ისევე, როგორც მე მატჩის დასაწყისში, როდესაც პირველი სეტი მოვიგე. სამწუხაროდ, დანარჩენ პარტიებში ჩემი შესაძლებლობები ვერ გამოვიყენე. განვმეორდები და ვიტყვი, რომ ნადალმა ძალიან კარგად ითამაშა და მატჩის დასასრულს მნიშვნელოვნად მაჯობა. მინდა აღვნიშნო, რომ ყველანაირად რთული თამაში იყო და ფიზიკურადაც გამიჭირდა. თუმცა ახლა თავს კარგად ვგრძნობ, სეზონი კი ახლახან დაიწყო.

***— თქვენი და რაფას დაპირისპირების შესახებ, რას იტყვით?***

— ჩვენ მაყურებელს ყოველ წელიწადს უკეთეს ჩოგბურთს ვუჩვენებთ და მოხარული ვარ, რომ ისინიც ბოლომდე ჩართული არიან ამ სანახაობაში. ნადალის წინააღმდეგ თამაში ძალიან მომწონს — ჩვენ დიდ პატივს ვცემთ ერთმანეთს. იმედია, მომავალი თაობა გაითვალისწინებს ამას და კორტზე თუ კორტს მიღმა, კოლეგებს ისინიც პატივისცემით მოეპყრობიან. მე და რაფამ ვიცით, რომ ერთმანეთთან დაპირისპირებისას ორივე უფრო კარგად ვთამაშობთ. თუმცა, რაფას ჩემთან თამაში უკეთესად გამოსდის, ვიდრე სხვა ჩოგბურთელებთან.

***— მატჩის შემდგომ რაფას ემოციები ვიხილეთ, თქვენი კი ვერა. კორტის დატოვებისას რას განიცდიდით?***

— კორტი ძალიან სწრაფად დავტოვე და ფიქრებში წავედი, ამიტომ რაფას ემოციები არ მინახავს. რა თქმა უნდა, მარცხით განაწყენებული ვიყავი. კარგად ვითამაშე და დარწმუნებული ვარ, რომ ფინალშიც არანაკლებ ჩავატარებდი, მაგრამ ამაზე აღარ ვფიქრობ, რადგან ხსენებული მატჩი წარსულს ჩაბარდა.

***— ავსტრალიის ღია პირველობაზე მონაწილეობის მიღებას კიდევ, რამდენჯერ გეგმავთ?***

— ბევრჯერ და იმედია, ასეც მოხდება.

***— მატჩში ერთი ეპიზოდი იყო, როდესაც ზედიზედ 11 ქულა დაკარგეთ. ამან გამოგიყვანათ წყობიდან?***

— ყოველ შემთხვევაში, ეს ფაქტი ნამდვილად არ დამხმარებია. ვხვდებოდი, რომ ზედიზედ ბევრი ქულა წავაგე. თუმცა სეტის მოგების იმედი არ დამიკარგავს. საკუთარ ჩაწოდებაზე 40 ქულის ამოქაჩვა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ანალოგიური რამ, „როლან გაროსის“ ფინალშიც დამემართა. საერთოდ წარუმატებელი სერია მრავალ მატჩზე ვრცელდება ხოლმე.

***— როგორ შეაფასებთ მელბურნში გამოსვლას?***

— იცით, ფინალში დამარცხებას, ნახევარფინალში წაგება ჯობია. 5 თვის განმავლობაში დაუმარცხებელი ვიყავი, რაც არცთუ ისე ცუდი მაჩვენებელია. 2012 წლის ავსტრალიის ღია პირველობა ერთ-ერთი საუკეთესო იყო ჩემს კარიერაში. ამ ტურნირზე მეცხრედ მივიღე მონაწილეობა და ნახევარფინალში დამარცხებამ ძალიან დამწყვიტა გული, თუმცა ახლა ჩემთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი მომავალზე ფიქრია. სავარჯიშო გრაფიკი უნდა შევადგინო და იმ ფორმის დაბრუნებას შევეცადო, როგორ ფორმაშიც 2011 წლის ამერიკის ღია პირველობის შემდეგ ვიყავი.

***— როგორ ფიქრობთ, ნახევარფინალში გადამწყვეტმა მომენტმა მაშინ დაისადგურა, როდესაც ბრეიკ-პოინტი მოიპოვეთ?***

— ჩემი აზრით, ყველაფერი რამდენიმე მომენტმა გადაწყვიტა და არა ერთმა.

***— საუბრისას ახსენეთ, რომ რაფა თქვენ წინააღმდეგ უკეთ თამაშობს, ვიდრე სხვა ჩოგბურთელების. რით ახსნით ამას?***

— არ ვიცი, მართლა ასეა თუ არა. მე მხოლოდ პირადი მოსაზრება გაგიზიარეთ. ვგრძნობ, რომ ჩემ წინააღმდეგ თამაშისას აშკარად უკეთესად მოქმედებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ განსხვავებულ ჩოგბურთს ვთამაშობთ. ეს ელემენტებსაც ეხება. მაგალითად — რაფას ორივე ხელით შეუძლია თამაში და პირად შეხვედრებშიც უპირატესობა აქვს, რაც დამატებით თავდაჯერებულობას მატებს. გარდა ამისა, როგორც წესი, მას მატჩის გეგმა აქვს შემუშავებული, რომელსაც მკაცრად მისდევს. უკანასკნელ წლებში ნადალმა თამაში ყველანაირ საფარზე გააუმჯობესა.

***— თქვენზე, როგორ აისახა ის ფაქტი, რომ ამჯერად ესპანელს ნახევარფინალში შეხვდით და არა ფინალში?***

— ვერ ვიტყოდი. ტურნირში მონაწილეობისას პრესის კითხვას დიდ ყურადღებას არ ვაქცევ, ასე რომ, არ ვიცი, რა უნდა გიპასუხოთ. მართალი გითხრათ, ავსტრალიაში ჩემი ასპარეზობით კმაყოფილი ვარ. კარგი მომენტები ნახევარფინალშიც მქონდა.

***— დიდი სლემის ტურნირების ურთიერთშეხვედრებში რაფას გაცილებით მეტი მოგება აქვს, ვიდრე — თქვენ. კორტზე გასვლისას ფიქრობთ ამაზე?***

— არა, კორტზე გასვლისას ტიტულებზე ვფიქრობ. პირადი შეხვედრების შეფარდება დიდ გავლენას არ ახდენს ჩემზე. გარკვეულ მატჩებს ან მომენტებს ვიმახსოვრებ, თუმცა სტატისტიკას არა. ვიცი, რომ ერთად ბევრი შეხვედრა ჩავატარეთ. ზოგჯერ მე უფრო ძლიერი ვიყავი, ზოგჯერ ის. უმეტესწილად კი წარმატება ნადალის მხარეზე იყო.

# იურგენ კლოპმა ბაიერნი“ უსეინ ბოლტს შეადარა

გერმანიის ბუნდესლიგაში სამხელისუფლებიანობაა — „ბაიერნს“, „დორტმუნდსა“ და „შალკეს“ თანაბარი ქულები აქვთ და ასევე თანაბარი შანსი საჩემპიონოდ.

„ბაიერნის“ ასეთი შედეგი მოულოდნელი არ არის, რასაც ვერ ვიტყვით დანარჩენ გუნდებზე — „შალკემ“ შარშანდელი წელი ჩააგდო და წელს მძლავრად ათამაშდა, ხოლო „დორტმუნდი“ ძალიან ცუდად გამოვიდა ჩემპიონთა ლიგაზე და შინაურ ჩემპიონატშიც არავინ ელოდა თუ ისევ საჩემპიონოდ იბრძოლებდა.

ეს ყველაფერი კი დორტმუნდელთა მთავარ მწვრთნელს, 44 წლის იურგენ კლოპს მიეწერება, რომლის ინტერვიუ გერმანულ მედიაში გამოქვეყნდა.

***— ბოლო დროს საინტერესო ტენდენცია შეინიშნება — „ბაიერნისა“ და „დორტმუნდისგან“ წინადადებების მიღების შემთხვევაში, ახალგაზრდა გერმანელი ტალანტები უმეტეს შემთხვევაში უპირატესობას თქვენს გუნდს ანიჭებენ. მაგალითისთვის მარკო როისი და ლეონარდო ბიტენკურტიც კმარა. როგორ ახერხებთ მათ დაყოლიებას?***

— სიტუაციის ინტერპრეტაციას არასწორედ ახდენთ. საქმე ჩემში კი არა, გუნდშია. დაახლოებით შემიძლია გითხრათ, რასაც მოთამაშეები ფიქრობენ — „დორტმუნდში“ რაღაც სერიოზული იქმნება და მე შემიძლია მის ნაწილად ვიქცე.

***— გავბედავ და არ დაგეთანხმებით. „დორტმუნდის“ მოთამაშეთა უმრავლესობა, განსაკუთრებით ახალგაზრდები, თქვენ გამო ჭკუას კარგავენ.***

— ვფიქრობ, საკუთარი ემოციის მოთამაშეებამდე მიტანა კარგად გამომდის. ისინი ამ იდეებით იმუხტებიან და სურთ, რომ დასახული ამოცანა და ჩემთან და გუნდთან ერთად წარმატებით შეასრულონ. ის, რომ პერსპექტიული მოთამაშეების ვარსკვლავებად ქცევა შეგვიძლია, უკვე დავამტკიცეთ. საჭიროა არა მხოლოდ უბრალოდ მუშაობა, არამედ იმის გამოსწორება, რაც ფეხბურთელს ყველაზე ცუდად გამოსდის. აი, სწორედ მაშინ ვითარდება მოთამაშე.

***— იმ გზაზე საუბრობთ, რომელსაც „დორტმუნდი“ დაადგა. რამდენი პროცენტი გაქვთ გავლილი?***

— ყველაფერი ახლა იწყება. უკან მხოლოდ ათიოდე პროცენტი თუ მოვიტოვეთ. ეს მაქსიმუმია და წინ კიდევ უდიდესი სამუშაო გველოდება. სატრანსფერო ბაზარზე ისეთ დონეს უნდა მივაღწიოთ, რომ ყველა ფეხბურთელი საუკეთესო პერსპექტივაში თავის მომავალს სწორედ „დორტმუნდში“ ხედავდეს და არ ჭოჭმანობდეს, არ ვარდებოდეს ისტერიკაში, როგორც კი შეთავაზებას უცხოური კლუბიდან მიიღებს. როდესაც ფეხბურთელი „დორტმუნდიდან“ წასვლის შემთხვევაში იფიქრებს — ახლა მე ნაბიჯს უკან ვდგამ — სწორედ მაშინ ვიქნებით იმ სიმაღლეზე, რომელსაც გვინდა რომ მივაღწიოთ.

***— მთელი ჩემპიონატის განმავლობაში ერთხელაც არ გითქვამთ — ჩვენი მიზანი ჩემპიონობაა.***

— გერმანიის ჩემპიონატში ახლანდელი „დორტმუნდი“ ის გუნდია, რომელსაც რეალური პრეტენზია აქვს მედალზე. მიზანიც სწორედ ესაა. უფრო მეტიც, ამას თუ ვერ მივაღწევთ, მაშინ ჩავარდნა თვალსაჩინო იქნება. მაგრამ განა შეიძლება მიზნად დაისახო პირველი ადგილის დაკავება, როდესაც მეზობელ ბილიკზე უსეინ ბოლტი მორბის? რა თქმა უნდა, არა! ასეთ შემთხვევაში მხოლოდ იმის იმედი თუ გექნება, რომ მას სადმე ფეხი დაუცურდება. რაც არ უნდა ბევრი ივარჯიშო, ის მაინც უფრო სწრაფად გაიქცევა და ვერაფერს შეცვლი. ამიტომ, ბედნიერი უნდა იყო იმით, რაც გაქვს და არ უნდა ირბინო შეუძლებელის მისაღწევად. მოცემულ მომენტში, ბოლტთან პარალელის გავლებისას სწორედ მიუნხენელებს ვგულისხმობდი, ერთი თავით მაღლა დგას ყველა თვალსაზრისით. ესაა ისტორიულად დადასტურებული ფაქტი, მაგრამ მუდამ ასე როდი იქნება. დროთა განმავლობაში ჩვენ აუცილებლად მივაღწევთ მსგავს დონეს.

***— ამისათვის რა უნდა გააკეთოთ?***

— „ბაიერნს“ აქვს კვალიფიკაცია და გამოცდილება, ჩვენ კი, მხოლოდ კვალიფიკაცია, ანუ გვჭირდება გამოცდილება. შეხედეთ ჩვენს გამოსვლას ჩემპიონთა ლიგაზე. თუ ჩვენ გულშემატკივრებმა „მარსელთან“ მატჩი გვაპატიეს და მადლობა გვითხრეს კარგი თამაშისთვის, „ბაიერნს“ მსგავს სიტუაციას არავინ აპატიებდა.

***— სხვათა შორის, ბოლო 3 მატჩია „ბაიერნს“ ამარცხებთ.***

— ეს ის შემთხვევებია, როდესაც უსეინ ბოლტს ფეხი დაუცდა. უბრალოდ, ამ სიტუაციებში ჩვენ ყველაფერი კარგად გავაკეთეთ და იღბალიც ჩვენს მხარეს იყო. ალბათ ხვდებით, რომ ჯერჯერობით „ბაიერნთან“ მატჩში ჩვენი მიზანი მათი ხაფანგში გამომწყვდევაა. როდესაც ეს გამოგვდის, მაშინ ვახერხებთ მეტოქის დამარცხებას. სასტვენამდე რეალისტებად ვრჩებით, ჩუმად ვართ და შესაძლო გამარჯვებაზე კრინტსაც არ ვძრავთ.

***— სასიამოვნო იყო სატრანსფერო ბაზარზე „ბაიერნისთვის“ ორჯერ მოგება?***

— ამ საკითხში „ბაიერნს“ მეტოქედ არ აღვიქვამდით. როისით იმიტომ კი არ დავინტერესდით, რომ მისი შეძენა „ბაიერნს“ სურდა. კარგია, ეს ტრანსფერი რომ შედგა, მაგრამ სულაც ვფიქრობ, რომ ამით მიუნხენელები გავაცურეთ. ვფიქრობ, მათ რომ ძალიან მონდომებინათ... უკიდურეს შემთხვევაში, როისის ხელში ჩასაგდებად უფრო მეტს იაქტიურებდნენ. ამისათვის მათ შესაძლებლობა ჩვენზე მეტი აქვთ. ჩვენი მხრივ, როისს იმდენი შევთავაზეთ, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით მოგებული ვყოფილიყავით. ამაზე მეტს, უბრალოდ, ვერც გადავიხდიდით.

***— როგორ ფიქრობთ, სწორია, როდესაც მწვრთნელი უფრო ნაკლებ ანაზღაურებას იღებს, ვიდრე მისი გუნდის ფეხბურთელი?***

— ჩემთვის სულ ერთია ვინ რამდენს იღებს. ადამიანს თავი სწორედ იმიტომ აქვს, რომ მოლაპარაკების პერიოდში ისეთ თანხაზე შეთანხმდეს, რამდენიც თავისი მუშაობა ულირს და მერე იმაზე არ უნდა იფიქროს, ვინ რამდენს იღებს.

***— როდესაც ფეხბურთელი იყავით, მაშინაც ასე ფიქრობდით?***

— როდესაც ფეხბურთელი ვიყავი, „მაინცის“ მენეჯერი კრისტიან ჰაიდელი მუდამ მეუბნებოდა, რომ ყველაზე დიდ ანაზღაურებას ვიღებდი. მერე მწვრთნელი გავხდი და ვნახე, რეალურად რა ხელფასი აქვთ სხვებს. კარგად ვიცი ჩემი ფეხბურთელების ხელფასები, მაგრამ არასდროს ვეუბნევი მათ — შენ ყველაზე დიდ ხელფასს იღებ და პასუხისმგებლობაც მეტი გეკისრება. ყველას აქვს წარმატებული და წარუმატებელი პერიოდი.

***— გამოდის, თუ მარკო როისი თავიდანვე ისე ვერ ითამაშებს, როგორც „გლადბახში“...***

— მარკოს დიდი ხანია ვაკვირდები და კარგად ვიცი, მისგან რას უნდა ველოდე. მშვენიერი იქნება, თუ ის პირველივე დღიდან ათამაშდება, მაგრამ საქმე მხოლოდ ეს არაა. როისი ხანგრძლივი პროექტის ნაწილია და თუ ის ვერ გაიხსნება, მაშინ მისი კი არა, ჩვენი ბრალი იქნება. ის არ მოსულა ჩვენთან და არ უთქვამს — ამიყვანეთ გუნდში, მე ესა და ეს შემიძლია. ჩვენ თავად ვნახეთ რა შეეძლო მას და შეთავაზება გავუკეთეთ.

***— როისის დონის ფეხბურთელების ტრანსფერს უახლოეს პერიოდში კიდევ უნდა ველოდეთ?***

— არსად არ გვეჩქარება. კლუბის ფილოსოფია არაა დევიზი - ახლა, ან არასოდეს. ჩვენ არ შეგვიძლია „ვოლფსბურგის“ მსგავსად ზამთრის სატრანსფერო პერიოდში 20 მილიონი ევრო დავხარჯოთ, რათა ნახტომი გავაკეთოთ. აქცენტს სწრაფ შედეგზე კი არა, ბიზნესის აგებაზე ვაკეთებთ. ბიზნესგეგმის გათვალისწინებით, სატრანსფერო ბაზარზე სულ სხვა სტრატეგია გვაქვს — გადაწყვეტილების მიღებამდე სიტუაციას ასჯერ მაინც ვაფასებთ. მეორე მხრივ, თუ რომელიმე ფეხბურთელის შეძენა გადავწყვიტეთ, ფეხზე მყარად ვდგავართ და ყველა ვერ გაუძლებს ჩვენთან კონკურენციას.

***— „ვერდერის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვილი ლემკე დარწმუნებულია, რომ „ბაიერნის“ გეგმებში თქვენი ხელში ჩაგდება შედის.***

— სიმართლე გითხრათ, ეს საერთოდ არ მაინტერესებს. მივეჩვიე მხოლოდ იმ საკითხებზე საუბარს, რომელიც ჩემთვის მნიშვნელოვანია. ამ წუთისთვის წასასვლელ მიზეზს ვერ ვხედავ. „დორტმუნდთან“ კონტრაქტი 2014 წლამდე მაკავშირებს.

***— გაჩნდა ინფორმაცია, რომ ნური შაჰინს „დორტმუნდში“ დაბრუნება უნდა, რამაც თქვენი გაღიზიანება გამოიწვია.***

— იმიტომ, რომ არ მიყვარს — ასე რომ იყოს, პოზიციიდან საუბარი. მსგავს თემებზე საუბარი, წყლის ნაყვას ჰგავს და შედეგი ნულის ტოლია. ნურისთან ხშირი ურთიერთობა მაქვს, იმ სიტუაციას განვიხილავთ, რაც მას მადრიდში შეექმნა და მეტი არაფერი. ისე, არავინ იცის, რა შეიძლება მოხდეს სატრანსფერო პერიოდში.

# ამირან შალიკაშვილი: წმინდა გიორგის განსახიერება ძალიან გამიჭირდა“

ეკა ირემაშვილი

ამირან შალიკაშვილი უმცროსი ჯერ მხოლოდ 29 წლისაა და პანტომიმის თეატრში უკვე ითამაშა ისეთი როლები, რომლებზეც ნებისმიერი მსახიობი იოცნებებდა. მისმა მამამ, ამირან შალიკაშვილმა, შვილი ტრილოგიაში მთავარ როლებზე დააკავა და ტერენტი გრანელი, წმინდა გიორგი და ქრისტე ათამაშა. მსახიობი გასულ წელს თეატრის მოღვაწეთა კავშირმა საუკეთესოდ დაასახელა.

მანამდე კი 13 წლის ამირანი მამამ მსახიობების სიმცირის გამო თეატრში წაიყვანა და სპექტაკლ „სტუმარ-მასპინძელში“ „მასოვკაში“ დააკავა. რა სიახლეებია მის შემოქმედებაში და გრძნობს თუ არა პოპულარობას, ამ თემებზე მსახიობი „ახალ თაობას“ ესაუბრა.

**ამირან შალიკაშვილი უმცროსი:**

— საუბარს ამ სპექტაკლებით დავიწყებ. ეს არის ტრილოგია – ტერენტი გრანელი, წმინდა გიორგი და ქრისტე. წმინდა გიორგიზე და ქრისტეზე ცოტას ვისაუბრებ, იმიტომ რომ ჩემთვის ძალიან მძიმეა. ასე გადაწყვიტა მამაჩემმა, რომ ამ ტრილოგიაში მე ვყოფილიყავი.

***— ამირან, რა იყო ტერენტი გრანელამდე?***

— მანამდე პატარ-პატარა როლები მქონდა ძველ სპექტაკლებში, „დონ ჟუანშიც“ ვიყავი დაკავებული. ძალიან მიყვარს ეს სპექტაკლი, მაგრამ რაღაცნაირად ვერ მოვერგე. ვთამაშობ კარგად, ხალხს მოსწონს, თუმცა, ჩემი პირველი როლი მაინც ტერენტი გრანელი იყო. იმ პერიოდში, როცა სპექტაკლზე ვმუშაობდით, სცენაზე დავდიოდი და ვერ გამერკვია, როგორ უნდა მეთამაშა პოეტი უსიტყვოდ. ამაში მამაჩემი ძალიან დამეხმარა, მიშველა ბატონმა რევაზ მიშველაძემ, რომელმაც პიესა მოიტანა თეატრში. მესამე ადამიანი, რომლის დახმარებაც ჩემთვის წარმატებული აღმოჩნდა, დათო კობახიძეა. ამ სამმა ადამიანმა გამხსნა, თუმცა, მამაჩემი მაინც მთავარია. გასინჯვამდე ეს როლი არ მქონდა ნათამაშები. მამაჩემი ნახაზს მიხსნიდა და სიტყვიერად მაგებინებდა, რა უნდა გამეკეთებინა.

***— უმოქმედოდ რომ იყავით სცენაზე, მამას ეს არ აბრაზებდა?***

— არა. ყველა სპექატკლზე ასე ვარ, თან მამაჩემი კარგად მიცნობს. არ შემიძლია ეგრევე თამაში. ჩვენ გვყავს მსახიობები, რომლებიც რეპეტიციებზევე იწყებენ თამაშს. მე ეს არ შემიძლია. ვერც წმიდა გიორგიზე და ვერც ქრისტეზე რეპეტიციებზე ვერაფერს ვაკეთებდი. შემდეგ თავისით მოვიდა ყველაფერი. უკვე პრემიერაც დანიშნული იყო, როცა გასინჯვის დღეს გავიხსენი და ვითამაშე. ბატონი რეზო წამოდგა და თქვა, ამას უკვე არაფერი აღარ სჭირდებაო. პირდაპირ რომ ვთქვა, ტერენტი გრანელი საუკუნის სპექტაკლია. ეს არის ჩემი ყველაზე პირველი დიდი და წარმატებული როლი, რომელიც ძალიან მიყვარს. თან ტერენტიზე თქვეს, ეს, ალბათ, ამირან შალიკაშვილის ბოლო სპექტაკლიაო, იმდენად მაღალი დონის იყო, ამის მერე რაღა უნდა დადგასო. ამ სიტყვებმა, ალბათ, გაალიზიანა მამაჩემი. იმ პერიოდში ბატონმა რევაზმა შემოიტანა წმინდა გიორგიზე პიესა. ეს ყველაფერი პატრიარქთან შევიდა, მან კურთხევა მისცა დადგმაზე, შემდეგ უნდა ენახათ და მიიღებდნენ გადაწყვეტილებას, იქნებოდა თუ არა დაშვებული ამ სპექტაკლის თამაში. დავიწყეთ მუშაობა. პირველი ერთი წელი მამაჩემი თავის თავთან მუშაობდა.

***— არ გაგიჭირდათ წმინდა გიორგის განსახიერება?***

— ძალიან, იმდენად შებოჭილები ვიყავით, პირადად განვიცდიდი საშინლად. ტერენტი გრანელში უფრო პლასტიკა ჩავდე და პანტომიმისკენ წავედი. აქ უკვე უსიტყვო დრამა წამოვიდა. მთავარი იყო შინაგანი ემოცია. შეიძლება, მოძრაობა საერთოდ არ გააკეთო, ადამიანი დადგე სცენაზე, შინაგანად ითამაშო და მიმიკით გადმოსცე ის ტრაგედია, რაც მოხდა. ამან შეცვალა ძალიან ჩემი ცხოვრება. იმდენად მძიმე იყო ეს ჩემთვის, რომ მონასტერშიც წავედი ერთი კვირა მეგობრებთან ერთად. წავიღე წმინდა გიორგის ხატი, იქ დავტოვე. პირველი ერთი კვირა ძალიან მიჭირდა ამის თამაში. საბოლოოდ ყველაფერი გადავლახეთ, შევასრულეთ, მოჰყვა ამას ბევრი კრიტიკა, მაგრამ ჩვენ ხალხს ვუთხარით, მოდით, ნახეთ, თუ არ მოგეწონებათ, მაშინ გვაკრიტიკეთო.

***— მწარე კრიტიკა გახსოვთ?***

— მწარე არა, მაგრამ უაზრო კრიტიკა – კი. ერთხელ რადიოში იყო ამაზე გადაცემა და ამბობდნენ, როგორ შეიძლება, წმინდა გიორგიმ იცეკვოს ან იმღეროს სცენაზეო. ვრეკავდი მაშინ რადიოში, მაგრამ ვერ გავედი. ვინც ეგ თქვა, საერთოდ პანტომიმის აზრზე არ არის. პანტომიმის თეატრში მსახიობები არც ცეკვავენ და არც მღერიან. ხშირად ჩვენ პანტომიმის მოცეკვავეებსაც გვეძახიან, რაც არასწორია. ჩვენ მოცეკვავეები არ ვართ, ჩვენ მსახიობები ვართ. ეს არის ტრაგიკული პანტომიმა, რაც მამაჩემმა შექმნა. მან რთული ცხოვრება გაიარა, ამიტომ მისი პანტომიმაც ტრაგიკულია. კომედიური ნოველებიც აქვს, მაგრამ უფრო ტრაგიკულია მამაჩემის სპექტაკლები. ჩვენ გვაქვს კომედიური პანტომიმის ნოველები, საბავშვო სპექტაკლები, ხალხს ვამხიარულებთ, მაგრამ ძირითადად მაინც ტრაგიკული სპექტაკლები გვაქვს. ეს იმით არის განპირობებული, რომ მამაჩემს ბევრი ტრაგედია შეხვდა – თეატრი დაეწვა, ძმა გარდაეცვალა შიმშილით, გადასახლება, მთლიანობაში რთული ცხოვრება ჰქონდა. ამაზე მამაჩემს წიგნებიც აქვს გამოშვებული. ვიცით, რომ ტრაგიკული სპექტაკლები ხალხს კიდევ უფრო ამძიმებს, ამიტომ მე და ჩემი ძმა ვპირდებით მაყურებელს, რომ აუცილებლად გავამხიარულებთ.

***— რას იტყვით „ქრისტეზე“?***

— ამ სპექტაკლზე საუბარი საერთოდ არ შემიძლია. არანაირი პლასტიკა არ დევს ამ სპექტაკლში ჩემგან, შეიძლება, ერთიორი მოძრაობა გამოერიოს. ვერც კი წარმომედგინა, იდგეს ქრისტე სცენაზე, ან ტალღა გაატაროს, ან სხვა რამ გააკეთოს. ამ სპექტაკლში ყველაფერი გადავიდა დრამაზე და შინაგან ემოციაზე. შიგნით რას ვაკეთებ და როგორ, ამაზე ლაპარაკი არ შემიძლია.

***— ქრისტეს დროსაც წახვედით მონასტერში?***

— ეკლესიაში ყოველთვის დავდივარ, მორწმუნე ადამიანი ვარ. საერთოდ, მსახიობობაც ცოდვააო, ამბობენ, მგონია, რომ ასე არ უნდა იყოს, იმიტომ რომ ყველას თავისი გზა აქვს. ქრისტეს დადგმა უცებ გადაწყდა. ბატონმა რევაზმა დააჩქარა მამაჩემი, იმიტომ რომ მისი იუბილე იყო. მიყვარს ეს ადამიანი და ვაფასებ. ის ჩემი ბავშვის ნათლიაა. მე გამიჩნდა ამის სურვილი, იმიტომ რომ მან ჩემს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა. ტრილოგიის პიესების ავტორი ბატონი რევაზია. ქრისტეზე ისე მოხდა, რომ მარჯანიშვილის თეატრში აღმოვჩნდით და პრემიერა იქ ვითამაშეთ.

***— მოვიდნენ სასულიერო პირები პრემიერაზე?***

— წმინდა გიორგიზე იყვნენ. არ მახსოვს იმ მამაოს სახელი, მაგრამ მან თქვა, ეს სპექტაკლი არა მარტო საქართველომ, არამედ მსოფლიომ უნდა ნახოსო, იმიტომ რომ ეს არის ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ისტორია. წმინდა გიორგი რომ მეომარი იყო, რთული გზა გაიარა და როგორ მივიდა მოწამეობრივ სიკვდილამდე, ძალიან



ჰგავს საქართველოს მოწამეობრივ გზას.

***— დღეს მამათქვენის მოძრაობებს სხვა თეატრები იყენებენ. ეს არ გაღიზიანებთ?***

— არ არის დასამალი, პაატა ციქურიშვილი ვაშინგტონში იყენებს მამაჩემის მიერ დადგმულ მოძრაობებს. მამაჩემს თავისი მოსწავლეები ძალიან უყვარს, მაგრამ ისინი, ვინც მას აღიარებს და უყვართ. მე ყველასთან ვმეგობრობ, ისინი მამაჩემის გამოზრდილები არიან და ეს ხელოვნება მსოფლიოში გააქვთ. ის, რომ მამაჩემის დადგმული სცენები აქვთ გადატანილი თავიანთ სპექტაკლში, მესმის, აბა, მეტი რა უნდა ქნან, ამის მეტი მოძრაობების მოგონება შეუძლებელია. მეც მთელი ჩემი ცხოვრება მამაჩემის მოძრაობებით უნდა ვისაზრდოო. უბრალოდ, უნდა ვაღიაროთ, რომ მამაჩემი ლეგენდაა. მას პანტომიმის წიგნი აქვს გამოცემული და მჯერა, რომ მალე მისი წიგნის სახელმძღვანელოდ გამოყენება დაიწყება.

***— თქვენს თეატრში არ არის ელემენტარული პირობები. როგორ მუშაობთ?***

— ნამდვილად ცუდ მდგომარეობაში ვართ, მაგრამ ყველანაირად ვეცდებით, რომ ეს თეატრი იმ იდეალურ მდგომარეობამდე მივიყვანოთ, როგორსაც პანტომიმა იმსახურებს. შემოქმედებით ეს თეატრი უკვე არის მაღალ დონეზე, მაგრამ აქაურობას პირობების შექმნა სჭირდება. მამაჩემმა თეატრი რომ გახსნა, 7 მსახიობი და პატარა სცენა პატარა პარტერით ჰყოფნიდა, მაგრამ ახლა უკვე 35 მსახიობი ვართ, სპექტაკლები გვაქვს, სადაც 30-35 მსახიობი დგას სცენაზე. ამას უკვე განვითარება, სკოლა სჭირდება. უნივერსიტეტში გვაქვს ლექციები, ყველა ფაკულტეტმა გასულ წელს მოითხოვა, ისწავლებოდეს პანტომიმა. არ შეიძლება, დრამის მსახიობი უბრალოდ იდგეს სცენაზე და გრძნობით წაიკითხოს ტექსტი. ახლა გამოფხიზლდნენ და მიხვდნენ, რომ პანტომიმა საჭიროა და ეს არის დიდი ხელოვნება. პანტომიმა გეხმარება ნაბიჯის გადადგმაში, სულ სხვანაირად შეგიყვანს იმ როლში, რომელიც რეჟისორმა მოგცა.

***— მაყურებელი აქტიურობს?***

— ძირითადად ჩვენთან უცხოელები მოდიან. ამ სპექტაკლებს ენის ბარიერი არ აქვთ და ამიტომაც ტურისტები მრავლად გვესწრებიან. თბილისურად რომ გითხრათ, იაპონიის ელჩი მამაჩემის ძმაკაცია. დარეკავს, ამოდით ჩემთან, ვიქეიფოთო. ავალთ, ვიქეიფებთ, მერე მამაჩემი დაურეკავს, წამოდით, ჩემთან ვიქეიფოთო, მერე იქ ვქეიფობთ. ეს ადამიანი ყოველთვის ჩვენ გვერდით არის, კახეთშიც რთველში, პრემიერებზეც. ამ უცხოელებს ელემენტარული პირობები სჭირდებათ. როგორია, როცა უცხოელი სპექტაკლზე ზის და სკამი ჩაუტყდება?! როგორია, როცა არც განათება გაქვს, არც მუსიკა ისმის წესიერად. ამას წინათ ამერიკელი მეუბნებოდა, ხრიალებს მუსიკა და გაასუფთავეთო. როგორ გავასუფთავო, როცა არ მაქვს აპარატურა. დამრჩა 7-8 პროჟექტორი, როცა უნდა მქონდეს 40-45. ტურისტებს ხომ უნდა მოვუწყოთ პირობები? ისინი თბილისში ბევრ სპექტაკლს ენის ბარიერის გამო ვერ იგებენ, ამიტომ მოდიან ჩვენს თეატრში. აქ არც ენის ბარიერია, არც დეკორაცია გჭირდება, არც განსაკუთრებული კოსტიუმები. რაც რეპერტუარში გვაქვს, იმათ არც ერთი დეკორაცია არ აქვთ, განათება და მუსიკა დარჩა, რომელიც არ გვაქვს. ამის მიუხედავად, სიცივეა თუ სიცხე, არც ვჩერდებით და ვუშვებთ სპექტაკლებს.

***— რას ნიშნავს, იყო წლის საუკეთესო მსახიობი?***

— ეს ჩემთვის დიდი პატივია. შარშან თეატრის მოღვაწეთა კავშირმა მომანიჭა ეს წოდება. ამ ტრილოგიამ, ამ წოდების გარდა, ბევრი წარმატება და გამარჯვება მოგვიტანა არაერთ საერთაშორისო ფესტივალზე.

***— გრძნობთ ამ წოდებას?***

— არა, საერთოდ არა და ეს არაფერში მჭირდება. ჩვენს თეატრს რეკლამა სჭირდება. დღეს არ არსებობს არაფერი რეკლამის გარეშე. ჩვენს თეატრში ნამდვილად არიან გამორჩეული მსახიობები, აღარ არიან პატარები, 30-35 წლის არიან, აღარ ვართ 16-17 წლის, როცა სანთლებს ვანთებდით, ელემენტებზე მაგნიტოფონს ვრთავდით და სპექტაკლებს ვთამაშობდით. მამაჩემს ერთი თვითაც არ შეუჩერებია მუშაობა, ყოველთვის აფიშა იყო გაკრული და ორი-სამი კაცისთვის ვთამაშობდით სპექტაკლებს.

***— ვიცი, რომ თქვენს თეატრს ხშირად ძარცვავენ. რას გერჩიან?***

— სხვათა შორის, ახლაც გვეკარგება რაღაცები. შემოსასვლელი ყოველთვის ღიაა, დაცვა არ გვიყენია, ხან აზიურები დაიკარგება, ხან ლეკვერთხები. ახლაც ორი ლეკვერთხი არ არის, უნდა წავიდეთ და ჩვენი ფულით შევიძინოთ. მაგნიტოფონიც მოუპარავთ ჩვენთვის, გავლა-გამოვლისას მინებიც ხშირად ჩაუმსხვრევიათ, მერე ჩვენი ფულით ვყიდულობთ ახალ მინებს და ვსვამთ.

***— ის, რომ შვილები პანტომიმაში ხართ, მამათქვენის „ბრალია“?***

— კი, ნამდვილად. 13 წლის ვიყავი, როცა ამ თეატრის სცენაზე ფეხი დავდგი. მაშინ თეატრს ორმაგად უჭირდა – საქართველოში არეულობა იყო და თან მსახიობების ნაკლებობა იყო. ცოტა მაღალი ვიყავი და მამაჩემმა, წამო, სპექტაკლში მჭირდებიო და პირდაპირ „სტუმარ-მასპინძელში“ დამაკავა. სადღაც უკან ვიდექი, ამან ძალიან დამაინტერესა, თან ბავშვობიდან სულ სპექტაკლებს ვუყურებდი, მერე უკვე ნელ-ნელა წინ-წინ წამოვედი და ახლა უკვე სულ წინ ვდგავარ. ჩემი ძმა თავიდანვე რეჟისურით დაინტერესდა.

***— თქვენც ხომ არ დადგამთ სპექტაკლებს?***

— ძირითადად ივენთებზე და გარე ღონისძიებებზე ვმუშაობ, რომ შეკვეთები ავიღო. რაღაცები კი მიტრიალებს თავში, მაგრამ, როდის „დამცხებს“, არ ვიცი. არ არის გამორიცხული, მომავალში მეც რამე დავდგა, მაგრამ ამ ეტაპზე მსახიობობა ძალიან მიყვარს. ჩემთვის რეჟისორობა უფრო დაბალი დონეა, ვიდრე მსახიობობა და ალბათ პირიქით ფიქრობს ჩემი ძმა. იმიტომაც ვართ ძლიერები და ღირსები ვართ კარგი შენობის და კარგი მომავლის. ორივე ძმას შეგვიძლია, დავიწყოთ რეჟისურაც, მსახიობობაც. ხალხს ნანახი აქვს დათოს სპექტაკლები და ძალიან კარგად გამოსდის, ხალხს ნანახი აქვს ტრილოგიაც და ჩემი მსახიობობაც მოსწონთ. დავამტკიცეთ, რომ ვართ ღირსნი, ეს თეატრი იყოს ნორმალური, აშენდეს და წინ წავიდეს.

***— საზღვარგარეთ მიწვევები გაქვთ?***

— ძალიან ბევრი, მაგრამ ხშირად ვერ მივდივართ. ყოველთვის ითხოვენ, რომ ჩვენი ხარჯებით ჩავიდეთ. ეს გვიჭირს, ადრე დავდიოდით ნახევარი დასით, ახლა ისეთი სპექტაკლები გვაქვს, მთელი დასია დაკავებული და გაყოფას ვერ ვახერხებთ. წინაზე დაგვეხმარნენ კულტურის სამინისტრო და მერია, თანხის ნახევარნახევარი დადეს და წავედით ფესტივალზე. ჩვენს თეატრში შური და ბოღმა არ არის, ერთი ოჯახივით ვართ, მაგრამ მაინც გული გვტკივა, როცა ჩვენ იქ ვართ და დანარჩენები აქ რჩებიან. გვქონია შემთხვევა, გაგვიყვია დასი, ნაწილი ერთ ფესტივალზე წასულა, ნაწილი – მეორეზე. ისეც ყოფილა, რომ ჩავსულვართ პოლონეთში, სპექტაკლი გვითამაშია და იმ საღამოს ისევ წამოვსულვართ საქართველოში. ასეთი საქმიანი გასვლებიც არის, რაც კარგია ჩვენი სამომავლო კონტაქტებისთვის.

***— თეატრის არსებობისთვის ვინ გეხმარებათ?***

— მამუკა ქაცარავა ძალიან გვეხმარება. ბოლო პერიოდში ძალიან გამოსწორდა მდგომარეობა, ხელფასებიც მოგვემატა, არავინ ვწუწუნებთ. უბრალოდ, საქართველო შენდება და დღეს ყველა თეატრი გაკეთდა. ერთადერთი ჩვენ დავრჩით. ვინ გააკეთა და როგორ, არ მაინტერესებს, მაგრამ სახელმწიფომ უნდა მიხედოს თავის თეატრებს. რემონტი ყველგან კეთდება და ჩვენც გვინდა, რომ აქ პირობები იყოს. ბოდიში და მაყურებელს რომ ტუალეტში მოუნდეს, ვერ შევა, იმიტომ რომ ჩვენს ტუალეტში არ შეისვლება. ერთხელ უცხოელი რომ შევიდა, გაგიჟებული გამოიქცა იქიდან. რეპეტიციებზე სანამ არ გავიყინებით, არ ვჩერდებით. ელემენტარული საგრიმიორო არ გვაქვს. დიდი მადლობა ყველას ყველაფრისთვის, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, XXI საუკუნეა, 2012 წელია და ჩვენც ვიმსახურებთ რაღაცას.

***— ამბობენ, შენობას იცვლიანო. მართალია?***

— ჩვენ შევიტანეთ პროექტი მერიაში, რომლის მიხედვითაც მხოლოდ თეატრი არ არის წარმოდგენილი. პანტომიმის საერთაშორისო ცენტრი გაიხსნება, სადაც იქნება სკოლა, ჩამოვლენ უცხოელები, სამთვიანი, ექვსთვიანი და ერთწლიანი კურსები გვექნება, რომელსაც სხვადასხვა ფასს დავადებთ. მარსელ მარსოსთან კურსი 12 ათასი ევრო ღირდა. არა მგონია, მარსელზე რამით ნაკლები იყოს ამირან შალიკაშვილი. მამაჩემმა დიდი თეატრი შექმნა. პოლონეთში 20 კაცით რომ ჩავედით, გაგიჟდნენ, 20 პანტომიმისტი სად შეაგროვეთო. ფესტივალში უმეტესობა თითო-თითო გამოდიან და თამაშობენ. „ფიროსმანში“ 25 კაცი ვდგავართ სცენაზე. გაოცებული არიან, თან სუფთა თბილისი ცოცხლდება. ევროპას ეს ძალიან უკვირს. არანაირად არ წააგავს ჩვენი სპექტაკლები ევროპულ პანტომიმას, წარმოდგენები სუფთა ქართულია, მათში ქართული სული და ქართული პანტომიმაა. დიდი მოთხოვნაა უცხოელებისგან, რომ ჩამოვიდნენ და ისწავლონ ეს ხელოვნება, მამაჩემიც მიჰყავთ ხოლმე უცხოეთში და იქ ასწავლის. ჩვენ სტუდიები გვექნება და უცხოელებსაც ვასწავლით. ამჟამად ველოდებით პასუხს მერიისგან. რაც შეეხება ადგილმდებარეობის შეცვლას, არც მაგის წინააღმდეგნი ვართ, უბრალოდ, რუსთაველზე ვართ და ერთადერთი პანტომიმის თეატრი პრესტიჟულ ადგილზე უნდა იყოს. ეს საქართველოსა და მთავრობის სახელიცაა. ჩვენი თეატრი უნდა იყოს დიდი შენობა, თავისი ყველაფრით.

***— როდის გეცოდინებათ მერიის პასუხი?***

— ვიცით, რომ ჩვენი პროექტი მერიამ მოიწონა, ჯდება სტანდარტში, არის თანამედროვე შენობა, არ ჰგავს არც ერთი თეატრის შენობას, არ არის სტანდარტული, რადიკალურად განსხვავებულია. მერიას ჩვენი აზრი შევთავაზეთ, შეიძლება, შეიცვალოს, მაგრამ ჩვენთვის მთავარია, დადებითი პასუხი იყოს. მოლოდინი გვაქვს და დიდი იმედებით ვართ.

***— ამირან, გრძნობთ პოპულარობას?***

— სასიამოვნოა, როცა გცნობენ, თან მე და მამაჩემს ერთი სახელი და გვარი გვაქვს, უფრო მამაჩემის პოპულარობით ვარ ცნობილი.

***— კარგია, ორივე რომ ამირანი ხართ?***

— ძალიან კარგია. პოლონეთში საზღვარზე დიდი პრობლემა გვქონდა, შეცდომაა ორი ამირან შალიკაშვილიო. ძალიან მსიამოვნებს, რომ ამირან შალიკაშვილი ვარ. ბავშვობაში სახელი ამირანი ცოტა არ მსიამოვნებდა, მაგრამ ახლა, როცა გავიგე, რა მამა მყავს, კაცი ლეგენდაა, ამიტომ ეს ჩემთვის დიდი პატივია. ამირან შალიკაშვილმა ეპოქა შექმნა და დიდი თეატრი დააარსა.

***— პანტომიმის თეატრი ოდესმე გახდება მასობრივად პოპულარული?***

— მგონია, რომ აუცილებლად გახდება. პანტომიმის თეატრს მაგარი კოზირი, უფრო სწორად, ჯოკერი უჭირავს ხელში. საქართველოში ძალიან ბევრია დრამატული თეატრი, მაგრამ პანტომიმა ერთია. კახა ბაკურაძე აშენებს თეატრს, ევროპაში, ამერიკაში მამაჩემის მოწაფეები გავიდნენ და გაიტანეს ჩვენი სახელი. ერთადერთი ოცნება მაქვს ცხოვრებაში – 81 წლამდე უნდა ვიცხოვრო და იცით, რატომ? 81 წლის რომ ვიქნები, ეს თეატრი ერთი საუკუნის – 100 წლის გახდება და მინდა, ეს თარიღი მე აღვნიშნო. პანტომიმის თეატრს 13 მაისს აქვს დაბადების დღე. პირველ სპექტაკლს ერქვა „ესეც ასე“ – ის აფიშა ახლაც გვიკიდია. აღვნიშნავ თეატრის 100 წლის იუბილეს და დავემშვიდობები კიდეც საქართველოს. ვიცი, რომ იქამდე დიდი გზა მაქვს გასავლელი. საქართველო უნდა მიხვდეს, რომ ეს ხელოვნება მისთვის საჭიროა, აქ ქართული სული და გული დევს. რომ ამბობენ, შალიკაშვილები, შალიკაშვილებიო, რა ვქნათ, მამაჩემს მისცა ღმერთმა ეს ნიჭი, არ მისცა სხვა გვარს და რა ვუყოთ? ამის გარეშე ვერ ვცხოვრობთ. არ არსებობს, დღე ისე გავიდეს, თეატრში არ მოვიდეთ ორივე ძმა. ახალ წელს შვებულება გვქონდა, მაგრამ სულ ამ თეატრში ვიყავით. მსახიობები იძახდნენ, ქალაქში შალიკაშვილების სენი დადისო. სულ თეატრში იყვნენ. მინდა, ყველას ვუთხრა, გაუფრთხილდნენ ამ ხელოვნებას და დაინახონ, ვინ არის მამაჩემი, მაგრამ არავის ვაძალებ, ვისაც არ უნდა გაგება, ნუ გაიგებს. ამ თეატრში ყველაფერს ჩვენი ხელით ვაკეთებთ, ნაგვის გატანა იქნება თუ გათბობა. ამ თეატრში ყველაფერი ჩვენ ვართ – მკერავებიც, მუსიკალური ხელმძღვანელებიც, დაცვაც, რეჟისორებიც, რეკვიზიტორებიც. ამოვიდა ყელში ასეთ ყინვაში მუშაობა, ამიტომ ივენთებზე შეგროვილი თანხით გათბობა დავაყენეთ. სირცხვილია, XXI საუკუნეში გათბობა არ იყოს თეატრში. თუკი გვერდში დაგვიდგებიან, პირობას ვაძლევ საქართველოს, როცა თეატრს წესიერი შენობა ექნება, ყველაფერი უმაღლეს დონეზე ავა. პანტომიმა ისეთი ხელოვნებაა, მაინც ყველგან ჩვენ ვიქნებით, ვერ მოგვიშორებენ, შალიკაშვილებს – მით უმეტეს. რაც არ უნდა იბრძოლონ, ფარ-ხმალს არ დავყრით და ცხვირს არ ჩამოვუშვებთ. მტრებს რომ ჰგონიათ, მოგვერევიან, მოგვპარავენ კოსტიუმებს და გავჩერდებით, ამას ვერ ელირსებიან.

## ორშაბათი 6 თებერვალი

07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 ქართ. ფილმი "პირველი მერცხალი" 14.00 დოკ. ფილმი "დარიუს მიო და მისი მუსიკა" 15.00 ჩვენი ფერმა 15.30 ჩვენი სამართალი 17.00 გააგრძელე საქართველოს ისტორია 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. "მეორე შანსი" 21.00 სერ. "ზღვარს მიღმა" 22.00 აუდიტორია 23.00 საფეხბურთო მიმოხილვა 00.00 ღამის საუბრები 00.45 საფარი 01.15 მოამბე 01.35 მხ. ფილმი "ხელოვნური ინტელექტი" (ჯ. ლოუ) 04.50 მხ. ფილმი "სინოპტიკოსი" (ნ. კეიჯი)

~~08.00 დოკ. ფილმი 09.00~~ საბ. ფილმი "საიდუმლო კუნძული" 10.30 დოკ. ფილმი 12.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 13.30 ისტორია 14.30, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 16.00 დოკ. ფილმი 19.00 სერ. "ელიტარული უბანი" 20.00 მხ. ფილმი "პოსეიდონის თავგადასავალი" 21.30 დოკ. ფილმი 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფილმი "ამერიკული მთები" (12)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "დედის გული" 11.00 სერ. "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 იღბლიანი ბორბალი 17.00 სერ. "ტერეზა" 18.45 სერ."მიუვარხარ ლოლა" 19.50 სერ."სახლი მეზობლად" 22.00 ქართ. ფილმი "აგვისტოს 5 დღე" 23.30 შერეკილები (ახალი) 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.30 სერ. "ქალის სიტყვა" 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 მხ. და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი 16.00 სერ. "შურისძიების საფასური" 17.40 სერ. "ევა ლუნა" 19.05 სერ."ბედისწერის ქალა" 21.00 სერ."დამალული სიმართლე" 22.00 ქართ. ფილმი "ტბა" 23.40 სიმართლის დრო 00.50 მხ. ფილმი "დაბრუნება ბრაიდსჰედში" (12) (მ. გუდი) 03.25 მხ. ფილმი "ღვთის გამოგზავნილი" (15) (გ. კინეარი) 06.30 სერ. "მარინა"

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. "მარია ემილია" 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. "ვერონიკა მარსი" 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 პულსი 16.00 დოკ. ფილმი 17.10 სერ. "ტყუპები" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 სერ. "ჯაშუში ქალი" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. "ექიმი ქმორი" 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00 "დრო" 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. "ქალი გაიცნობს" 12.50 სერ. "ოსტატი და მარგარიტა" 13.50 1000 წვრილმანი 15.15 სერ. "ექიმი ქმორი" 16.30 დროის ვექტორი 19.35 სერ."სხეული და სული" 21.00 ზღაპრის კონა 23.00 მხ. ფილმი

### ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.00 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.10 მხ. ფილმი "თეთრი ქარავანი" 13.40 კონცერტი – ადილა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 სპექტაკლი "ჩემი პატარა ქალაქი" 17.15 დოკ. ფილმი "გამჭოლი მოქმედება" 17.40 ეთნოგრაფია წარსული 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ. ფილმი "აქედანა და შენამდე" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 22.20 დოკ. ფილმი "მონათესავე ხმები" 22.35 ერთსულოვანი ოჯახი 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 დრო და ტრადიციები 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები

## სამშაბათი 7 თებერვალი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 საფეხბურთო მიმოხილვა 13.50 აუდიტორია 15.00 სერ. "ზღვარს მიღმა" 17.00 მედინფო 17.30 დამზადებულია საქართველოში 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. "მეორე შანსი" 21.00 სერ. "ზღვარს მიღმა" 22.00 დიალოგი დავით პაიჭაძესთან 23.00 მხ. ფილმი "გზათა გადაკვეთა" (ბ. აფლეკი) 00.50 კავკასუს ლაივი 01.50 მოამბე 02.10 მხ. ფილმი "ხელოვნური ინტელექტი" (ჯ. ლოუ) 05.25 დოკ. ფილმი "პროფესორ ომიშენის წარმოუდგენელი მფრინავი მანქანები"

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 14.00 დოკ. ფილმი 16.00, 17.00 დოკ. ფილმი 19.00 სერ."ელიტარული უბანი" 20.00 მხ. ფილმი "პოსეიდონის თავგადასავალი" 01.00 მხ. ფილმი "რბოლა მთვარესთან ერთად"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "დედის გული" 11.00 სერ. "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 17.00 სერ. "ტერეზა" 18.45 სერ."მიყვარხარ ლოლა" 19.50 სერ."სახლი მეზობლად" 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 თქვენი შოუ 23.00 შიშის ფაქტორი 00.00 შუა დღე 01.30 პატრული 02.00 მხ. ფილმი (ტიტ.)

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.30 სერ. "ქალის სიტყვა" 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 ღამის შოუ (გან.) 16.00 სერ. "შურისძიების საფასური" 17.40 სერ. "ევა ლუნა" 19.05 სერ."ბედისწერის ქალა" 21.00 სერ."დამალული სიმართლე" 22.00 ნანუკას შოუ 23.40 სიმართლის დრო 00.50 მხ.ფ."ჩემი ძმაკაცის შეყვარებული" (12) (ჯ. ბიგსი) 03.00 მხ. ფ. "დღეს შენ მოკვდები" (12) (ს. სიგალი) 04.30 მხ. ფილმი "შავი ორქიდეა" (15) (ჯ. ჰარტნეტი) 06.30 სერ. "მარინა"

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. "მარია ემილია" 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. "ვერონიკა მარსი" 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 სერ. "ჯაშუში ქალი" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. "ექიმი ქმორი" 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00 "დრო" 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. "ქალი გაიცნობს" 12.50, 19.35 სერ. "სხეული და სული" 15.15 სერ. "ექიმი ქმორი" 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 დოკ. ფილმი "ისინი" 23.40 მხ. ფილმი

### ერთსულოვნება 08.30

განთიადი 10.00 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10 სიახლენი 10.35 დოკ. ფილმი "მონათესავე ხმები" 10.45 დრო და ტარდიციები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი "აქედანა და შენამდე" 13.45 კონცერტი – ახ. ორკესტრი ლევ მარკიზის ხელმძ. 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ. ფილმი "დები ტრევისის საოცარი სახლი" 15.55 მხ. ფილმი "ჩრდილი გზაზე" 17.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.25 ტელეზღაპარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.25 დროის ჩანაწერები 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.25 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 წმინდა ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე 23.30 ქრონიკები დიდი მამულიშვილების ცხოვრებიდან 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 კარაბადინი 01.20 მოკლ. ფილმი "წყრომა" 01.50 კონცერტი – კამერული მუსიკის კონცერტი. მე-2ნ.

## ოთხშაბათი 8 თებერვალი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 მხ. ფილმი "ადამსების ოჯახი" 14.30 ვაშინგტონი დღეს 15.00 სერ. "ზღვარს მიღმა" 17.00 ეკონომ მენიუ 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. "მეორე შანსი" 21.00 სერ. "ზღვარს მიღმა" 22.00 ევროპული არჩევანი 23.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.40 მხ. ფილმი "უკან დედამიწაზე" (პ. ვაიცი) 01.40 მხ. ფილმი "გზათა გადაკვეთა" (ბ. აფლეკი) 03.25 მხ. ფილმი "საწვრთნელი დღე" (15)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 14.00 დოკ. ფილმი 16.00, 17.00 დოკ. ფილმი 19.00 სერ. "ელიტარული უბანი" 20.00 მხ. ფილმი "შეკლეტონი" 01.00 მხ. ფილმი "შობა ოჯახთან ერთად"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "დედის გული" 11.00 სერ. "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 ეთამაშე ვარსკვლავს 17.00 სერ. "ტერეზა" 18.45 სერ. "მიყვარხარ ლოლა" 19.45 სერ. "სახლი მეზობლად" 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.30 შერეკილები 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.30 სერ. "ქალის სიტყვა" 12.30 დღის შოუ 14.40 მუს. ლიგა (გან.) 16.00 სერ. "შურისძიების საფასური" 17.40 სერ. "ევა ლუნა" 19.05 სერ. "ბედისწერის ქალა" 21.00 სერ. "დამალული სიმართლე" 22.00 კონცერტი "შუა ქალაქში" 23.00 ღამის შოუ 00.15 თბილისი ლაივი 01.15 მხ. ფილმი "ბრილიანტის ამბავი" (12) (დ. ჰოვარდი) 03.20 მხ. ფილმი "დინების წინააღმდეგ" (15) (დ. ვაშინგტონი) 06.30 სერ. "მარინა"

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. "მარია ემილია" 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. "ვერონიკა მარსი" 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. "ტყუპები" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 სერ. "ჯაშუში ქალი" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. "ექიმი ქმორი" 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00 "დრო" 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. "ქალი გაიცნობს" 12.50, 19.35 სერ. "სხეული და სული" 15.15 სერ. "ექიმი ქმორი" 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 სცენა 23.40 მხ. ფილმი

### ერთსულოვნება 08.30

განთიადი 10.35 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 11.15 ჩვენი ფონდი 11.25 მგზავრები წუთისოფლისა 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.10 დროის ჩანაწერები. 13.20 კონცერტი – სიმფონ. ორკესტრი კარაიანის დირიჟორობით 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ. ფილმი "დები ტრევისის საოცარი სახლი" 16.00 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 16.30 კვირიაკე 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.25 ტელეზღაპარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.25 მხ. ფილმი "წარსულის აჩრდილები" 1-ლი ნ. 21.05 პატრიარქის ქადაგება 22.20 ქართული ალბომი 22.40 დოკ. ფილმი "წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი" 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 00.35 განთიადის სტუმარი 00.55 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 01.40 კონცერტი – მოცარტი, 1-ლი ნ.

## ხუთშაბათი 9 თებერვალი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 ევროპული არჩევანი 14.00 აღმოაჩინე საქართველო 14.30 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" 15.00 სერ. "ზღვარს მიღმა" 17.00 პირველი ტელევიზია 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. "მეორე შანსი" 21.00 სერ. "ზღვარს მიღმა" 22.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 23.00 თოქ-შოუ "არენა" 00.00 სი ბემოლი 01.20 საფარი 01.50 მხ. ფილმი "მოკლე ისტორიები" (15) (ე. მაკდაუელი) 05.00 მხ. ფილმი "უკან დედამიწაზე" (პ. ვაიცი)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 14.00 დოკ. ფილმი 16.00, 17.00 დოკ. ფილმი 19.00 სერ."ელიტარული უბანი" 20.00 მხ. ფილმი "შეკლეტონი" 01.00 მხ. ფილმი "ძმა, მზე და მთვარე"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "დედის გული" 11.00 სერ. "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 17.00 სერ. "ტერეზა" 18.45 სერ."მიყვარხარ ლოლა" 19.45 სერ. "სახლი მეზობლად" 22.00 პროფილი 23.30 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

07.30 იმედის დილა 10.05 სერ. "მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.30 სერ. "ქალის სიტყვა" 12.30 დღის შოუ 14.40 100 გრადუსი (გან.) 17.40 სერ. "ევა ლუნა" 19.05 სერ."ბედისწერის ქალა" 21.00 სერ. "დამალული სიმართლე" 22.00 ქართ. ფილმი "მიდი, ძმაო, მიდი" 23.40 სიმართლის დრო 00.50 მხ. ფილმი "მატჩ პოინტი" (15) (ს. იოჰანსონი) 03.15 მხ. ფ. "უკანასკნელი ლეგიონი" (კ. ფერტი) 06.30 სერ. "მარინა"

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. "მარია ემილია" 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. "ვერონიკა მარსი" 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 პულსი (გან.) 17.10 სერიალი "ტყუპები" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 სერ. "ჯაშუში ქალი" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. "ექიმი ქმორი" 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.20 სერ. "ქალი გაიცნობს" 12.50, 19.35 სერ. "სხეული და სული" 15.15 სერ. "ექიმი ქმორი" 15.50 დოკ. ფილმი 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 მხ. ფილმი

### ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.35 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი "წარსულის აჩრდილები" 1-ლი ნ. 13.20 კონცერტი – გიზი ამირეჯიბის კლასი 15.05 განთიადის სუტმარი 15.30 დოკ. ფილმი "დები ტრევისის საოცარი სახლი" 15.50 მხ. ფილმი "ბავშვი მიდის სასეირნოდ" 17.30 დრო და ტრადიციები 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.25 ტელეზღაპარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.15 მხ. ფილმი "წარსულის აჩრდილები" მე-2ნ. 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 22.25 წმინდა იოანე ოქროპირი 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "უმორჩილესად გთხოვთ" 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 დოკ. ფილმი "ლაზეთის ბულბული"

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

## პარასკევი 10 თებერვალი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 თოქ-შოუ "არენა" 13.50 დოკ. ფილმი "შერლოკ ჰოლმსი" 15.00 სერ. "ზღვარს მიღმა" 17.00 ავტოპილოტი 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერიალი "მეორე შანსი" 21.30 გააგრძელე საქართველოს ისტორია 23.00 კავკასუს ლაივი 00.00 წითელი ზონა 01.00 მხ. ფილმი "საძმო" 03.15 მხ. ფილმი "დიდი ღამე" 05.15 მხ. ფილმი "სარას ხილვები" (15)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 14.00 დოკ. ფილმი 16.00, 17.00 დოკ. ფილმი 19.00 სერიალი "ელიტარული უბანი" 20.00 მხ. ფილმი "ფრანკენშტეინი" 01.00 მხ. ფ. "ვანილის ცა" (15)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერიალი "როსალინდა" 11.00 სერიალი "კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 პროფილი (გან.) 18.45 სერ."მიყვარხარ ლოლა" 19.45 სერ."სახლი მეზობლად" 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.30 კომედი შოუს სკეტჩები 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

07.30 იმედის დილა 10.05 სერიალი "მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.30 სერ. "ქალის სიტყვა" 12.30 დღის შოუ 14.40 ნანუკას შოუ (გან.) 17.40 სერიალი "ევა ლუნა" 19.05 სერ."ბედისწერის ქალა" 21.00 სერიალი "დამალული სიმართლე" 22.00 ქარ. სერიალი 23.00 100 გრადუსი 00.50 მხ. ფილმი "ძმები მეტოქეები" (ა. გარსია) 02.55 მხ. ფილმი "ქალები" (12) (მ. რაიანი) 04.45 მხ. ფილმი "ამერიკელი ცოლი" (ჯ. ბილი) 06.30 სერიალი "მარინა"

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ."მარია ემილია" 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ."ვერონიკა მარსი" 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერიალი "ტყუპები" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 მხ. ფილმი 23.00 105 წუთი (პირდ.) 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერიალი "ექიმი ქმორი" 10.00 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.15 სერიალი "ქალი გაიცნობს" 13.00 სამედიცინო გად."იმპულსი" 13.30, 19.35 სერიალი "სხეული და სული" 15.15 სერიალი "ექიმი ქმორი" 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 19.35 კონცერტი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 მხ. ფილმი

### ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.35 დოკ. ფილმი "უმორჩილესად გთხოვთ" 11.00 აქტუალური თემა 11.30 გზა, რომლითაც ვიარე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი "წარსულის აჩრდილები" მე-2ნ. 13.20 კონცერტი – ა. ბასილაია 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ. ფილმი "დები ტრევისის საოცარი სახლი" 15.50 მხ. ფილმი "ბოცვერების მესერი" 17.30 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.25 ტელეზღაპარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.25 მხ. ფილმი "ხევისბერი გოჩა" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ჩვენი ფონდი 22.40 მოკ. ფილმი "ცაბუნია" 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "რაინდები" 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 კვირიაკე

## შაბათი 11 თებერვალი

07.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 08.15 ან. ფილმი 09.35 საბ. ფილმი "შავწვერა" 11.00 ეთნოგრაფიული ნარკვევები 11.15 ვაკა-პედია 11.30 ბავშვობანა 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ქართ. ფილმი "ნამდვილი თბილისელები" 14.00 კალათბურთი. საქ. ჩემპიონატი. დინამო-არმია 16.30 ჩვენი სამართალი 17.00 დამზადებულია საქართველოში 17.30 მედინფო 18.00 პირველი ტელევიზია 19.00 ეკონომ მენიუ 22.00 სერ. "მოახლეების საშობაო ვახშამი" 23.00 ავტოპილოტი 00.00 მხ. ფილმი "როზმარის ბავშვი" (15) (მ. ფეროუ) 02.45 წითელი ზონა 03.45 მხ. ფილმი "მართლმსაჯულება ყველასათვის" (15) (ალ პაჩინო) 06.00 მხ. ფილმი "მკვლელის ინსტინქტი"

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 11.00, 15.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 17.30 მხ. ფილმი "ნაბიჯი წინ" 19.00 საუკუნის პორტრეტები 19.30 ჩვენი სამართალი 20.00 მხ. ფ."ფრანკენშტეინი" 21.25 მხ. ფილმი "რწმენის ნახტომი" (ს. მარტინი) 23.10 მხ. ფილმი "სინოპტიკოსი" (18)

08.00 კურიერი 08.30 სერ. "გაორება" 10.30 მხ. ფილმი 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ვაკანსია 13.00 მხ. ფილმი 15.30 ქართ. ფილმი 17.00 სერ. "ახალგაზრდა ქვრივი" 18.30 სიცილის ზონა 18.45 სერ."მიყვარხარ ლოლა" 19.45 სერ."სახლი მეზობლად" 21.00 კურიერი 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 23.00 სერ. "სამხრეთის დედოფალი" 00.00 მხ. ფილმი (ტიტ.) 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 ქრონიკა 08.15 ან. ფილმი 09.15 საბ. ფილმი "უცნაური ფერია" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ჯანმრთელობა 11.45 ან. ფილმი "ავატარი" 12.35 სერ. "ჰანა მონტანა" 13.10 რემონტი 14.30 ავტობიოგრაფია 15.20 კონცერტი: ვარსკვლავების 10 წელი 17.40 სერ. "ევა ლუნა" 18.40 სერ."ბედისწერის ქალა" 20.30 სპეცრეპორტაჟი 21.00 სერ. "დამალული სიმართლე" 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 ქართ.ფ."ჭამა და სექსი" 00.50 მხ.ფ."ბრაზის გამართლება" (15) (კ. კოსტნერი) 02.45 ქრონიკა 03.10 მხ. ფილმი "მისტერ და მისის სმითები" 06.30 სერ. "მარინა"

08.00 მხ. ფილმი 09.45, 10.45, 13.55, 17.20 ტვ-მარკეტი 10.00 სერ. "მარია ემილია" 11.00 პულსი 11.30 ან. ფილმი 12.00 სერ. "ვერონიკა მარსი" 13.00 სერ. "პოლიციელთა ამბები" 14.10 მხ. ფილმი 17.15 სერ. "ველური მთვარე" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 სერ. "ჯაშუში ქალი" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00 "დრო" 09.00 ანიმაცია 10.00 დილის ტალღა 12.00 ფერისცვალება 12.30 მოგზაურის დღიური 13.00, 21.20 სერ. "ქალი გაიცნობს" 13.30 1 000 წვრილმანი 15.00 დოკ. სერ. "ბინდი- გოგონა ჯუნგლებიდან" 15.30 სერ. "მკვლელობები მიდსომერში" 17.00 დოკ. ფილმი 19.00 ქართ. ფილმი 21.00 ზღაპრის კონა 23.00 მოგზაურის დღიური 23.30 მხ. ფილმი

### ერთსულოვნება 08.30

ჩვენი ფონდი 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.00, 12.10, 18.55, 21.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.05, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 კვირიაკე 12.15 მხ. ფილმი "ხევისბერი გოჩა" 13.30 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 15.05 ოპერა "რიგოლეტო" 17.15 მოკ. ფილმი "ცაბუნია" 17.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 18.05 ერთსულ. ვერნისაჟი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.25 ქართული ალბომი 19.45 მხ. ფილმი "თემო" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 კარაბადინი 22.25 ჩემი ქალაქი 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 პორტრეტები ერთსულოვნების გალერეიდან 00.35 საფ. არქივიდან "ტალანტები და თაყვანისმცემლები" 01.20 სად უჩინარდებიან ჩემპიონები 01.40 მხ. ფილმი "ანა და მეფე" 1-ლი ნ..

## კვირა 12 თებერვალი

08.00 ან. ფილმი 09.30 საბ. ფილმი "შავწვერა" 11.00 ეთნოგრაფიული ნარკვევები 11.15 ვაკა-პედია 11.30 ჩვენი ექსპრესი 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ჩვენი ფერმა 13.00 აივანი 13.30 დოკ. ფილმი "მწვანე გორგალი" 14.00 დოკ. ფილმი "მსოფლიო ოდისეები" 15.00 სი ბემოლი 15.30 ჩემპიონთა ლიგის დღიური 16.30 ჩვენი ეზო 17.30 ვაშინგტონი დღეს 18.00 მხ. ფილმი "ოუშენის 12 მეგობარი" (ბ. პიტი) 20.00 აქცენტები 21.00 ცხოვრება მშვენიერია 22.00 სერ. "მოახლეების საშობაო ვახშამი" 23.00 აღმოაჩინე საქართველო 23.30 უცნობი მუსიკა 00.30 მხ. ფ. "ამერიკული სილამაზე" (18) (კ. სპეისი) 02.40 მოამბე 03.00 მხ. ფილმი "როზმარის ბავშვი" (15) (მ. ფეროუ) 05.30 მხ. ფილმი "ტკბილი ნოემბერი" (12) (კ. რივზი)

08.00 დოკ. ფილმი 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 15.00 სპექტაკლი "დაკრძალვა კალიფორნიაში" 17.00 ისტორია 18.00 დოკ. ფილმი 19.00 საუკუნის პორტრეტები 20.00 მოკ. ფილმი "მალდონადოს სასწაული" 21.30 მხ. ფილმი "ბრძნობით შეპყრობილნი" 23.30 წითელი ზონა 00.30 მხ. ფილმი "საძმო"

08.00 კურიერი 08.30 სერ. "გაორება" 10.30 მხ. ფილმი 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ქართ. ფილმი 15.30 თქვენი შოუ (გან.) 17.00 სერ. "ახალგაზრდა ქვრივი" 18.30 სიცილის ზონა 19.00 შერეკილები (გან.) 20.00 ეთამაშე ვარსკვლავს 21.00 პ. ს. კურიერი 22.00 კომედი შოუ 23.00 შიშის ფაქტორი 00.00 მხ. ფილმი (ტიტ.) 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 ქრონიკა 08.15 ან. ფილმი "თავზეხელაღებული ფრენკი" 09.50 ეტალონი 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.05 ქრონიკა 11.15 ბასტი-ბუბუ 11.45 სერ. "შუა ქალაქში" 12.35 სერ. "ჰანა მონტანა" 13.10 დოკ. ფილმი "მაფიის დაუწერელი კანონი" 14.30 სპეც. რეპორტაჟი 17.40 ინტუიცია 18.40 სიმართლის დრო 20.30 იმედის გმირები 20.45 პოლიციის აკადემია 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 23.00 სიმართლის დრო 00.00 სერ. "მხეცი" 01.30 მხ. ფილმი "როგორ მოვიპაროთ მილიონი" (ო. ჰეპბერნი) 03.55 მხ. ფილმი "რეალური სიყვარული" (15) 06.30 სერ. "მარინა"

08.00 მხ. ფილმი 09.45, 10.45, 13.55, 17.10 ტვ-მარკეტი 10.00 სერ. "მარია ემილია" 11.00 პულსი 11.30 ან. ფილმი 12.00 სერ. "ვერონიკა მარსი" 13.00 სერ. "პოლიციელთა ამბები" 14.10 მხ. ფილმი 17.15 სერ. "ველური მთვარე" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "ვნებათა მიწა" 21.00 სერ. "ჯაშუში ქალი" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30 ანიმაცია 09.00 მუსიკა 09.00 სერ. "ექიმი ქმორი" 09.30 ფერისცვალება (გან.) 10.00 დილის ტალღა 12.00 ესტაფეტა 12.30 მოგზაურის დღიური 13.00, 21.25 სერ. "ქალი გაიცნობს" 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.00 "დრო" 15.00 დოკ. სერ. "ბინდი- გოგონა ჯუნგლებიდან" 15.30 სერ. "მკვლელობები მიდსომერში" 17.00 დოკ. ფილმი 18.00 მხ. ფილმი 21.00 ზღაპრის კონა 21.25 სერ. "ქალი გაიცნობს" 23.00 მხ. ფილმი

### ერთსულოვნება

08.00 დილის ლოცვა 08.30 დოკ. ფილმი "რაინდები" 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.40 საფ. არქივიდან "ტალანტები და თაყვანისმცემლები" 11.35 ქართული ალბომი 12.10 მხ. ფილმი "თემო" 13.20 დოკ. ფილმი "კვირიკე" 13.55 დრო და ტრადიციები 14.30 კარაბადინი 15.00, 18.00, 21.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.25 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 გზა, რომლითაც ვიარე 17.30 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 18.05 პატრიარქის ქადაგება 18.30 დროის ჩანაწერები 19.35 მხ. ფილმი "შერეკილები" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.30 კვირიაკე 23.00 სალამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.05 პატრიარქის ქადაგება 00.30 მხ. ფილმი "ანა და მეფე" მე-2ნ.

# მიმზიდველ ღირსშესანიშნაობებს შორის თავისუფლების ქანდაკება ლიდერობს

დასაწყისი მე-7 გვერდზე



რომელიც არქიტექტურული ნიმუშია. იგი 1954 წელს ააგეს. დღესდღეობით მას საფრთხე ემუქრება. შენობის ახლანდელი მფლობელები აპირებენ, რომ შეცვალონ მისი არქიტექტურა და ინტერიერი.

8.წმინდა პარასკევას ტაძარი – პოლონეთი.

ტაძარში შემორჩენილია უნიკალური ფრესკები, რომლებიც მე-17 საუკუნით არის დათარიღებული.

9.სამეფო სასახლე – ჩინეთი.

ეს არის უძველესი სასახლე. იგი ჩინეთის ერთ-ერთ ყველაზე დასახლებულ ადგილას მდებარეობს.

10.ოშკის ტაძარი.

ოშკის ტაძარი მეათე საუკუნეში აგებული ქართული ქრისტიანული მონასტერია. ტაძარი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. ოშკი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონასტერი იყო ტაო-კლარჯეთის სამონასტრო კომპლექსიდან.

ალსანიშნავია, რომ ამ სიაში მოხვედრა მსოფლიო ძეგლთა ფონდის მიერ ძეგლის მდგომარეობის ალიარებას ნიშნავს, რაც, სავარაუდოდ, ოშკის ამჟამინდელ მძიმე მდგომარეობაზე სასიკეთოდ აისახება.

11.სოჩბანქ ცენტრი, ლონდონი.

ეს არის შენობა, რომელიც აგებულია ბრუტალისტურ სტილში, ეს არქიტექტურული სტილი პოპულარული იყო მეოცე საუკუნის შუა წლებში. ცენტრი ხელოვნების ნამდვილ ნიმუშად მიიჩნეოდა, თუმცა ის ახლა დანგრევის პირასაა.

12. თელ ამ ელ-ამრი, პალესტინა.

არქეოლოგებმა პალესტინაში, ერთ-ერთ ტაძარში აღმოაჩინეს ულამაზესი მოზაიკით შემკული ქვაფენილი, რომელიც უძველეს პერიოდს განეკუთვნება. იგი ნამდვილი ხელოვნების ნიმუშია. პალესტინა მუდმივი კონფლიქტების ზონაა, ამიტომ ამ უმდიდრეს კულტურულ მემკვიდრეობას განადგურება ემუქრება.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

## ცფვუქჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

### ოთარ ილურიძის გახსენება



გავიდა ტკივილით, ცრემლითა და უსაზღვრო მონატრებით აღსავსე ორმოცი დღე.

„ჩვენ დავტირივართ მეგობრის საფლავს
და ჩვენს ქვითინზე ხეებში ქარი ბორგავს და ტირის,
ჭირისუფლად ჩამომდგარან ჭადრის ხეები,
ო, რა ქართველი დააკლდა თბილისს!!!“

ძნელია, შესაბამისი სიტყვები გამოძებნო და დაემშვიდობო პიროვნებას, რომელთანაც საბავშვო ბაღიდან მოყოლებული მეგობრობა გაკავშირებს. ჩვენ პლეხანოვზე გავიზარდეთ. ამ უძველეს უბანში გაზრდილმა ადამიანმა კარგად იცის ქვეყნის, ქალაქის, მეგობრობის, ურთიერთგაგებისა და დახმარების ფასი. თავისი ცხოვრების მანძილზე ოთარმა უანგაროდ გასცა დიდი სიყვარული და უპრიანია, რომ სწორედ მას გაჰყვა უფროსი თაობის პლეხანოველთა მდუღარე ცრემლი!

ოთარის ბიოგრაფია უცნაურად დაიწყო. მისი ულამაზესი გარეგნობისა და ნიჭიერების გამო კოტე მარჯანიშვილის სპექტაკლში მიიწვიეს. ბავშვობიდან უდიდესი მსახიობების გვერდით იდგა სცენაზე, შემდეგაც არაერთხელ მოუხიბლავს მაყურებელი თავისი შესანიშნავი ხმით, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე შემორჩა. ჩვენი მაესტრო ხომ შენ იყავი. ჩვენი თანაკლასელების მეგობრობა ხომ საოცარია და გამორჩეული. როგორ შეძელი, ჩვენი შეკრებების დროს სმენის მქონე და არმქონე ადამიანებისგან ისეთი გუნდი შეგექმნა, რომ მშვენივრად ვმღეროდით, რაც მთავარია, შეხმატკბილებულად. როგორც უთქვამთ: ქართველებმა ღმერთთან მიახლოების გზად სიმღერა აირჩიესო. როგორ აიღე ასეთი დიდი ტვირთი შენს თავზე და როგორ დაგვაყენე ამ განწმენდის გზაზე! მადლობა ბედნიერი დღეებისთვის, მადლობა სიცოცხლის გალამაზებისთვის, მადლობა თანადგომისთვის! კლასში ნამდვილი გენერალი გვყავს, მაგრამ შენ მხედართმთავარს გეძახდით. ჩვენ კი ვცდილობდით, შენი ერთგული მხედრები ვყოფილიყავით!

ღმერთო! რამხელა სითბო მოაკლდა შენს ოჯახს, შენს ახლობლებს, მეგობრებს. როგორ ვანუგეშოთ ჩვენი უსაყვარლესი თამრიკო? ოთო, მას ყველაზე მეტად უჭირს, მაგრამ, იცოდე, ის ჩვენი და იქნება ყოველთვის. უჭირთ დათოს და გიორგის, კარგ ბიჭებს, რომლებიც მშვენივრად აცნობიერებენ, თუ ვინ დაკარგეს. გვინდა, ვანუგეშოთ ერთადერთი ძმის დამკარგავი ლილიც, რომელიც შენი დიდი გულშემატკივარი იყო. შენი წასვლით ხომ ჩვენი ბედნიერი დღეებიც დასრულდა.

შენ, ალბათ, ყველას ლოცავ მანდედან, განსაკუთრებით კი შენს საყვარელ ოთოკატოსა და პატარა ოთარს! ჩვენ ყველა შენს ლოცვას ვუერთდებით. დაე, სახელოვანი ბაბუის ღირსეული მემკვიდრეები გაიზარდეთ, ბავშვებო! ჩვენ გვჯერა, სულ მალე ააჟღერებთ დროებით შეწყვეტილ „წინწყაროს“, ხელს ჩასჭიდებთ „ხარებას და გოგიას“ და ააფერადებთ იმ „ყვავილების ქვეყანას“, რომელსაც თქვენმა წინაპარმა ჩოქვით შემოუარა.

დალოცვილი იყავით, პატარებო, ახლა, თქვენი ჯერია!

ღმერთო! მუხლმოდრეკილი გევედრებით, მართალთა სავანეში ამყოფე ჩვენი უსაყვარლესი მეგობრის სპეტაკი სული!

**კლასელები**

---



69 წლის ასაკში გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი-დეზინფექციონისტი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

**ვახტანგ (გორიკო) ვასილის ძე ლატარია**

დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხეთაში 1942 წელს. 1959 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ხეთის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სანჰიგიენურ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1965 წელს. განაწილებით მუშაობა დაიწყო ქ.რუსთავის სანეპიდსადგურის სანიტარიულ-ჰიგიენური განყოფილების გამგედ, სადაც იმუშავა 1970 წლამდე. 1970 წლიდან 1978 წლამდე მუშაობდა ქ.რუსთავის დეზსადგურის მთავარ ექიმად. 1978 წელს დაინიშნა რესპუბლიკის პროფდეზგანყოფილების გამგედ. 1989 წლიდან დღემდე მუშაობდა დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციისა და სტერილიზაციის სპეციალიზირებული ეპიდზედამხედველობის ცენტრის დირექტორის მოადგილედ.

ვახტანგ ლატარია იყო თვალსაჩინო სპეციალისტი, გულისხმიერი და უანგარო პიროვნება, რომელიც დაჯილდოებული იყო სხვადასხვა ორდენებითა და სიგელებით.

დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციისა და სტერილიზაციის სპეციალიზირებული ეპიდზედამხედველობის ცენტრი

---

სადეზინფექციო ცენტრის თანამშრომლები გურამ ლიპარტელიანი, ზაურ ჩაჩანიძე, ეკა ნონიაშვილი, ციცო ლეჟავა, გიული ბაბუციძე, მერი წიქარიშვილი, ნინო გაბოშვილი, ლია ბეროშვილი, ბელა კოკოევა, ია კურტანიძე, ლალი პაპაჩაშვილი, ლიანა გაბუნია, ნოდარ ჟიჟიაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ღვაწლმოსილი თანამშრომლის

**ვახტანგ ლატარიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ახლობლებსა და ნათესავებს.

დაკრძალვა: 7 თებერვალს.

მისამართი: ხობის რაიონის სოფელი ხეთა.

---

მეგობრები გურამ ლიპარტელიანი, არჩილ წიკლაური, ჯუმბერ ფერაძე, დავით გელაშვილი, ვაჟა ფიფია, ზაურ ბენაშვილი, დათო ტარყაშვილი, გოჩა შველიძე, ზურაბ ბუკია, გურამ წიწავა, გია კოპლატაძე, მუხრან უნგიაძე, თემურ ბოკუჩავა, ზაქრო ბელადიძე, ალექსანდრე ნადირაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სადეზინფექციო სამსახურის თვალსაჩინო მუშაკი

**ვახტანგ (გორიკო) ვასილის ძე ლატარია**

და სამძიმარს უცხადებენ ახლობლებს.

---

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლები იუწყებიან საზოგადოების შესანიშნავი აღმოსავლეთმცოდნის, ქრისტიანული არაბული მწერლობის საუკეთესო სპეციალისტის

**რუსუდან გვარამიას**

გარდაცვალებას და უსამძიმრებენ ოჯახს.

---

მაყვალა და მურადი შვილებით გიგა და ირაკლი ლატარიები ოჯახით სამძიმარს უცხადებენ გულნაზ ჩარტიას ძმისშვილის

**ლექსო ჩარტიას**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

დაკრძალვა: კვირას, 5 თებერვალს.

მისამართი: ხობის რაიონის სოფელი ყულევი.

---

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს კომპანიის თანამშრომელს, ბატონ თემურ ჯულელს დედის, ქალბატონი

**აგლია აბზიანიძის**

გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი: 3, 4 თებერვალს.

დაკრძალვა: 5 თებერვალს, 14 საათზე.

მისამართი: ქ.ქუთაისი, დიაჩიანელის ქ. №8.

**ცფვუქჯდბფჯჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტკლქტ7 რდბჰბს უფჰლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8**

## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● იყიდება ან იცვლება ბინაზე ორსართულიანი სახლი (110 კვ.მ.), ნაკვეთის ფართობი 200 კვ.მ. ფასი შეთანხმებით. მის: ნუცუბიძის I მიკრორაიონი, სახლი №5ა. ტელ: 232-52-29; 568-65-10-48; 599-41-52-29.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, 1000კვ.მ და 2000კვ. მ. შემოსაზღვრული, სარწყავი წყლით. ფასი: 1 კვ.მ – 3 ლარი. ტელ:. 8790-90-32-96; 2-53-15-87. 568 657486.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

## hჳჯცeჯჳcბ ,



**შვეულად:** 1. ჯინისა და რომის გასაზავებელი გაზიანი უალკოჰოლო სასმელი; 2. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 3. მთიანეთი ჩრდილო ამერიკაში; 4. ჩრდილო აფრიკის მოსახლეობის ძველი სახელწოდება; 5. ციმბირში გავრცელებული ძვირფასმერქნიანი წიწვოვანი ხე; 7. ზღვისპირა კურორტი ლატვიაში; 11. სევანის ტბის ძველი სახელწოდება; 12. პოპულარული ტელეშოუს წამყვანი ამერიკელი ზანგი ტელეჟურნალისტი ქალი; 13. ლონდონის „არსენალის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 14. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში; 15. უბანი თბილისში; 17. ცხენის მოსართავი; 19. ისტორიული სასტუმრო პარიზში.

**თარაზულად**: 5. ავადმყოფური მიდრეკილება გადაჭარბებული ლაპარაკისადმი; 6. კვერცხის გულის, წებოსა და ზეთის ხსნარისგან მომზადებული სახატავი საღებავი; 8. ყურანის ცალკეული თავი; 9. ლეო დელიბის ოპერა; 10. მეფის მცველი საქართველოში; 11. ქალაქი ქართლში; 13. კათოლიკური ეკლესიის რელიგიურ-ადმინისტრაციული ცენტრი; 14. დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საერთაშორისო ხელშეკრულება; 16. გერმანული ქიმიურ-სამრეწველო კონცერნი; 18. ბრმად, დაუსაბუთებლად მიღებული დებულება; 20. განცალკევებული საკანი ციხეში პატიმართა მკაცრად დასასჯელად; 21. ლიბანის დედაქალაქი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## ობყფ ყჯვცჰიბ უფვჯმeც.ყც,ეჯბ hჳჯცeჯჳcც,ბც გფცეĮც,ბ5

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ნამიბია; 2. რეციდივი; 3. არქიელი; 5. კალევალა; 7. მცონარა; 9. მზეჭაბუკი; 13. მისტიკა; 15. პიკასო; 16. შულერი; 18. უფიცა.

**თარაზულად**: 4. მარაკანა; 6. გრეიდერი; 8. ცივილიზაცია; 10. ტანდემი; 11. ეტლი; 12. არმაზი; 14. ოპერა; 17. აბატი; 19. აკინი; 20. აერობუსი; 21. იოდი; 22. პორტვეინი; 23. ვალენსია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პილონი; 2. არაქსი; 3. ბაირონი; 4. ბორჩალო; 5. იორდანე; 7. რეკლამა; 11. სამბო; 12. უაილდი; 13. მონასპა; 14. ზარნაშო; 15. კახასა; 17. ბუფონი; 19. ბაშო.

**თარაზულად**: 5. იომიური; 6. დიზაჟიო; 8. საკი; 9. მონცა; 10. ასკილი; 11. საბა; 13. მაჰარაჯა; 14. ზუმპი; 16. აბელი; 18. ოჰარა; 20. შინშილა; 21. სვანეთი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

4 თებერვალი

აშშ დოლარი — 1,669

ევრო —2,1296

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5759

რუსული რუბლი — 0,0526

**აღმოსავლეთ საქართველო:** მოღრუბლულობა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 0—4, ღამით — -4 -1

**დასავლეთ საქართველო:** თოვლი, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 2-5, ღამით — -3-0

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 0-3, ღამით — -5 -2




ფვბყლბც გ3ჯუყჯ3ბ $ სტ,ტ3ეჯბცსეჩც

# 7 თებერვლიდან

## გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად



# „ვეფხისტყაოსანი“

## სპეციალური გამოცემა მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის

**ყველა სტროფს მოჰყვება განმარტება თანამედროვე ქართულ ენაზე**

ტექსტის კომენტარებისა და ანალიტიკური გზამკვლევის ავტორი **თამაზ ვასაძე**

fcnhjgh;jyjpb

### 4 თებერვალი _ ეს დღე მშვიდად გაატარეთ

**ვერძი** — საქმიანი იმიჯი ძალიან გიხდებათ. **კურო** — ზედმეტი აქტიურობა დღეს არ არის საჭირო. **ტყუპები** — რაღაც იცით და სხვებს ნუ ეტყვით. **კირჩხიბი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ლომი** — დაისვენეთ და გაერთეთ. **ქალწული** — ნუ აყვებით სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **სასწორი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ღრიანკალი** — ფული გაქვთ, ახალ საქმეს წამოიწყებთ. **მშვილდოსანი** — საიდუმლოს ნურავის გაანდობთ, თქვენთვის შეინახეთ. **თხის რქა** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **მერწყული** — საქმე ბოლომდე მიიყვანეთ, მაგრამ არ იჩქაროთ. **თევზები** — დროა საკუთარ თავზე იფიქროთ, დროს ნუ დაკარგავთ.

უბცეჰედტ,ს ,ტლყბტჰ ლქტც=

### 5 თებერვალი _ ეს დღე მშვიდად ჩაივლის

**ვერძი** — არ აყვეთ სხვებს, დაისვენეთ და მშვიდად იყავით. **კურო** — კარგი დღეა რაღაცის შესასწავლად, თავზე სამუშაოდ. **ტყუპები** — იფიქრეთ და მიხვდებით, პასუხი თქვენ უნდა იპოვოთ. **კირჩხიბი** — კარგ ფორმაში ხართ, ასე განაგრძეთ. **ლომი** — ახალი საქმე მოგეწონებათ. **ქალწული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** — ნურავის ენდობით, ინფორმაცია გადაამოწმეთ. **ღრიანკალი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **მშვილდოსანი** — ყველაფერი კარგად მიდის, სანერვიულო არაფერია. **თხის რქა** — დღეს კარგ ამბავს გაიგებთ და „დაასველებთ“ კიდეც. **მერწყული** — მშვიდ სიტუაციაში ხართ და თავს კარგად გრძნობთ. **თევზები** — ჩვეულებრივი დღეა, მნიშვნელოვანი არაფერი მოხდება.

## როჯერ ფედერერი: რაფას ჩემთან თამაში უკეთესად გამოსდის, ვიდრე სხვა ჩოგბურთელებთან“

მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელად მიჩნეულ როჯერ ფედერერს ბოლო დროს კარგი პერიოდი არ უდგას. ამჟამად „მხიარული როჯერი“ რეიტინგსიაში მესამე ადგილზეა, თუმცა თავისი კლასითა და გამოცდილებით ჯერ კიდევ შეუძლია სერიოზული ტურნირების მოგება.



ბოლოს ფედერერმა ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში წააგო რაფაელ ნადალთან, მანამდე კი 5 თვის მანძილზე მარცხის გემო არ იცოდა.

გაგრძელება მე-8 გვერდზე


# 18 იანვრიდან

ეყბრფკეჰბ გჰჯტმნბ

„ახალ თაობასთან“ ერთად გაიყიდება უნიკალური პროექტის „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“ მე-18 ტომი

ფვეყლსტყბ

უფპტსბ ლფ ოზუყბ ტპსფლ * კფჰბ


hჰჯცეჯჰლბ F

**შვეულად:** 1. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი ფირმა; 2. ებრაელებით დასახლებული უბანი ძველ თბილისში; 3. საჯარისო შენაერთი; 5. სხეულის მიერ გამოსხივებული ელექტრომაგნიტური ენერგია; 7. ძველებური ოქროს წონის საზომი ერთეული; 9. პიანინოების, როიალების მწარმოებელი ცნობილი გერმანული ფირმა; 13. ბუდისტთა სამონასტრო კომპლექსი ტიბეტში; 15. დარიშხანის საბადო ლენტეხის რაიონში; 16. ძვირფასბეწვიანი შავი ფერის მელია; 18. საბერძნეთის მეორე სახელწოდება.

**თარაზულად:** 4. ბალეტის მოცეკვავე მამაკაცი; 6. აყალმაყალის, ჩხუბის მოყვარული ადამიანი; 8. პოპულარული ფრანგული ლიქიორი, რომელსაც მონასტრის ბერები ამზადებდნენ; 10. უკრაინის ფეხბურთელთა გუნდი; 11. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე; 12. ღომში ჩახარშული სულგუნისგან მომზადებული მეგრული კერძი; 14. მცენარეთა სამყარო; 17. ვულკანი ისლანდიაში; 19. სოხუმის ძველი სახელწოდება; 20. ცოდვების განდობა მღვდლისათვის; 21. მდინარე კახეთში; 22. ცხვირის ღრუს გასასინჯი სარკე; 23. აფრიკაში მზარდი გიგანტური ფოთლოვანი ხე.




შეადგინა თ.გოგინაშვილმა